ვ) საბანკო საქმიანობის ზედამხედველობისა და ლიცენზირების ნაწილში:

გააგრძელოს ახალი ბანკების რეგისტრაციის შეზღუდვა ეროვნული ფულა-დი ერთეულის — ლარის შემოღებამდე, გარდა ერთობლივი ბანკებისა და უცხოეთის ბანკების ფილიალებისა;

1995 წლის იანვრის ბოლომდე დახვეწოს კომერციული ბანკებისათვის და-წესებული ნორმატივები, გაცნოს ისინი თითოეულ საბანკო დაწესებულებას და გამოაქვეყნოს პერიოდულ პრესაში;

გააძლიეროს თითოეული ბანკის პასუხისმგებლობა აღნიშნული ნორმატივე-ბის დაცვისათვის და უფრო მკაცრი კონტროლი დაუწესოს ეროვნულ ბანკს როგორც ანალიტიკური, ასევე ადგილზე შემოწმების პრაქტიკის გაფართოების თვალსაზრისით;

ზ) ფულადი რეფორმის ნაწილში:

საქართველოს რესუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და მთავრობის შესაბამის კომისიისთან ერთად დამთავროს მუშაობა ეროვნული ფულადი ერ-თეულის დიზაინისა და ბანკოტების საჭირო რაოდენობის განსაზღვრისათვის და 1995 წლის იანვრის ბოლომდე უზრუნველყოს შეკვეთის გაფართოება მათ დამზადებაზე;

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან ერთად უზრუნველყოს 1995 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე ფულადი რეფორმის ჩატარების პროცედურისა და ეკონომიკური საფუძვლების დეტალური დამუშავება იმ ანგა-რიშით, რომ ბანკოტების დაბეჭდვის, აგრეთვე სისტემურ გარდაქმნათა დაფი-ნანსების მეორე ტრანზისა და სტენდ-ბაი კრედიტის მიღების მომენტისათვის მიღწეულ იქნეს სრული და ყოველმხრივი მზადყოფნა ფულადი რეფორმის გან-სახორციელებლად.

**საქართველოს პარლამენტის  
სპიკერის მოადგილე**

თბილისი, 1995 წლის 12 იანვარი.

**ვახტანგ ჩხეილიშვილი**

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**495** ვაშა ლორთვიზანიძის რესატის ფედერაციაში  
 საქართველოს რესპუბლიკის საბანგებო და სრული დამადასტურების მინისტრი

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს და ნიშნოს ვაჟა ლორთვიზანიძე რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლების ელჩად.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერის მოადგილე

ვახტანგ რჩეულიშვილი

თბილისი, 1995 წლის II იანვარი.

ბანყოფილება მეორე

„ინტერნეტის“ კვანძის მოწყობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი 1995 წლის 12 იანვრის დადგენილებით ნება დართო აშშ კონგრესის ადამიანის უფლებათა დაცვის ფონდს განახორციელოს პარლამენტში მსოფლიო კომპიუტერული ქსელის „ინტერნეტის“ კვანძის მოწყობა, რის მეობებითაც შეძლებს წლების განმავლობაში უფასოდ იქონიოს კავშირი „ინტერნეტში“ არსებული ინფორმაციის მრავალ წყაროსთან.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა ამ ღონისძიების უმოკლეს ვადაში განსახორციელებლად დახმარება აღმოუჩინოს. აღნიშნულ ფონდს.

1995 წლის თებერვალი

საქართველოს რესპუბლიკის პარონი

**496** აუდიტორული საქმიანობის შესახებ

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

აუდიტორული საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკაში წესრიგდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სსვა კანონმდებლობით.



„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს ჩესპუბლიკის კანონი  
განსაზღვრავს საქართველოს ჩესპუბლიკაში აუდიტორული საქმიანობის გან-  
ხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და აწესრიგებს აუდიტორულ საქმი-  
ანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას.

ეს კანონი გმირიყენება ყველა იმ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის აუდი-ტორული შემოწმებისას, რომელიც შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის კა-ნონმდებლობის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტი 2.

აუდიტორული საქმიანობა (აუდიტი) მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას, აუდიტორული მომსახურების გაწევას, აგრეთვე აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდურულ უზრუნველყოფას.

აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სამეწარმეო საქმიანობის, საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშების, დაბევრის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორულ შემოწმების (აუდიტის), აგრძელებულ შესტევისა და კონსულტაციების სახით.

აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის სპე-  
ციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მხრივ სამეცნიერო სუბი-  
ექტების ფინანსური კონტროლისაგან დამოუკიდებლარ.

გუნდი 3.

აუდიტო არის აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიერ სამეცნიერო სუბიექტების საჭარო საბუღალტრო ანგარიშების, აღრიცხვის, პირველადი დოკუმენტებისა და საფინანსო-სამეცნიერო საქმიანობის შესახებ სხვა ინფორმაციის შემოწმება სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე მათი უტყუარობის, ისისრულის, მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობის დადგინის მიზნით.

აუდიტი ტარდება სამეურნეო სუბიექტის ინიციატივით, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში (სავალდებულო აუდიტი).

მუკლი 4.

აუდიტი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული სქმიანობის ლიცენზია. იგი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად ან აუდიტორული ფირმების მეშვეობით.

გუნდი 5.

აუდიტორული ფირმა არის საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ტერი-  
ტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია და რომლის ერთადერთი სა-  
წესდებო მიზანია აუდიტორული საქმიანობა.

აუდიტორულ ფირმას აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა შხოლოდ მაშინ, თუ მასში სულ ცოტა ერთი აუდიტორი მაინც მუშაობს.

### მუხლი 6.

აუდიტორული დასკვნა არის აუდიტორის მიერ სათანადო წესით შედგენილი, ხელმოწერით და ბეჭდვით დამოწმებული ოფიციალური საბუთი, რომელშიც წარმოდგენილია დასკვნა სამეურნეო სუბიექტის ანგარიშგების უტყუარობის, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვის სისრულის და მოქმედ კანონმდებლობასთან და დადგენილ ნორმატივებთან მისი შესაბამისობის შესახებ.

ესპერტიზის სახით გაწეულ აუდიტორულ მომსახურებაზე ფორმდება საექსპერტო დასკვნა ან აქტი. აუდიტორულ კონსულტაციები სამეურნეო სუბიექტებს შეიძლება გაეწიოთ ზეპირად ან წერილობით სათანადო ცნობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის გაფორმებით.

საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო სუბიექტებისათვის წარმოდგენილ უცხო სახელმწიფოს აუდიტორის აუდიტორული დასკვნა უნდა დაამოწმოს საქართველოს რესპუბლიკის აუდიტორმა (აუდიტორულმა ფირმამ), თუ კანონით სხვა რამ ან არის გათვალისწინებული.

## II. აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება და თვითმართველობა

### მუხლი 7.

აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება გულისხმობს:

- აუდიტორული საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფას;
- აუდიტორთა ატესტაციას;
- აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირებას.

### მუხლი 8.

აუდიტორული საქმიანობის რეგულირების სისტემაში სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების მიზნით, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, იქმნება საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენცია და ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონითა და აუდიტორული საქმიანობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

### მუხლი 9.

აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:



ა) აუდიტის ჩატარების სტანდარტებისა და მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) აუდიტორთა ატესტაციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და დამტკიცება, ატესტაციის ჩატარების დებულების დამტკიცება;

გ) აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების დებულების შემუშავება და დამტკიცება;

დ) აუდიტორთა კადრების მომზადებისა და გადამზადების (კვალიფიკაციის ამაღლების) სისტემის შექმნა, აუდიტორთა ატესტაცია, აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირება;

ე) აუდიტორთა და აუდიტორული ფირმების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოება;

ვ) აუდიტორულ საქმიანობაზე სხვა სახელმწიფოების მიერ გაცემული დოკუმენტების ლეგალიზაცია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

ზ) აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

დასაშვებია აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კომპეტენციას მიეუთვებული ზოგიერთი საკითხის დელეგირება აუდიტორთა თვითმმართველობის საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის.

### მუხლი 10.

აუდიტორთა ატესტაციას (კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა) ახდენს საქართველოს პარლამენტან ასებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

ატესტაციაზე დაიშვებინან უმაღლესი ან საშუალო სპეციალური კონონმიკური ან იურიდიული განათლების მქონე ფიზიკური პირები, რომელთაც აქვთ აუდიტორად, აუდიტორული ფირმის სპეციალისტად, ბუღალტრად, ეკონომიკური პროფილის მეცნიერ მუშაკად ან პედაგოგად მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის სტაჟი.

სატესტაციო გამოცდების ჩატარების შემთხვევაში პირი იღებს საკვალიფიკაციო სერტიფიკატს, რომლის მოქმედების ვადა ხუთ წელს არ აღემატება.

ატესტაციის კონკრეტული პირობები განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

### მუხლი 11.

აუდიტორებსა და აუდიტორულ ფირმებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეუძლიათ აუდიტორულ საქმიანობას ეწეოდნენ მხოლოდ ლიცენზიის მიღების შემდეგ.

აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიის იძლევა აუდიტორული საქმიანობის საბჭო.



აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიის მიღების უფლება აქვთ ატესტირებულ აუდიტორებს და სახელმწიფო რეგისტრაციაგავლილ აუდიტორულ ფირმებს. ლიცენზიის მოქმედების ვადა ხუთ წელს არ აღემატება.

ლიცენზიები ცალ-ცალკე მიეცემათ:

- საბანკო აუდიტის;
- სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტის;
- საბირჟო, არასაბიუჯეტო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტის;

დ) ზოგად აუდიტს (სხვა ეკონომიკურ სუბიექტთა აუდიტს).

აუდიტორს ან აუდიტორულ ფირმას შეუძლია მიიღოს ერთ ან რამდენიმე სფეროში აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია.

აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების კონკრეტული პირობები განისაზღვრება სპეციალური დებულებით, რომელსაც ამტკიცებს აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

### მუხლი 12.

საჯარო საბუღალტრო აღრიცხვაში შედის აუდიტორული დასკვნა, ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიში, სხვა საფინანსო და საბუღალტრო ანგარიშგება, რომელიც არ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას და გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით საფინანსო და საბუღალტრო ანგარიშგების მომხმარებლებისთვის წარსადგენად და პერიოდულ პრესაში გამოსაქვეყნებლად.

### მუხლი 13.

საფინანსო და საბუღალტრო ანგარიშგების მომხმარებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, სამეცნიერო სუბიექტის საქმიანობის შედეგებით და ინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირები, მათ შორის: მესაკუთრენი, დამფუძნებლები, კრედიტორები, ინვესტორები და სხვა პირი, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობით უფლება აქვთ მიიღონ საბუღალტრო და საფინანსო ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია.

### მუხლი 14.

პასუხისმგებლობა საბუღალტრო და საფინანსო ანგარიშგების სწორად შედგენასა და მათი მომხმარებლისთვის წარდგენაზე ეკისჩება სამეცნიერო სუბიექტის ხელმძღვანელს.

### მუხლი 15.

აუდიტის ჩატარება სავალდებულოა:



ა) იმ სამეურნეო სუბიექტებისთვის, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლოდან  
თლებრივი ფორმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს მე-  
საკუთრეთა შეზღუდულ ქონებრივ პასუხისმგებლობას;

ბ) ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, არასაბიუჯეტო ფონდების, საფონდო  
და სასაქონლო ბირჟებისთვის;

გ) ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების-  
თვის;

დ) სხვა სუბიექტებისთვის, რომელთა სის ყოველწლიურად ამტკიცებს სა-  
ქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

### III. აუდიტორული საქმიანობის წარმართვის წესები და პირობები

მუხლი 16.

აუდიტი ტარდება აუდიტორსა (აუდიტორულ ფირმასა) და დამკვეთს შორის  
დადგებული ხელშეკრულების საფუძველზე.

კონსულტაციების სახით აუდიტორული მომსახურების გაწევა შეიძლება  
ხელშეკრულების, დამკვეთის მიერ აუდიტორისადმი (აუდიტორული ფირმისად-  
მი) წერილობითი ან ზეპირი მიმართვის საფუძველზე.

აუდიტორსა (აუდიტორულ ფირმასა) და დამკვეთს შორის დადგებულ ხელ-  
შეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტის საგანი და შესრულე-  
ბის ვადები, აუდიტორული მომსახურების მოცულობა, ანაზღაურების ოდენობა  
და პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობა და სხვა.

ხელშეკრულებით აუდიტორული მომსახურებისთვის გათვალისწინებული  
ანაზღაურება არ შეიძლება უკავშირდებოდეს შემოწმების შედეგად გადასახა-  
დების მოსალოდნელი შემცირების თანხას.

ხელშეკრულების საგანი და პირობები კონფიდენციალური ინფორმაციაა.

მუხლი 17.

სამეურნეო სუბიექტებს უფლება აქვთ ამოირჩიონ აუდიტორი (აუდიტორუ-  
ლი ფირმა). აუდიტორები დამოუკიდებელნი არიან თავიანთი კლიენტებისგან,  
აგრეთვე მესამე მხარისგან, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებისგან, აგრეთვე  
იმ აუდიტორული ფირმის მესაკუთრეებისა და ხელმძღვანელებისგან, სადაც  
ისინი მუშაობენ.

დამკვეთი ვალდებულია შეუქმნას აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას) სათა-  
ნადო პირობები აუდიტის ჩატარებისთვის.

მუხლი 18.

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ ხელშეკრულების პირობების



შესრულება ფორმდება აუდიტორული დასკვნის მიღება-ჩაბარების აქტით აუდიტორულ დასკვნას ადგენენ შესაბამისი ფორმით და დამოწმებენ აუდიტორის ხელმოწერით.

#### IV. აუდიტორული საქმიანობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 19.

აუდიტორებს (აუდიტორულ ფირმებს) უფლება აქვთ:

ა) მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, დამკვეთთან დადგებული ხელშეკრულების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვრონ აუდიტის ფორმები და მეთოდები;

ბ) მიღონ დამკვეთის ან მესამე პირების ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც შეეხება აუდიტის საგანს. ასეთი დოკუმენტების მქონე მესამე პირები ვალდებული არიან წარუდგინონ ისინი აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას) დამკვეთის მიერ დამოწმებული მოთხოვნის შესაბამისად;

გ) მიღონ აუდიტის საგანზე ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი ან წერილობით ფორმით დამკვეთის ხელმძღვანელებისა და მუშაკებისაგან;

დ) შეამოწმონ სრული მოცულობით სამეცნიერო სუბიექტის საფინანსო-სამეცნიერო საქმიანობის დოკუმენტაცია, არსებული ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, მატერიალური ფასეულობანი; მოთხოვონ სამეცნიერო სუბიექტის ხელმძღვანელობისაგან საკონტროლო გაზომვის, პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის და სხვა სამუშაოების მოწყობა;

ე) მიიწვიონ ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 20.

აუდიტორები (აუდიტორული ფირმები) მოვალენი არიან:

ა) აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას განუხრელად დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა;

ბ) კვალიფიციურად მოაწყონ აუდიტორული მომსახურება, შეამოწმონ დამკვეთის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა, მათი უტყუარობა, სისრულე და შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და დადგენილ ნორმატივებთან;

გ) აცნობონ დამკვეთს, აგრეთვე სათანადო მიმართვის შემთხვევაში მესაკუთრებს, მათ რწმუნებულებს აუდიტის ჩატარებისას საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები;



დ) საიდუმლოდ შეინახონ აუდიტორული მომსახურების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაურონ კომეტიციული საიდუმლოების შემცველი ცნობები, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გამოიყენონ ისინი თავიანთი ან მესამე პირის ინტერესებისათვის;

ე) არ დაუშვან თავისი და მესამე პირების საქმიანი თვისებების რეკლამირება.

### მუხლი 21.

აუდიტის ჩატარება ეკრძალებათ:

ა) აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტის რომელიმე ხელმძღვანელის ახლო ნათესავები არიან;

ბ) აუდიტორებს, რომლებსაც შესამოწმებელ სამეურნეო სუბიექტთან აკავშირებთ პირადი ქონებრივი ინტერესი;

გ) აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტის მუშაკები, მესაკუთრებები, დამფუძნებლები ან ხელმძღვანელობის წევრები არიან;

დ) აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტის შვილობილი საზოგადოების, ფილიალის ან წარმომადგენლობის მუშაკები ან თანამესაკუთრენი არიან.

### მუხლი 22.

სამეურნეო სუბიექტები, რომელთა საქმიანობა ექვემდებარება სავალდებულო აუდიტორულ შემოწმებას, ვალდებული არიან საანგარიშო წლის 31 დეკემბრამდე შეატყობინონ საგადასახადო ინსპექციას აუდიტორულ მომსახურებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ. აუდიტორული დასკვნა საგადასახადო ინსპექციას ჩაბარდება საანგარიშოს მომდევნო წლის 30 ივნისამდე.

### მუხლი 23.

შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელები ვალდებული არიან:

ა) აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას) გადასცენ აუდიტის ჩასტარებლად საჭირო მთელი დოკუმენტაცია, აუდიტორის მოთხოვნისთანავე მისცენ ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით აუდიტის საგანთან დაკაშვირებით, შეუქმნან აუდიტორს აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო პირობები;

ბ) ოპერატორულად აღმოფხვრან აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებანი.

### მუხლი 24.

აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას), რომელიც სათანადო არ შეასრულებს

თავის მოვალეობებს, ქონებრივი და სხვა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობისა და დამკვეთოან დაცებული ხელშეკრულების შესაბამისად.

აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) ქონებრივი ჰასუხისმებლობის მოცულობა არ შეიძლება აღმატებოდეს მისი მიზეზით დამკვეთისადმი ფაქტობრივად მიყენებული ზარალის ორგანობას.

აუდიტორისა (აუდიტორული ფირმისა) და დამკვეთის ქონებრივ დავას სასა-  
მართლო წყვეტს მოქმედი კანონმცუბლობის შესაბამისად.

მუხლი 25.

აუდიტორული საქმიანობის საბჭოს გადაწყვეტილებით აუდიტორს (აუდიტორულ ფირმას) შეიძლება ჩამოერთვას აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია შემდეგ შემთხვევებში:

- ა) აუდიტის დაბალ დონეზე ჩატარების რამდენიმე ფაქტის დადგენისას;  
 ბ) აუდიტის ჩატარებისას საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის განზრას დარღვევის დროს;  
 გ) თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ გამოვლინდა მის მისაღებად აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ უსწორო მონაცემების წარდგენის ფაქტი;  
 დ) თუ აუდიტორი (აუდიტორული ფირმა) ლიცენზიით გაუთვალისწინებელ იკითხოვულ საქმიანობას წარუდიდება.

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში აუდიტორული საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევის წესს განსაზღვრავს აუდიტორული საქმიანობის საბჭო.

გურია 26.

აუდიტორებს (აუდიტორულ ფირმებს) უფლება აქვთ სასამართლოში გაასა-  
ჩივრონ აუდიტორული საქმიანობის საბჭოს გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცე-  
მაზე უარის თქმის ან მისი ჩამორთმევის შესახებ; მათ უფლება აქვთ აგრეთვე  
ხელმისამართის მოითხოვონ აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია მისი ჩამორ-  
თმევიდან ერთი წლის შემდეგ.

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

— სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

35ხტანბ ბობუაძე

თბილისი, 1995 წლის 7 თებერვალი.

საქართველოს კარლამენტის დადგენილება

**497 „აუდიტორები საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიზანისაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„აუდიტორები საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგაძე  
თბილისი, 1995 წლის 7 თებერვალი.

საქართველოს კარლამენტის დადგენილება

**498 „თამასეპის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიზანისაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„თამასეპის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგაძე  
თბილისი, 1995 წლის 7 თებერვალი.

საქართველოს კარლამენტის დადგენილება

**499 „ჩეკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიზანისაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„ჩეკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგაძე  
თბილისი, 1995 წლის 7 თებერვალი.

**500** „საქართველოს რესუბლიკის ტერიტორიაზე ნარ-  
ჩენების ტრანზიტისა და მგრორის შესახებ“  
საქართველოს რესუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღვენს:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნაჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ՀԱՅԹԱՆՑ ԾՐԾՎԱՔԸ

თბილისი, 1995 წლის 7 თებერვალი.

საქართველოს კარლამანტის დადგენილება

**501** „კერძო დატექნიური და გაცვილი საქმიანობის  
შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის  
თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღვინს:

კერძო დეტიქტორი და დაცვითი საქმიანობის შესახებ საჭართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

316 ტანდ ბობეგაძე

တပိုက်ခေါ်စာ၊ 1995 ခြား 8 တော်ဌာနအောင်။

საქართველოს კარლამანტის დაფინანსება

**502** საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის  
დაცვის სისტემის რეორგანიზაციის კონცეფციის  
შესახებ

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

1. მოწოდებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ჩროობაზე შეკვეთი.

2. დაევალოთ პარლამენტის ჯანმრთელობის დაკვირვების, იურიიდიულ და სათა-



ნანსო-საბიუგეტო კომისიებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდის  
ფორმირების მიზნით ერთი კვირის ვადაში შეიმუშაონ წინადაღებები საგადასა-  
ხადო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დააჩქაროს  
სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის  
რეორგანიზაციისათვის აუცილებელი ნორმატიული აქტების შემუშავება.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბორისი**  
თბილისი, 1995 წლის 8 თებერვალი.

საქართველოს რესაუბლიკის კანონი

### **503 საქართველოს რესაუბლიკის მროვის კანონია პოდესში დამატების შეტანის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბ-  
ლიკის შრომის კანონთა კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყე-  
ბები, 1973 წ., № 6, მუხ. 118) 64-ე მუხლის პირველ ნაწილს მეშვიდე აბზაცის  
შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„9 მაისს — თაშიზშე გამარჯვების დღეს“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე**

— სახელმწიფო მეთაური ედუარდ გევარაძეამი

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბორისი**  
თბილისი, 1995 წლის 8 თებერვალი.

საქართველოს რესაუბლიკის კანონი

### **504 საქართველოს რესაუბლიკის ტერიტორიაზე ნარ- ჩევაბის ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალოს:

ა) ტოქსიკური და რადიაქტიური სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩე-  
ნების ტრანზიტი და იმპორტი, მათი საქართველოს რესპუბლიკში უტილიზაცი-  
ის, გაუკნებელყოფის, გადამუშავების, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით;

ბ) სხვა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების იმპორტი, მათი გაუცნებელყოფის დაწვის ან დამარხვის მიზნით.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაშვებულია არატოქსიკური და არარადიაქტიური ნარჩენების იმპორტი მხოლოდ მათი შემდგომი გადამუშავების ან რეექსპორტის მიზნით. ეს ნარჩენებია: შავი და ფერადი ლითონების ჭართი, ყველა ტიპის მაკულატურა, პლასტმასები (მხოლოდ იმ ტიპის, რომელთა გადამუშავება საქართველოს რესპუბლიკაში შესაძლებელია), საფეიქრო და საგალანტერერო წარმოების, ხის გადამუშავების (ბურბუშელა, ნახერხი), აგრეთვე მინის ნარჩენები.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების იმპორტი დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აქმაყოფლებენ საქართველოს რესპუბლიკისა და ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობების მოთხოვნათა შორის უმქაცრესს.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების იმპორტირებისას მათ თან უნდა ერთვოდეს ექსპორტიორი ქვეყნის სერტიფიკატი ნარჩენების წარმოშობის, მათში მავნე ნივთიერებების შემცველობის და მათი ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანის დროს ნარჩენები უნდა შემოწმდეს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ჯნმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და გაცემის სერტიფიკატი ნარჩენებში მავნე ნივთიერებების შემცველობისა და მათი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

5. ამ კანონის დამტლვევი პირები პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

— სახელმწიფოს მეთაური ედუარდ გვარდენაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე

თბილისი, 1995 წლის 8 თებერვალი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**505** „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნაჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



2. ქალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული აზე ნარჩენების იმპორტის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის II აგვისტოს № 118 დადგენილება.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კბინეტმა:

ა) შეუსაბამოს თავისი დადგენილებები ამ კანონს;

ბ) ერთი თვის ვადაში დამტკიცოს ნარჩენებში მავნე ნივთიერებების შემცველობისა და მათი საქართველოს რესპუბლიკის ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატის ფორმა.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

**ვახტანგ ბობუაშვილი**

თბილისი, 1995 წლის 8 თებერვალი.

### საქართველოს რესაუბლიკის კანონი

**506** საქართველოს რესაუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საკროხვის პოლიციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის გესახება

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები:

1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10):

კოდექსს დაემატოს 251<sup>6</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 251<sup>6</sup>. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რაღიაქტიური და ტოქსიკური სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი მათი საქართველოს რესპუბლიკაში უტილიზაციის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით, აგრეთვე სხვა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების იმპორტი მათი გაუვნებელყოფის, დაწვის ან დამარხვის მიზნით —

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რაღიაქტიური და ტოქსიკური სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი მათი საქართველოს რესპუბლიკაში უტილიზაციის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით, აგრეთვე სხვა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების იმპორტი მათი გაუვნებელყოფის, დაწვის ან დამარხვის მიზნით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე და ჯარიმით მინიმალური ხელფასის ხუთასჯერადი ოდენობით.

იგივე შედობა, რასაც მოჰყვება მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ჩვა წლისდევ“.

კოდექსის 8<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „რადიაქტიური მასალების გატაცება (251<sup>3</sup> მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი (251<sup>6</sup> მუხლის მეორე ნაწილი);“

კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე პუნქტის სიტყვების „რადიაქტიური მასალების გატაცებისათვის (251<sup>3</sup> მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რადიაქტიური და ტოქსიკური სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტისათვის (251<sup>6</sup> მუხლის მეორე ნაწილი);“

კოდექსის 54-ე მუხლის მექვეს ნაწილს სიტყვების „რადიაქტიური მასალების გატაცება (251<sup>3</sup> მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რადიაქტიური და ტოქსიკური სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტისათვის (251<sup>6</sup> მუხლის მეორე ნაწილი);“

კოდექსის 55-ე მუხლის მექვეს ნაწილის მე-2 პუნქტის სიტყვების „რადიაქტიური მასალების გატაცებისათვის (251<sup>3</sup> მუხლი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რადიაქტიური და ტოქსიკური სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტისათვის (251<sup>6</sup> მუხლის მეორე ნაწილი)“.

2. 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. II) 126-ე მუხლის მეოთხე ნაწილში ციფრის „251<sup>5</sup>“ შემდეგ დაემატოს ციფრი „251<sup>6</sup>“.

3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

— სახელმწიფოს მეთაური ელეარდ შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგაძე

თბილისი, 1995 წლის 8 თებერვალი.

საქართველოს კარლამენტის დადგენილება

**507** „საქართველოს კარლამენტის დროებითი პომისი-  
ების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კა-  
ნონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

„საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების შესახებ“ საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბობუაძე  
თბილისი, 1995 წლის 9 თებერვალი.

საქართველოს კარლამენტის დადგენილება

**508** „სახელმწიფო სამსახურის შესახებ“ საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

„სახელმწიფო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მი-  
ღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბობუაძე  
თბილისი, 1995 წლის 9 თებერვალი.

საქართველოს კარლამენტის დადგენილება

**509** „საქართველოს რესაუბლიკის ტყის კოდექსში  
ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“ საქარ-  
თველოს რესაუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის ტყის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა  
შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმე-  
ნით.

საქართველოს პარლამენტის  
სპიკერის მოადგილე რესპუბლიკა ბერიძე  
თბილისი, 1995 წლის 10 თებერვალი.

**510 „კომუნალური მაურნეობის შესახებ“ საქართველოს რესაუბლივის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„კომუნალური მეურნეობის შესახებ“ საქართველოს რესაუბლივის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერის მოადგილე

რუსეთის ბერიძე

თბილისი, 1995 წლის 10 თებერვალი.

**511 მავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების რესაუბლივის ფარგლებას გარეთ გატანის პრედაციის შესახებ**

საქართველოს რესაუბლივი ფუნქციონირებენ მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის და სხვა სამრეწველო საწარმოები, რომელთა ძირითადი ნედლეული შევი და ფერადი ლითონების ჯართი და ნარჩენებია, რის გამოც მათ სტრუტეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ და დაუშვებელია ამ ლითონების სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ გატანა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდში წარმოებს რესაუბლივიდან ჯართისა და ნარჩენების გატანა როგორც არალეგალურად, ასევე საქართველოს რესაუბლივის მინისტრთა კაბინეტის ცალკეული დადგენილებებით. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. აიქრძალოს შევი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი.

როგორც გამონაკლისი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რეექსპორტი განხორციელდეს საქართველოს რესაუბლივის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კაშმირგამულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიისა და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის წინასწარი თანხმობით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესაუბლივის მინისტრთა კაბინეტის ყველა დადგენილება შევი და ფერად ლითონების გატანის თაობაზე (მათ შორის რეექსპორტით ზემოტანილისა), რომელიც ეწინააღმდეგება ამ დადგენილებას.

3. დაევალოს საქართველოს რესაუბლივის მინისტრთა კაბინეტს შსოფლიო



საბაზრო ფასების გათვალისწინებით ა/წლის 15 მარტამდე შეიმუშაოს უ-უ თა ფერადი ლითონების ჭართისა და ნარჩენების სახელმწიფო შესყიდვის დიფერენცირებული ფასები და საბაზო განაკვეთები.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას შეისწავლოს შავი და ფერადი ლითონების და მათი ნარჩენების რესპუბლიკიდან გატანის თაობაზე მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების მართლზომიერების საკითხი და ინფორმაცია ამის თაობაზე ერთი თვის ვადში წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს, ხოლო ორი თვის ვადაში — ინფორმაცია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების და სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის შესახებ.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შეიმუშაოს „საქმეო-რეულითონის“ მიერ შავი და ფერადი ლითონების ჭართისა და ნარჩენების შეგროვების, ჩაბარებისა და ტრანსპორტირების რეგულირების წესი.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგაძე**  
თბილისი, 1995 წლის 21 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**512 „პომენალური მაურნეობის შესახებ“ საქართველოს რესაუბლივის პანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„პომენალური მეურნეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგაძე**  
თბილისი, 1995 წლის 21 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**513 „საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შესახებ“ საქართველოს რესაუბლივის პანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგაძე**  
თბილისი, 1995 წლის 21 თებერვალი.

საქართველოს კარლაშვილის დადგენილება

**514** „საქართველოს რესუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის სააროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესუბლიკის კანონის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი  
თბილისი, 1995 წლის 21 თებერვალი.

ვახტანგ ბოგუაძე

საქართველოს კარლაშვილის დადგენილება

**515** საქართველოს კარლაშვილის მართლდესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს დავით ჭელიძე საქართველოს პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის წევრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი  
თბილისი, 1995 წლის 21 თებერვალი.

ვახტანგ ბოგუაძე



**516** „საქართველოს სსრ ტყის კოდექსში ცვლილება-  
თა და დამატებათა შესახებ“ საქართველოს რეს-  
პუბლიკის კანონის თაობაზე

## საქართველოს პარლამენტი აღგენს:

„საქართველოს სსრ ტყის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“  
საქართველოს რესუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოშენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე  
თბილისი, 1995 წლის 22 ოქტომბერი.

საქართველოს კარლამანტის დაფგანილება

**517** „სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირო  
მეურნეობების შესახებ“ საქართველოს კარლა-  
მეტის 1993 წლის 2 მარტის დადგენილების გა-  
მო

საქართველოს პარლამენტი აღვენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსათვის გადასაცემი  
ობიექტების ნუსხიდან ამოღებულ იქნეს ნაკრძალები, სამონადირეო და სატყეო  
მეურნეობები, ტბები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამშუავებელი  
და შესანახი საწარმოები.

2. სასაზღვრო ზონაში განლაგებული ნაკრძალები, სამონადირეო და სატყეო მეურნეობები, ტბები, სასოფლო-სამეურნეო პრიდექტების გადამშევაყბელი და შესანახი საწარმოები ერთი თვის ვადაში დაუბრუნდეს შესაბამის სამოქალა-ქო უწყებებს.

3. საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ზონაში განლაგებულ ნაკრძალებში, სამონადირეო და სატყეო მეურნეობებში და ტბებზე განსაკუთრებული სახელმწიფო რეჟიმის დაცვა თავდაცვის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყონ შესაბამისა სამინისტროს მუნიციპალიტეტის მიერ.

თავდაცის სამინისტრომ აღნიშვნულ ზონაში შეასრულოს მხოლოდ სამხედრო ფუნქცია, ხოლო სამოქალაქო უწყებებმა წარმართონ მეურნეობა და უზრუნველყონ ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება და გარემოს დაცვა მოქმედი კანონმდებლობისა და დადგენილ წესების შესაბამისად.



4. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილება შევიდეს „საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლის ფორმირებისა და ფუნქციონირების კომპლექსურ პრობლემათა გადაწყვეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 7 მაისის № 10 დადგენილებაში და მე-4 პენჯტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასაზღვრო ზონაში მმართველობითი და სამეურნეო საქმიანობის გათვალისწინებით შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სრული გამოყენების, სამეურნეო საკითხების ოპერატორულად გადაწყვეტისა და საქართველოს რესპუბლიკის ჯარების ყველა სახეობის კონტინგენტის სურსათით მომარაგების მიზნით, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაეცეს სასაზღვრო ზონაში კოლმეურნეობები და საზოგადოებრივი მეურნეობები (შემდგომში სასოფლო-სამეურნეო საწარმოდ წოდებული) თანახმად № 1 დანართისა“.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ათი დღის ვადაში შექმნას კომისია ყველა დანარტულებული უწყების მონაწილეობით და ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესრულება.

6. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

**ვახტანგ ბოგაძე**

თბილისი, 1995 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## 518 „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის ადგენს:

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მომენტით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

**ვახტანგ ბოგაძე**

თბილისი, 1995 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**519** ძ. ლისაბონში 1994 წლის 16-17 დეკემბერს ჩა-  
 ტარებული ევროპის ენერგეტიკული ძარღის 39-ე  
 კონფერენციაზე მიღებული ხელშეკრულების რა-  
 ტივითაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს ქ. ლისაბონში 1994 წლის 16-17 დეკემბერს ჩატა-  
 რებული ევროპის ენერგეტიკული ქარტის კონფერენციაზე მიღებული ხელშეკ-  
 რულება (ერთვის დედანს).

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე  
 თბილისი, 1995 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**520** „იმულებითი ან სავალდებულო მომათს შესახებ“  
 კონვენციასთან უართების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს „იმულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას.
2. ამის შესახებ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერა-  
 ლურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე  
 თბილისი, 1995 წლის 22 თებერვალი.

**521** კონვენცია იმულებითი ან სავალდებულო მო-  
 მოს შესახებ<sup>1</sup>

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფედერაცია, რო-  
 მელიც მოწვეულ იქნა უნივერსიტეტი საერთაშორისო ბიუროს აღმინისტრაციული  
 საბჭოს მიერ და შეიქრიბა 1930 წლის 10 ივნისს და რომელმაც თავის მე-14 სე-  
 სიაზე,

<sup>1</sup> ძალაში შესვლის თარიღია 1932 წლის 1 მაისი.



და ადგინა მთელი რიგი წინადაღებებისა და იძულებითი ან აუცილებელი შრომის შესახებ, რაც წარმოადგენს სესიის დროს წესრიგის პირველი პუნქტის ნაწილს,

გადაწყვიტა მიეცა ამ წინადადებებისათვის საერთაშორისო კონვენციის ფორმა,

ი ღებს 1930 წლის 28 ივნისს ამ კონვენციას, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს, როგორც 1930 წლის კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ და რომელიც ეჭვმდებარება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრების მიერ რატიფიციაციას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების დებულებების შესაბამისად.

გუნდი 1.

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველი წევრი, რომელიც მოახდენს ამ კონვენციის რატიფიცირებას, ვალდებულია გააუქმოს იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმის გამოყენება შესაძლებლად მოკლე ვადაში.

2. ასეთი სრული გაუქმების გამო იძულებითა ან სავალდებულო შრომა შე-იძლება გამოყენებულ იქნეს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ საზოგადოებრივი მიზნებისათვის და გამონაკლისის წესით იმ პირობებითა და გარანტიებით, რომლებიც დადგენილია მომდევნო მუხლებში.

3. ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ და 31-ე მუხლით გათვალისწინებულ მოსხენებასთან დაკავშირებით შრომის საერთაშორისო ბიუროს აღმინისტრაციული საბჭო განიხილავს იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმის გაუქმების შესაძლებლობას ანალი გადავადების გარეშე და გადაწყვეტის კონფერენციის დრის წესრიგში ამ საკითხის შეტანას.

მუხლი 2.

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ ნიშნავს ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც მოეთხოვება რომელიმე პირს რაიმე სასჯელის მუქარით და რომელსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ შეისარეულობდა.

2. ამასთან ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ ამ კონვენციის მიზნებისათვის არ გულისხმობა:

ა) ყოველგვარ სამუშაოს და სამსახურს, რომელიც მოეთხოვება პიროვნებას კანონით სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ და გამოიყენება წმინდა სამხედრო ხსიათის სამუშაოებისათვის;

b) ყოველგვარ სამუშაოს და სამსახურს, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ მოვალეობას სრული თვითმმართველობის ქვეყანაში;



ც) ყოველგვარ სამუშაოსა და სამსახურს, რომელიც მოეთხოვება პიროვნებას სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილი განაჩენის შედეგად იმ პირობით, რომ ეს სამუშაო ან სამსახური შესრულდება სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლთა და ზედამხედველობით და რომ აღნიშნული პიროვნება არ იქნება დათობილი ან გადაცემული კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების განკარგულებაში;

დ) ყოველგვარ სამუშაოსა და სამსახურს, რომელიც მოეთხოვება პიროვნებას საგანგმო მდგომარეობის პირობებში, ანუ ომის ან უბედურების საშიშროების — ხანძრის, წყალდიდობის, შიმშილის, მიწისძვრის, ძლიერი ეპიდემიის ან ეპიზოტიის, მავნე ცხოველების, ქვეწარმავლების ან მცენარეთა პარაზიტების შემოსვის და საერთო იმ გარემოებათა გამო, რომელიც ქმნიან ან შესაძლებელია შეუქმნან საშიშროება მოსახლეობის ან მისი ნაწილის სიცოცხლეს ან ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს;

ე) ოფიციური ხსიათის წვრილმანი სამუშაოები ან ისეთი სამუშაოები, რომელიც სრულდება კოლექტივის წევრთა მიერ ამ კოლექტივის პირდაპირ სარგებლობისათვის და რომლებიც ამის გამო შეიძლება ჩაითვალოს კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ მოვალეობად იმ პირობით, რომ თვითონ მოსახლეობას ან მის უშუალო წარმომადგენლებს უფლება აქვთ გამოოთქვან თავიანთი შეხედულება ამ სამუშაოთა მიზანშეწონილობის შესახებ.

### მუხლი 3.

ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „კომპეტენტური ხელისუფლება“ ნიშნავს ან მეტროპოლიის ხელისუფლებას, ან მოცემული ტერიტორიის უმაღლეს ცენტრალურ ხელისუფლებას.

### მუხლი 4.

1. კომპეტენტურმა ხელისუფლებამ არც უნდა დააწესოს, არც ნება უნდა დართოს დაწესდეს იძულებითი ან სავალდებულო შრომა კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარგებლოდ.

2. თუ იძულებითი ან სავალდებულო შრომის ამგვარი ფორმა კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარგებლოდ არსებობს იმ მომენტისათვის, როდესაც ორგანიზაციის რომელიმე წევრისგან ამ კონვენციის სატიფიციოება ჩეგისტრირებულია შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის მიერ, ორგანიზაციის ეს წევრი მთლიანად გააუქმებს ამგვარ იძულებით ან სავალდებულო შრომას მისთვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან.

### მუხლი 5.

1. კერძო პირებისათვის, კომპანიებისათვის ან საზოგადოებებისათვის მინი-



ჭებული არანაირი კონცესია არ შეიძლება იყინებდეს იძულებითი ან სავალდებულო შრომის არავითარ ფორმას წარმოების მიზნებისათვის ან პროდუქტების ასაღებად, რომელიც გამოიყენება ამ კერძო პირების კომპანიების ან საზოგადოებების მიერ და რომელიცითაც ისინი ვარჩობენ.

2. თუ იძულებითი ან სავალდებულო შრომის ამგვარი ფორმა გამომდინარეობს არსებული კონცესიების დებულებებიდან, ეს დებულებანი უნდა შეიცალოს შესაძლებლად მოკლე ვადაში ამ კონვენციის I მუხლის მოთხოვნათა შერულების მიზნით.

#### მუხლი 6.

ადმინისტრაციის ჩინოვნიკებმა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი ამოცანაა ასწავლონ მათდამი რწმუნებულ მოსახლეობას შრომის ესა თუ ის ფორმა, არ შეიძლება აიძულონ მოსახლეობა ან ცალკეული პირები იმუშაონ კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარგებლოდ.

#### მუხლი 7.

1. ტომთა ბელადებმა, რომლებიც არ ასრულებენ ადმინისტრაციულ მოვალეობებს, არ შეიძლება მიმართონ იძულებით ან სავალდებულო შრომას.

2. ტომთა ბელადებმა, რომლებიც ასრულებენ ადმინისტრაციულ მოვალეობებს, შეიძლება კომპეტენტური ხელისუფლების სპეციალური ნებართვით მიმართონ იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენებას ამ კონვენციის მუხლით გათვალისწინებულ პირობებში.

3. ტომთა ბელადებმა, რომლებიც აღიარებული არიან სათანადოდ და რომელიც არ იღებენ შესაბამის ჯილდოს სხვა ფორმით, შეიძლება ისარგებლონ პირადი მომსახურებით შესაბამისი რეგლამენტაციის პირობით; ამ შემთხვევაში ყოველგვარი საჭირო ღონისძიება განხორციელდება ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

#### მუხლი 8.

1. იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენების ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება მოცუმული ტერიტორიის უმაღლეს სამოქალაქო ხელისუფლებას.

2. ამასთან ამ ხელისუფლებას შეუძლია უმაღლეს ადგილობრივ ხელისუფლებას მისცეს უფლება გამოიყენოს იძულებითი ან სავალდებულო შრომა იმ შემთხვევებში, როცა ასეთი შრომა არ გამოიწვევს მშრომელთა ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებას. ამ ხელისუფლებას შეუძლია აგრეთვე ამ კონვენციის 23-ე მუხლით გათვალისწინებული რეგლამენტაციით განსაზღვრულ პერიოდებში და პირობებით უმაღლეს ადგილობრივ ხელისუფლებას



მისცეს უფლება, მშრომელებით ჩააბას იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩვეული საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით, თუკი ასეთი შრომა გაუადვი-ლებს ადმინისტრაციის მოხელებს მიმდსვლას, მოვალეობათა შესრულებისას და აღმინისტრაციის ტვირთის გადაზიდვას.

### მუხლი 9.

იმ შემთხვევების გარდა, როცა ამ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულია სხვა რამ, ხელისუფლების ორგანო, რომელსაც აქვს იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩამდის უფლება, ვიდრე გადაწყვეტს შრომის ამგვარი ფორმით გამოყენებას, მოვალეა წინასწარ დარწმუნდეს, რომ:

a) სამსახური ან სამუშაო, რომლებიც უნდა შესრულდეს, წარმოადგენს პირდაპირ და მნიშვნელოვან ინტერესს იმ კოლექტივისათვის, რომელმაც ეს უნდა შეასრულოს;

b) სამსახური ან სამუშაო წარმოადგენს აუცილებლობას ამჟამად ან ახლო მომავალში;

c) ამ სამუშაოსათვის ან სამსახურისათვის შეუძლებელია ნებაყოფლობითი მუშახელის მიღება, მიუხედავად იმისა, რომ შეთავიზებული იყო ისეთი ხელფასი და სამუშაო პირობები, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე ანალოგიური სამსახურისათვის ან სამუშაოსათვის არის პრაქტიკაში;

d) მოსახლეობისათვის ამ სამსახურის ან სამუშაოს შედეგები არ იქნება მეტად მძიმე ტვირთი არსებული მუშახელისა და ამ მუშახელის მიერ აღნიშნული სამუშაოს შესრულების უნარის გათვალისწინებით.

### მუხლი 10.

1. იძულებითი ან სავალდებულო შრომა, რომელიც მოითხოვება როგორც ბეგარა, და იძულებითი ან სავალდებულო შრომა, რომელსაც მიმართავნ ადმინისტრაციული მოვალეობის შემსრულებელი ტომთა ბელადები საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულებისათვის, თანდათან უქმდება.

2. ამ გაუქმებისათვის იმ შემთხვევებში, როცა იძულებითი ან სავალდებულო შრომა მოთხოვნილი იქნება, როგორც ბეგარა და როცა იძულებითი ან სავალდებო შრომა ადმინისტრაციული მოვალეობის შემსრულებელი ტომთა ბელადების მიერ იქნება დაწესებული საზოგადოებრივი სამუშაოს შესასრულებლად, დაინტერესებული ხელისუფლება წინასწარ უნდა დარწმუნდეს, რომ:

a) სამსახური ან სამუშაო, რომლებიც უნდა შესრულდეს, წარმოადგენს იმ კოლექტივის პირდაპირ და მნიშვნელოვან ინტერესს, რომელმაც ეს სამუშაო უნდა შეასრულოს;

b) სამსახური ან სამუშაო არის აუცილებელი ამჟამად ან ახლო მომავალში;

c) მოსახლეობისათვის ამ სამუშაოს ან სამსახურის შედეგები არ იქნება მე-

ტად მძიმე ტვირთი ასუბული მუშახელის და ამ მუშახელის მიერ აღნიშნული სამუშაოს შესრულების უნარის გათვალისწინებით;

ა) ამ სამსახურის ან სამუშაოს შესრულება არ აიძულებს შრომელებს და-ტოვონ მათი ჩვეული საცხოვრებელი ადგილებზ;

ბ) ამ სამსახურის ან სამუშაოს ხელმძღვანელობა წარიმართება რელიგიის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნების შესაბა-მისად.

### მუხლი 11.

1. იძულებით ან სავალდებულო შრომაში შეიძლება ჩააბან მხოლოდ ზრდასრული შრომისუნარიანი მამრობითი სქესის პირები არანაკლებ 18 და არა უმეტეს 45 წლის ასაკისა. ამ კონვენციის მე-10 მეხლით გათვალისწინებული კა-ტეგირის სამუშაოთა გარდა, დაცული უნდა იყოს შემდეგი შეზღუდვები და პირობები:

ა) ყველა შემთხვევაში, როცა ეს შესაძლებელია, ადმინისტრაციის დანიშ-ნულმა ექიმმა წინასწარ უნდა დაადასტუროს, რომ მოცემული პირები არ არიან დაავადებული რომელიმე ინფექციური დავადებით, ფიზიკურად ვარგისნი არიან დაწესებული სამუშაოსა და იმ პირობებისათვის, რომლებშიც ეს სამუ-შაო სრულდება;

ბ) უნდა გათვალისწილდნენ სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, აგ-რეთვე მთელი ადმინისტრაციული პერსონალი;

ც) ყველა კოლექტივში უნდა დარჩეს საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრე-ბისათვის აუცილებელი რაოდენობა მოზრდილი და შრომისუნარიანი მამაკაცე-ბისა.

დ) საოჯახო და ცოლქმრული კავშირების პატივისცემა.

2. პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული მიზნებისათვის ამ კონ-ვენციის 23-ე მუხლით გათვალისწინებული რეგლამენტური განსაზღვრავს იმ წილს მოსახლეობის მუდმივი შრომისუნარიანი მამაკაცების რაოდენობიდან, რომელთა ერთდროული ჩაბმა იძულებით ან სავალდებულო შრომაში შესაძ-ლებელია, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ წილმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადააჭარბოს ამგვარი მოსახლეობის 25 %-ს.

ასეთი წილის განსაზღვრისას კომპეტენტური ხელისუფლება ანგარიშს უწევს მოსახლეობის სიმჭიდროვეს, მის საზოგადოებრივ და ფიზიკურ გრძიოთა-რებას, წლის დროსა და იმ სამუშაოს ხასიათს, რომელიც უნდა შეასრულონ მოცემულმა პირებმა თავიანთ საცხოვრებელ ადგილას და საკუთარი სახსრებით, და საერთოდაც პატივს სცემს მოცემული კოლექტივის ნორმალური ცხოვრები-სათვის საჭირო ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საჭიროებებს.

### მუხლი 12.

1. მაქსიმალური პერიოდი, რომლის განმავლობაში ესა თუ ის პირი შეიძლება ჩატაროს სხვადასხვა ფორმის იძულებით ან სავალდებულო შრომაში, არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 60 დღეს. ამასთანავე სამუშაო აღვილამდე მისვლისა და უკან დაბრუნებისათვის აუცილებელი დრო შედის ამ 60 დღეში.

2. იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩატარებული ყოველ მშრომელს მიეცება მოწმობა, რომელშიც აღნიშნული იქნება ასეთი შრომის პერიოდები, რომლებშიც მან უკვე გამოიმუშავა.

### მუხლი 13.

1. იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩატარებული ყოველი პირის ნორმალური სამუშაო დღის ხანგრძლივობა ისეთივე უნდა იყოს, როგორც თავისუფალი დაქირავების პირობებში, ხოლო დრო, რომელიც პირმა იმუშავა ჩვეულებრივი ნორმის გადამეტებით, ანაზღაურდება ისეთივე განაკვეთებით, როგორც ანაზღაურდება თავისუფალი დაქირავებული შრომის ზეგანაკვეთური სამუშაო.

2. იძულებით ან სავალდებულო შრომის ამა თუ იმ ფორმაში ჩატარებულ პირს ეძლევა კვირაში ერთი დასვენების დღე. ეს დღე შესაძლებლობის მიხედვით ემთხვევა მოცემული ქვეყნის ან რაიონის ტრადიციებით ან ჩვეულებებით განსაზღვრულ დღეს.

### მუხლი 14.

1. იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმა, გარდა ამ კონვენციის მე-10 მუხლში მოხსენიებული სამუშაოებისა, ანაზღაურდება ნაღდი ფულის იმ განაკვეთებით, რომლებიც არ შეიძლება იყოს იმ განაკვეთებზე ნაკლები, რომლებიც დადგენილია ასეთივე სამუშაოებისთვის ან იმ რაიონში, სადაც ეს სამუშაო სრულდება, ან იმ რაიონში, სადაც დაიქირავეს მშრომელები, ამასთან გმოიყენება უმაღლესი განაკვეთები.

2. იმ შემთხვევებში, როცა სამუშაოს დაწესებენ, ადმინისტრაციული მოვალეობის შემსრულებელ ტრმთა ბელადების ხელფასის გადახდა წინა პუნქტებით გათვალისწინებული პირობებით შემოღებული უნდა იყოს შესაძლებლად მოკლე დროში.

3. ყოველ მშრომელს პერსონალურად უნაზღაურდება ხელფასი, და არა მისი ტრმის მეთაურს ანდა რომელმებს სხვა ხელისუფლებას.

4. დღეები, რომლებიც დახარჯულია სამუშაო აღვილამდე და იქიდან უკან მგზავრობაში, ხელფასის გაცემის მიზნისათვის ითვლება სამუშაო დღეებად.

5. ამ მუხლის შედეგად არ იკრძალება მშრომელთათვის ჩვეულებრივი სასურსათო ულუფის გაცემა ხელფასის ნაწილის წილად იმ პირობით, რომ ეს ულუფი ტოლფასი იქნება იმ ფულადი თანხის მაინც, რომელიც მათ უნდა



შეცვალონ, მაგრამ არ შეიძლება ხელფასიდან არანაირი გამოქვითვა არც გადასახადების სახით და არც მშრომელთათვის შრომის განსაკუთრებულ პირობებში სამუშაოს გაგრძელებისათვის საჭირო უნარის შენარჩუნებისათვის მიცემული კვებისათვის, ტანსაცმლისათვის, ბინისათვის, აგრეთვე სამუშაო იარაღებისათვის.

### მუხლი 15.

1. მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი ან მომავალში ამოქმედებული ყველა კანონი, რომელიც ეხება წარმოებაში უბედური შემთხვევებისას ან პროფესიული ავადმყოფობისას ანაზღაურებას და ყველა კანონი, რომელიც ითვალისწინებს იმ პირთათვის დახმარებას, რომელიც იმყოფებოდნენ გარდაცვლილი ან შრომისუნარდაკარგული მშრომელის კმაყოფაზე, გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომელიც ჩაბმული არიან იძულებით ან სავალდებულო შრომაში იმ საფუძველზე, როგორც თავისუფალი დაქირავებული მშრომელების მიმართ.

2. ყოველ შემთხვევაში ყველა ხელისუფლება, რომელიც იძულებით ან სავალდებულო შრომაში აბამს მშრომელებს, მოვალეა უზრუნველყოს მშრომელთა არსებობა, თუ წარმოებაში უბედური შემთხვევის ან პროფესიული დაავადების გამო მშრომელი მთლიანდ ან ნაწილობრივ მოკლებულია უნარს თავი ირჩინოს. ეს ხელისუფლება აგრეთვე მოვალეა ყველაფერი იღონოს ყოველი იმ პირის სარჩენად, რომელიც ნამდვილად იძყოფებოდა ამ მშრომელის კმაყოფაზე ან უკანასკნელის სიკვდილის, ან მისი სამუშაოს შედეგად შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

### მუხლი 16.

1. იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩაბმული პირები, განსაკუთრებულად აუცილებელი შემთხვევების გარდა, არ შეიძლება გადაყვანილ იქნენ იმ რაიონებში, სადაც კვების და კლიმატური პირობები იმდენად განსხვავებულია მათთვის ჩვეული პირობებისაგან, რომ სახითათოა მათი ჯანმრთელობისათვის.

2. არავითარი შემთხვევაში არ დაიშვება მშრომელთა გადაყვანა, თუ ზუსტად არ განხორციელდა ყველა ის ღონისძიება ჰიგიენასა და საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებელია მშრომელთა მოწყობისათვის და მათი ჯანმრთელობის დაცვისათვის.

3. თუ ასეთი გადაყვანა აუცილებელი აღმოჩნდა, კომპეტენტურ სამედიცინო დაწესებულებებთან კონსულტაციების შემდეგ ხორციელდება ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა ახალ კლიმატურ პირობებთან და კვებასთან თანდათანობით შეგუებას.

4. თუ მშრომელები ჩაბმულნი იქნებიან მათთვის უჩვეულო სამუშაოს რეგულარულ შესრულებაში, უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი მათი ამ სახის

სამუშაოებისადმი მიჩვევის უზრუნველსაყოფად, კერძოდ, თანდათანობით სწავლებასთან, სამუშაო საათებთან, დასვენების ორგანიზაციასთან, კვების ულუფის გაუმჯობესებასთან ან გაზრდასთან დაკავშირებით ისე, როგორც ეს საჭირო იქნება.

### მუხლი 17.

ვიდრე დაშვებული იქნება მშრომელთა ჩაბმა იძულებით ან სავალდებულო შრომაში იმ სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად, რომელთა შედეგადაც მშრომელებს მოუწევთ სამუშაო ადგილზე დიდხანს დარჩენა, კომპეტენტური ხელისუფლება უნდა დარწმუნდეს, რომ:

1. ყველაფერი იღლნებს მშრომელთათვის სათანადო პიგიენური პირობებისა და აუცილებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად და რომ, კერძოდ:

- a) ამ მშრომელებმა უნდა გაიარონ სამედიცინო შემოწმება სამუშაოს დაწყებამდე და ამ სამუშაოს მთელი ხნის განმავლობაში გარკვეული პერიოდულობით; b) გათვალისწინებული იყო საქმარისი სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა, აგრეთვე ნებისმიერი საჭიროებისათვის აუცილებელი დისპანსერების, სავალდებულოების, პასპიტლების შექმნა და ყველა საჭირო მოწყობილობით აღჭურვა; c) სამუშაო ადგილზე დამაკმაყოფილებლად არის უზრუნველყოფილი კარგი პიგიენური პირობები, მშრომელთა მომარაგება სასმელი წყლითა და სურსათით, სათბობით, აგრეთვე სამზარეულო აღჭურვილობით და აუცილებლობის შემთხვევაში ტანსაცმლითა და ბინით დამაკმაყოფილებლად უზრუნველყოფა.

2. მშრომელთა ოჯახების არსებობის უზრუნველსაყოფად მიღებულია შესაბამისი ზომები, კერძოდ, მშრომელთა თანხმობით ან თხოვნით მათი ოჯახისათვის საიმედო გზით ხელფასის ნაწილის გაგზვნა.

3. ადმინისტრაციის პასუხისმგებლობისა და მისი ხარჯით უზრუნველყოფილია მშრომელთა მგზავრობა სამუშაო ადგილამდე და უკან და რომ ადმინისტრაცია გაუადვილებს ამ მგზავრობას ტრანპორტის ყველა ხელმისაწვდომი საშუალების შესაძლებლად ფართო გამოყენებით.

4. იმ შემთხვევაში, თუ მშრომელმა დროებით დაკარგა შრომის უნარი ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის გამო, მისი ჩვეულ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ხარჯებს გაიღებს ადმინისტრაცია.

5. ნებისმიერ მშრომელს იძულებითი ან სავალდებულო შრომის ვადის გასვლის შემდეგ თავისი სურვილით შეუქმია დარჩეს იმავე ადგილზე თავისუფალ დაქირავებულ მუშად. მას მიეცემა ამის უფლება იმ უფლების ჩამორთმევის გარეშე, რომ ორი წლის განმავლობაში თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნდეს უფასოდ.

1. იძულებითი ან საგალდებულო შრომა, რომელიც დაკავშირებულია ხალ-ხის გადაყვანასთან და ტვირთზიდვასთან, როგორც, მაგალითად, მებარგულები-სა და მენიჩევებისა, უქმდება რაც შეიძლება მოკლე ვადაში. ამ გაუქმებამდე კომპეტენტური ხელისუფლება ვალდებულია გამოსცეს რეგლამენტით, რომე-ლიც, კერძოდ, განსაზღვრავს: а) იმ ვალდებულებას, რომ შრომის ეს ფორმა გა-მოიყენონ მხოლოდ აღმინისტრაციის მოხელეთა მიმოსვლის გასაადგილებლად, როცა ისინი თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ, ან აღმინისტრა-ციის ტვირთის გადაზიდვისას, ანდა მაშინ, როცა სრულიად აუცილებელი და გა-დაუდებელია სხვა პირების გადაყვანა, რომელიც აღმინისტრაციის მოხელენი არ არიან; б) მოვალეობას, ამგვარ გადაზიდვებში ჩაბას მხოლოდ ის მშრომელი მამაკაცები, რომელიც წინასწარი სამედიცინო შემოწმებით მიჩნეული არიან ვარგისად ამ სამუშაოს შესრულებისათვის, თუკი ასეთი შემოწმება შესაძლებე-ლია. თუ შეუძლებელია, პირი, რომელიც გამოიყენებს ასეთ მუშახელს, თავისი პასუხისმგებლობით უნდა დარწმუნდეს, რომ ამ მშრომელებს აქვთ საჭირო ფი-ზიკური უნარი და არ სჭირო ინფექციური სენი; გ) იმ ტვირთის მაქსიმალურ წონას, რომელიც უნდა წაიღონ მშრომელებმა; დ) მაქსიმალურ მანძილს, რომ-ლითაც შესაძლებელია მშრომელი დავაშოროთ თავის ჩვეულ საცხოვრებელ ად-გილს; ე) თვეში დღეების მაქსიმალურ რაოდენობას ან ნებისმიერ სხვა პერიოდს, რომლის განმავლობაში მშრომელი შეიძლება ჩაებას შრომაში, ამასთან დღეე-ბის ამ რაოდენობაში შედის საცხოვრებელ ადგილს დასაბრუნებლად საჭირო დღეებიც; ფ) იმ პირებს, რომელსაც უფლება აქვთ ჩაბან იძულებით ან სავალ-დებულო შრომაში, აგრეთვე ამ უფლების მოქმედების ფარგლებს.

2. წინა პუნქტის „ც“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მაქსიმუმე-ბის განსაზღვრისას, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები მხედველობაში იღებენ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფაქტორს, კერძოდ, მოსახლეობის ფიზიკურ უნარს, მშრომელთა მიერ გასავლელი მარშრუტის ხასიათს, აგრეთვე კლიმატურ პირობებს.

3. გარდა ამისა, კომპეტენტური ხელისუფლება ყველაფერს ღონისძიების მისათ-ვის, რომ მებარგულების ნორმალურმა, ყოველდღიურმა მარშრუტმა არ გადა-ჭარბოს მანძილს, რომელიც შეესაბამება სამუალოდ 8 საათიანი დღის ხან-გრძლივობას. ამასთანავე ამ მანძილის განსაზღვრისას მხედველობაში იღებენ არა მხოლოდ ტვირთის წონას და მარშრუტის სიგრძეს, არამედ გზის მდგომარე-ობასაც, წელიწადის დროსაც და ამასთან ყველა სხვა დაკავშირებულ ფაქტორს, ზეგანავეთურ დროს მუშაობის აუცილებლობის შემთხვევაში. ასეთი სამუშაო ანაზღაურდება ჩვეულებრივ განაკვეთზე უფრო მაღალი განაკვეთებით.

მუხლი 19.

1. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები მიწის იძულებითი დამუშავების ნებართვის იძლევიან მხოლოდ შიმშილის თავიდან ასაცილებლად ან სასურასათო პროდუქტების ნაკლებობისას და ყოველთვის იმ პირის მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ან სურსათი დარჩება იმ კოლექტივისა და პირის საკუთრებაში, რომელმაც ის აწარმოვა.

2. ამ მუხლის შედეგად არ უნდა შეიცვალოს კოლექტივის წევრთა მოვალეობა შესასრულონ კანონით ან კოლექტივის ჩვეულებით დაწესებული სამუშაო, თუ წარმოება ორგანიზაციებულია კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად და პროდუქტები და პროდუქტების გაყიდვის შემდეგ მოგება რჩება კოლექტივის საკუთრებაში.

მუხლი 20.

კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიურ დასჯას და გამოიყენება მთლიანად კოლექტივის მიმართ იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია მისი რომელიმე წევრის მიერ, არ შეიძლება ითვალისწინებდეს, როგორც სასჯელის ღონისძიებას, კოლექტივის იძულებითი ან სავალდებულო შრომას.

მუხლი 21.

იძულებითი ან სავალდებულო შრომა არ გამოიყენება მაღაროებში მიწისჭეშა სამუშაოების შესასრულებლად.

მუხლი 22.

ამ კონვენციის დებულებათა განხორციელების ღონისძიებათა შესახებ ყოველწლიური მოხსენებები, რომლებსაც ორგანიზაციის ის წევრები, რომელთაც რატიფიკაცია უქნეს ამ კონვენციას, ვალდებულებას იღებენ წარუდგინონ შრომის საერთაშორისო ბიუროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 22-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, უნდა შეიცავდეს ყველა შესაბამის ტერიტორიასთან დაკავშირებით შესაძლებლად სრულ ინფორმაციას იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოიყენების ზომის შესახებ ამ ტერიტორიაზე, აგრეთვე შემდეგ საკითხებზე: ამ შრომის გამოიყენების მიზნები, ავადმყოფობისა და სიკვდილის შესახებ მონაცემები, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, განაკვეთი და ხელფასების გაცემის წესი, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული ყველა სხვა მონაცემი.

მუხლი 23.

1. ამ კონვენციის დებულებათა შესრულების მიზნით კომპეტენტური ხელი-

სუფლება გამოსცემს სრულ და ზუსტ რეგლამენტაციას იძულებითი ან სავალ-დებულო შრომის გამოყენების შესახებ.

2. ეს რეგლამენტაცია, კერძოდ, შეიცავს წესს, რომელიც იძულებით ან სავალდებულო შრომაში ყოველ პირს აძლევს უფლებას ხელისუფლებას წაუყინოს ნებისმიერი პრეტენზია შრომის პირობებთან დაკავშირებით, და მისი პრეტენზიების განხილვისა და გათვალისწინების გარანტიას.

#### მუხლი 24.

იძულებითი ან სავალდებულო შრომის წესების ზუსტად დაცვის უზრუნველყოფისათვის ყველა შემთხვევაში მიიღება შესაბამისი ზომები ან ამგვარ (ე. ი. იძულებით ან სავალდებულო) შრომაში ნებისმიერი (თავისუფალი, დაქირავებული შრომით), უკვე არსებული ინსპექციის ორგანოს ფუნქციების გავრცელების გზით, ან ნებისმიერი, სხვა შესაბამისი სისტემის საშუალებით მიიღება აგრეთვე ზომები იმისათვის, რომ ეს წესები გაეცნოს იძულებით ან სავალდებულო შრომაში ჩაბმულ პირებს.

#### მუხლი 25.

იძულებითს ან სავალდებულო შრომაში უკანონო ჩაბმა სისხლის სამართლის წესით და ორგანიზაციის ყველა წევრი, რომელმაც რატიფიკაცია უქნა ამ კონვენციას, ვალდებულია უზრუნველყოს რეალური ეფექტიანობა და კანონით დაწესებული სანქციების ზუსტად აღსრულება.

#### მუხლი 26.

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრი, რომელმაც რატიფიკაცია უქნა ამ კონვენციას, ვალდებულია გამოიყენოს იგი მხოლოდ იმ ტერიტორიული მიზანისათვის, რომელიც იმყოფებიან მისი სუვერენიტეტის იურისდიქციის, პროტექტორატის, სიუზერენიტეტის, მეურვეობის ან მმართველობის ქვეშ იმდენად, რამდენადაც მას უფლება აქვს იყისროს მოვალეობა, რომელიც ეხება შიდა იურისდიქციას. თუ ორგანიზაციის ამ წევრს სურს ისარგებლოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის დებულებით, მან უნდა დაურთოს დოკუმენტს რატიფიკაციის შესახებ განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება:

1) ტერიტორიები, რომლებზეც იგი აპირებს ამ კონვენციის დებულების გამოყენებას ცვლილებათა გარეშე.

2) ტერიტორიები, რომლებზეც იგი აპირებს ამ კონვენციის დებულების გამოყენებას ცვლილებებით და ამ ცვლილებათა დეტალებით.

3) ტერიტორიები, რომელთა მიმართაც იგი ჯეზერობით თავს იკავებს გადაწყვეტილების მიღებისაგან.



2. მითითებული განცხადება ჩაითვლება რატიფიკაციის შესახებ დოკუმენტის განუყოფელ ნაწილად და გამოიწვევს ერთნაირ შედეგს. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია მომდევნო განცხადების საშუალებით უარი თქვას წინა განცხადებაში შეტანილ შენიშვნებზე ან მათ ნაწილზე ამ მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების ძალით.

### მუხლი 27.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ამ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

### მუხლი 28.

1. ეს კონვენცია აქავშირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა დოკუმენტები რატიფიკაციის შესახებ რეგისტრირებულია შრომის საერთაშორისო ბიუროში.

2. ეს კონვენცია ძალაში შედის ორგანიზაციის ორი წევრის მიერ რატიფიკაციის შესახებ დოკუმენტების გენერალური დირექტორის მიერ რეგისტრაციიდან 12 თვის შემდეგ.

3. შემდეგში ეს კონვენცია ძალაში შედის ორგანიზაციის თითოეული წევრის მიმართ ამ წევრთა მიერ რატიფიკაციის შესახებ დოკუმენტის რეგისტრაციიდან 12 თვის შემდეგ.

### მუხლი 29.

როგორც კი რეგისტრირებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ორი წევრის სარატიფიკაციო დოკუმენტები, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი ამას აცნობებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს. იგი აცნობებს მათ აგრეთვე ორგანიზაციის სხვა წესდების მიერ წარდგნილი სარატიფიკაციო დოკუმენტების რეგისტრაციას.

### მუხლი 30.

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც დაარატიფიცირა ეს კონვენცია, მისი ძალაში თავდაპირველი შესვლის მომენტიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ შეუძლია დენონსაციის აქტით მისი დენონსირება, რაც უნდა აცნობოს შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს. რეგისტრირებულთათვის დენონსაცია ძალაში შედის შრომის საერთაშორისო ბიუროს მიერ დენონსაციის აქტის რეგისტრაციიდან 1 წლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის ყველა წევრი, რომელმაც დაარატიფიცირა ეს კონვენცია, წინა მუხლში მოხსენიებული ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ერთი წლის



ვადაში არ ისარგებლებს ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლებით, იქნება შეზღუდული შემდეგი 5 წლის ვადით და შემდგომ ამ მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად შეუძლია ამ კანვენციის დენონსაცია ყოველი ხუთწლადინი პერიოდის გასვლის შემდეგ.

გვერდი 31.

ყოველთვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს აღმინისტრაციული საბჭო საჭიროდ ჩათვლის, იგი გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გმოყენების შესახებ და გადაწყვეტს, არის თუ არა საჭიროება კონფერენციის დღის წესრიგში შეიტანონ ამ კონვენციის ნაწილობრივი ან სრული გადასინჯების საკითხი.

გუნდი 32.

1. თუ გენერალური კონფერენცია მიიღებს ამ კონვენციის სრული ან ნაწილობრივი შეცვლით ახალ კონვენციას, მაშინ ირგანზაციის წევრის მიერ ახალი, შეცვლილი ვარიანტის ჩატიფიკაცია გამოიწვევს ამ კონვენციის ავტომატურ დენონსაციას ვადისა და 30-ე მუხლის დებულების შესახებ რაიმე პირობების გარეშე, თუ ახალი, შეცვლილი კონვენცია შევიდა ძალაში.
  2. ახალი, შეცვლილი კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ეს კონვენცია დახურული იქნება ორგანიზაციის წევრების მიერ რატიფიკაციისათვის.
  3. ეს კონვენცია ყოველ შემთხვევაში ძალაში რჩება თავისი ფორმითა და შინაარსით ორგანიზაციის იმ წევრებისათვის, რომლებმაც იგი დაარატიფიკირეს, ხოლო ახალი, შეცვლილი კონვენციის რატიფიკირება არ მოქმედინათ.

გუნდი 33.

ამ კონვენციის ფრანგული და ინგლისური ტექსტები თანაბარძალოვანია.

საქართველოს კარლაშვილის დადგენილება

**522** „კოველალიერი ზასიანი გვეგულების გესახებ“  
პონაკეციასთან გერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას.

2. ამის შესახებ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**      **პახტანგ ბოგეაძე**  
თბილისი, 1995 წლის 22 თებერვალი.

## 523 პონავეცია ყოველწლიური ფასიანი მავაზღვაის შესახებ<sup>1</sup>

შრომის საერთაშორისო ბიუროს აღმინისტრაციული საბჭოს მიერ უნივერსიტეტის შესახებ 1936 წლის 4 ივნისს თავის მე-20 სესიაზე შეკრებილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია, რომელმაც

და ადგი და და მთელი რიგი წინადადებები ყოველწლიური ფასიანი შეებულებების შესახებ, რაც წარმოადგენს სესიის დღის წესრიგის მე-2 პუნქტს,

გადა და წყვიტა ამ წინადადებებისთვის მიეცა საერთაშორისო კონვენციის ფორმა:

იღებს ათას ცხრას იცდათექსმეტი წლის იცდაოთხი ივნისის ქვემოთ კონვენციას, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს, როგორც 1936 წლის კონვენცია ფასიანი შეებულებების შესახებ:

### მუხლი 1.

1. ეს კონვენცია გამოიყენება ყველა პირის მიმართ, რომელიც დასაქმებული არიან ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ საწარმოებსა თუ დაწესებულებებში იმისგან დამოუკიდებლად, ეს ობიექტები სახელმწიფოა თუ კერძო:

a) საწარმოებში, სადაც იწარმოება, იცვლება და იწმინდება, შეკეთდება, შეიძებნება, გაიწყობა, გასაყიდად დამზადდება, დაშლება ან განადგურდება საგნები, ანდა საწარმოებში, სადაც მასალები გადამუშავდება, მათ შორის გემთმშენებელ საწარმოებში ან ელექტრონუნერგიის ან სხვა ნებისმიერი სახის მამოძრავებელი ძალის წარმოების, ტრანსორშაციის ან გადამცემ საწარმოებში;

b) საწარმოებში, რომლებიც მთლიანად ან უმთავრესად დასაქმებულია მშენებლობით, რეკონსტრუქციით, შენახვით, შეკეთებით, გადაკეთებით ან დემონტაჟით:

შენობებისა,  
სარეკონსტრუქციისა,  
ტრამვაის ხაზებისა,  
აეროპორტებისა,

<sup>1</sup> ძალაში შესვლის თარიღია 1939 წლის 22 სექტემბერი.

ნავსადგურებისა,

დოკებისა,

პირსებისა,

წყალდიდობისაგან ან სანაპირო ზოლის ეროზიისაგან დაცვის ნაგებობებისა, არხებისა,

შიდა, საზღვაო ან საპარაზო ნავიგაციის მიზნებისათვის განკუთვნილი ნაგებობებისა,

გზებისა,

გვირაბებისა,

ხიდებისა,

ვიალუკებისა,

საკანალიზაციო სისტემებისა,

წყალსადინარებისა,

ჭებისა,

საირიგაციო ან საშრობი ნაგებობებისა, ელექტროკავშირგაბმულობის მოწყობილობებისა,

გაზის ან ელექტროენერგიის მწარმოებელი და გამნაწილებელი საწარმოებისა,

მილსადენებისა,

წყალმომარაგების სისტემებისა

და იმ საწარმოებში, რომლებიც ასრულებენ სხვა მსგავს სამუშაოებს ან მშენებლობისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს, ან მუშაობენ საძირკვლის ჩაყრაზე, რაც წინ უსწრებს ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოებს;

c) იმ საწარმოებში, რომელთაც გადაპყვავთ მგზავრები ან გადააჭირთ ტვირთო გზატკეცილზე, ან რეინიგზით, შიდა სამდინარო ან საპარაზო გზებით, დოკებში, ნავსაბელებში, ნავმისადგომებში, საწყობებში ან აეროპორტებში ტვირთის დამუშავების ჩათვლით;

d) შახტებში, კარიერებში ან სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ სხვა საწარმოებში;

e) კომერციულ ან სავაჭრო საწარმოებში, ფოსტისა და ელექტროკავშირგაბმულობის ჩათვლით;

f) იმ დაწესებულებებში ან აღმინისტრაციულ ორგანოებში, რომელთა პერსონალი დასაქმებულია უმთავრესად საკანცელარიო სამუშაოებით;

g) პერიოდული პრესის საწარმოებში;

h) იმ დაწესებულებებში, რომლებიც დასაქმებულია ავადმყოფთა, დაუძლებულთა, ღატაკთა ან ჰესისუსტრია მოვლით;

i) სასტუმროებში, რესტორანებში, პანსიონებში, სასადილოებში, კლუბებში, კაფეებში და საზოგადოებრივი კვების სხვა მსგავს დაწესებულებებში;



1) თეატრებში და საზოგადოებრივი გართობის სხვა ადგილებში;

2) იმ შერეულ კომერციულ და სამრეწველო საწარმოებში, რომელიც მთლიანად არ მოიცავს ზემოქმართვლილ კატეგორიებს.

2. ყოველი ქვეყნის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო მეწარმეთა ან მშრომელთა ძირითად დაინტერესებულ თრგანიზაციისთან კონსულტაციების შემდეგ, იქ, სადაც ასეთები არის, მიზნავს, ერთი მხრივ, წინა პუნქტით განსაზღვრულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, და, მეორე მხრივ, მათ, რომელთა მიმართაც ეს კონვენცია არ გამოიყენება.

3. ყოველი ქვეყნის ხელისუფლების კომპეტენტურ თრგანოს შეუძლია ამ კონვენციის გამოიყენების სფეროდან გამორიცხოს:

a) პირები, რომლებიც საქმიანობენ იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში, სადაც დასაქმებული არიან მხოლოდ მეწარმის ოჯახის წევრები;

b) პირები, რომლებიც საქმიანობენ სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც სამსახურის პირობები მათ აძლევთ იმ ყოველწლიური ფასიანი შვებულების უფლებას, რომელიც ხანგრძლივობით მეტნაკლებად ამ კონვენციით დაწესებული შვებულების ტოლია.

### მუხლი 2.

1. ყოველ პირს, რომლის მიმართ გამოიყენება ეს კონვენცია, უფლება აქვს ერთი წლის განმავლობაში უწყვეტი მუშაობის შემდეგ ისარგებლოს ყოველწლიური ფასიანი შვებულებით, რომელიც 6 სამუშაო დღის ტოლი მაინც უნდა იყოს.

2. 2016 წელზე ახალგაზრდა პირებს, მათ შორის მოსწავლეებს, უფლება აქვთ ერთი წლის განმავლობაში უწყვეტი მუშაობის შემდეგ ისარგებლონ ყოველწლიური ფასიანი შვებულებით, რომელიც 12 სამუშაო დღის ტოლი მაინც უნდა იყოს.

3. ყოველწლიურ ფასიან შვებულებაში არ შედის:

a) ოფიციალური და ტრადიციული დღესასწაულები;

b) მუშაობის პერიოდში ავადმყოფობით გამოწვეული შესვენებები.

4. ეროვნული კანონებით ან წესებით შეიძლება განსაკუთრებულ ვითარებაში ნებადართულ იქნეს ნაწილებად დაიყოს ის ყოველწლიური ფასიანი შვებულების წილი, რომელიც ამ კონვენციით დაწესებულ მინიმალურ ხარგრძლივობას აქვარებს.

5. ყოველწლიური ფასიან შვებულების ხანგრძლივობა იზრდება მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობის შესაბამისად იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც დაწესებულია ეროვნული კანონებით ან წესებით.

### მუხლი 3.

ყოველი პირი, რომელიც შვებულებაში გადის ამ კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, შვებულების მთელი პერიოდისათვის იღებს:



- a) ან ეროვნული კანონებითა და წესებით განსაზღვრული ხერხით გამოითვლილ თავის ჩვეულებრივ ჯილდოს ნატურის სახით ჯილდოს შესაბამისი ფულადი ევივალენტის დამატებით, თუკი ასეთი არის;
- b) ან ჯილდოს, რომელიც განსაზღვრულია კოლექტიური შეთანხმებით.

#### მუხლი 4.

ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს ყოველწლიური ფასიათნი შვებულების უფლებას ან არ იძლევა ასეთი შვებულების უფლებას, ითვლება ბათილად.

#### მუხლი 5.

ეროვნული კანონები ან წესები შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პირმა, რომელიც თავისი ყოველწლიური შვებულების განმავლობაში იმუშავებს ფასიან სამუშაოზე, შეიძლება დაკარგოს შვებულების პერიოდის ანაზღაურება.

#### მუხლი 6.

პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეწარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს.

#### მუხლი 7.

ამ კონვენციის დებულებათა ეფექტურად განხორციელების გასაიოლებლად ყოველი დამქირავებელი კომპეტენტური ორგანოს მიერ მოწონებული ფორმით უნდა აწარმოებდეს ჩანაწერს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- a) მის მიერ დაქირავებული ყოველი პირის მიერ მუშაობის დაწყების თარიღი და იმ ყოველწლიური ფასიანი შვებულების ხარგრძლივობა, რომლის უფლებაც ყოველ ასეთ პირს აქვს;
- b) ყოველი პირის ყოველწლიური ფასიან შვებულებაში გასვლის თარიღი;
- c) ყოველი პირის მიერ მიღებული ჯილდო ყოველწლიური ფასიანი შვებულების პერიოდში.

#### მუხლი 8.

ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია, შეიმუშავებს სანქციების სისტემას კონვენციის დებულებათა გამოყენების უზრუნველსყოფად.

#### მუხლი 9.

ამ კონვენციით არ ირღვევა კანონით, სასამართლო გადაწყვეტილებით, ჩვე-



ულებით ან მეწარმესა და მშრომელს შორის დადებული შეთანხმებით დაუტენილი ის დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ უკეთეს პირობებს, ვიდრე ამ კონტენციითაა გათვალისწინებული.

### მუხლი 10.

ამ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრირებისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

### მუხლი 11.

1. ეს კონვენცია აკავშირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს რომელთა დოკუმენტები რატიფიკაციის შესახებ რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.

2. იგი ძალაში შედის ორგანიზაციის ორი წევრის რატიფიკაციის შესახებ დოკუმენტების გენერალური დირექტორის მიერ რეგისტრირებიდან თორმეტი თვეს შემდეგ.

3. შემდგომში ეს კონვენცია ძალაში შედის ორგანიზაციის ყოველი წევრის მიმართ რატიფიკაციის შესახებ მისი დოკუმენტის რეგისტრირებიდან თორმეტი თვეს შემდეგ.

### მუხლი 12.

როგორც კი რეგისტრირებული იქნება დოკუმენტები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ორი წევრის რატიფიკაციის შესახებ, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი ამის თაობაზე ატყობინებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს. იგი აგრეთვე აცნობებს მათ კონვენციის რატიფიკაციის შესახებ ყველა დოკუმენტის რეგისტრირების თაობაზე, რომლებიც მან შემდგომში მიღორ თორგანიზაციის სხვა წევრებისაგან.

### მუხლი 13.

1. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც ამ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, ძალაში მისი თავდაპირველად შესვლიდან 10-წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, შეუძლია კონვენციის დენონსირება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი და მის მიერ რეგისტრირებული აქტით; დენონსირება ძალაში შედის დენონსაციის შესახებ აქტის რეგისტრირებიდან 1 წლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც ამ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, თუ წინა პუნქტში მოხსენებული ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ერთი წლის ვადაში არ ისარგებლებს ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსირებით უფლებით, დაკავშირებული იქნება ამ კონვენციასთან შემდგომი ათწლიანი პერიოდისათვის და საბოლოოდ ამ კონვენციის დენონსირებას შედ-

ლებს ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.

#### მუხლი 14.

ყოველთვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს აღმინისტრაციული საბჭო საჭიროდ მიიჩნევს, იგი გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ კონვენციის გამოყენების შესახებ და გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა კონფერენციის დღის წესრიგში მისი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვის საკითხის შეტანა.

#### მუხლი 15.

იმ შემთხვევაში, თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელშიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადასინჯვლია კონვენცია, და თუ ახალი გადამსინჯველი კონვენცია არ ითვალისწინებს საწინააღმდევოს, მაშინ:

ა) ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, გადამსინჯველი კონვენციის რატიფიკაცია გამოიწვევს ამ კონვენციის ავტომატურ, მე-13 მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, დაუყოვნებლივ დენონსირებას იმ პირობით, რომ ახალი გადამსინჯველი კონვენცია შევიდა ძალაში;

ბ) ახალი, გადამსინჯველი კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან დაწყვებული, ეს კონვენცია დახურულია ორგანიზაციის წევრებისათვის სარატიფიკაციოდ.

2. ეს კონვენცია ყოველ შემთხვევაში თავისი ფორმითა და შინაარსით ძალაშია ორგანიზაციის იმ წევრთა მიმართ, რომელთაც მოახდინეს მისი და არა ახალი, გადამსინჯველი კონვენციის რატიფიკაცია.

#### მუხლი 16.

ამ კონვენციის ფრანგული და ინლისური ტექსტები თანაბარძალოვანია.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**524 საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს გურამ სანადირაძე საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი  
თბილისი, 1995 წლის 22 თებერვალი.

გახტანგ გოგიაძე

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**525 „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის კანონის მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე  
თბილისი, 1995 წლის 23 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**526 „იმუნდეფიციტის ვირუსით ინფექციის პროცე-  
დაპიკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლი-  
კის კანონის მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე  
თბილისი, 1995 წლის 23 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**527 „რესაუბლიკაზი სისხლისა და მისი კომარნეონტების დონორობის შესახებ“ საქართველოს რეს-  
პუბლიკის კანონის მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.**

საქართველოს პარლამენტის აღმასრულებელი უძღვის მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“  
საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე  
თბილისი, 1995 წლის 23 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**528** „საქართველოს რესპუბლიკის კურორტების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის კურორტების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1995 წლის 23 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**529** „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1995 წლის 23 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**530** ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო რეზელირებისა და ლიცენზირების შესახებ

აღნიშვნას რა საქართველოს რესპუბლიკაში ბუნებრივი რესურსების რეგულირებაში შექმნილ მძიმე ვითარებას, იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი რესურსების რეგულირება გადაიწილებულია მრავალ უწყებას შორის, ხშირ შემთხვევაში ბუნებრივი რესურსების მართვა (აორიცხვა, რეგულირება, ზედმხედველობა, კონტროლი) დავალებული აქტით ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლებს („საქნავთობს“, „საქეოლოგიის“, სატურ მეურნეობის დეპარტამენტებს და სხვ.), აგრეთვე, იმ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, და სარგებლობს რა „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართვე-

ლოს რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებით, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მინიჭოს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვის (აღრიცხვა, რეგულირება, ზედამხედველობა, კონტროლი) ფუნქცია და ყველა სახის ბუნებრივი რესურსებით (მათ შორის წიაღით და წიაღისულით) სარგებლობის ლიცენზირების განუყოფელი უფლებამოსილება.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს:

ა) ერთი თვის ვადაში გადაწყვეტოს შესაბამისი მმართველობითი სტრუქტურების სალიცენზიონ სამსახურების საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროსათვის გადაცემის საკითხი; დაამტკიცოს მისი ახალი დებულება, სტრუქტურა და მართვის სფეროს მიკუთვნებულ ორგანიზაციათა ნუსხა; შესაბამისად მოახდინოს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციათა ფუნქციონირებისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებათა გადანაწილება და კორექტირება, აგრძელებელი, შეიტანოს სათანადო ცვლილებები იმ უწყებათა დებულებებსა და სტრუქტურებში, რომელთა გარკვეული ფუნქციებიც გადაეცემა გარემოს დაცვის სამინისტროს;

ბ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს პროექტი საქართველოს რესპუბლიკის აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სიმართლის კოდექსებში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული სანქციების გამქარების შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს სამი თვის ვადაში, ერთობრივად, დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებით (სახეობათა მიხედვით) სარგებლობის წესის (დებულების) პროექტები და ამავე ვადაში შემჩნას ბუნებრივი რესურსების ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ფონდი.

4. 1995 წლის 1 ივნისიდან ყველა სახის ბუნებრივი რესურსების სარგებლობაზე აღრე გაცემული ნებართვა და ლიცენზია ეჭვემდებარება ხელახალ რეგისტრაციის საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროში. ამასთან, აღრე გაცემული ნებართვისა და ლიცენზიის პირობების შეცვლა დაშვებულია მხოლოდ მათი ნებართვის ან ლიცენზიის გაცემის დროს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.

5. ეს დაცვენილება არ ვრცელდება მიწასა და მიწის რესურსებზე.

6. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა სხვა აღრე მიღებული ნორმატიული აქტი მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში ამ დაცვილებასთან.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

თბილისი, 1995 წლის 23 თებერვალი.

**გახტანდ ბობაძე**

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**531 „სამადიცინო ბადასახადის შესახებ“ საქართველოს რესაუდიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„სამედიცინო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგაძე  
 თბილისი, 1995 წლის 24 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**532 „ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე ბადასახადის შესახებ“ საქართველოს რესაუდიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგაძე  
 თბილისი, 1995 წლის 24 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**533 „სამხადრო დანაშაულობებისადმი და პაციენტობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ხანდაზმულობის ვადის მიუღებლობის შესახებ“ კონვენციასთან შეერთების თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს „სამხედრო დანაშაულობებისადმი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ხანდაზმულობის ვადის მიუღებლობის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის.

2. ამის შესახებ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგეაძე

თბილისი, 1995 წლის 24 თებერვალი.

**534** პონავენია სამხედრო დაცაშაულობებისადმი და  
პაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დაცაშაუ-  
ლობებისადმი ხანდაზულობის ვადის მიუღებ-  
ლობის შესახებ

პრეამბულა

ეყრდნობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1965 წლის 28 ივლისის 1074 (XXXIX) და 1966 წლის 5 აგვისტოს 1158 (XL) რეზოლუციებს სამსედრო დანაშაულისათვის დასჭის და იმ პირთა დასჭის შესახებ, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;

აღნიშნავენ, რომ არც ერთ საერთაშორისო დეკლარაციაში, აქტება თუ კონვენციაში, რომლებიც ეხება სამხედრო დანაშაულის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლოს წესით დევნას ან დასჭას, არ არის დებულება ხანდაზმულობის ვარის შესახებ;

მიაჩნიათ, რომ საექთაშორისო სამართლის შესატყვისად სამხედრო დანაშაულობანი და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ყველაზე მძიმე დანაშაულია;

ეყრდნობა ამ არქიტექტორთა დანაშაულობათა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადგნილ დანაშაულობათა ეფექტიანად დასჭა მნიშვნელოვან არქიტექტორთა დანაშაულობათა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადგნილ დანაშაულობათა ეფექტიანად დასჭა მნიშვნელოვან

ვანი ფაქტორია ამგვარ დანაშაულთა აღკვეთის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის, ხალხთა შორის თანამშრომლობის წახალისებისა და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში;

აღ 6 ი შ ნა ვ ე ნ, რომ სამხედრო დანაშაულობებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისადმი ჩვეულებრივი დანაშაულობებისათვის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გამოყენება შიდასახელმწიფო ებრივი სამართლებრივი ნორმებით იწვევს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის სერიოზულ შემფორებას, ვინაიდან ხელს უშლის ამგვარ დანაშაულობათა ჩამდენი პირების სასამართლოს წესით დევნასა და დასჯას;

აღ ი ი რ ე ბ ე ნ, რომ ამ კონვენციის მუშვეობით დროულ და აუცილებელ საერთაშორისო სამართალში დამკადრდეს პრინციპი — სამხედრო დანაშაულის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის არ არსებობს ხანდაზმულობის ვადა, ასევე დროული და აუცილებელია ამ პრინციპის საყველთაოდ გამოყენების უზრუნველყოფა;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1.

ხანდაზმულობის ყოველგარი ვადა, მათი ჩადენის დროის მიუხედავად, მიუღებელია შემდეგი დანაშაულობების ჩადენისათვის:

ა) სამხედრო დანაშაულობანი, როგორც ისინი განსაზღვრულია ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის 1945 წლის 8 აგვისტოს წესდებით და დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1946 წლის 13 თებერვლის 3(I) და 1946 წლის 11 დეკემბრის 95(I) რეზოლუციებით; ასევე „სერიოზული დარღვევები“, რომელიც მითითებულია უნივერსიტეტის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციებში ომის მსხვერპლთა დაცვის შესებ;

ბ) დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, დამოუკიდებლად იმისაგან, ჩადენილია ომის თუ მშვიდობიანობის დროს და როგორც ისინი განსაზღვრულია 1945 წლის 8 აგვისტოს ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებით და დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1946 წლის 13 თებერვლის 3(I) და 1946 წლის 11 დეკემბრის 95 (I) რეზოლუციებით; გაძევება შეარაღებული თავდასხმის ან ოკუპაციის გზით, აგრეთვე აპარტეიდის შედეგად მომხდარი არაადამიანური მოქმედებანი; გენოციდის დანაშაული, განსაზღვრული 1948 წლის კონვენციით გენოციდის დანაშაულის აღკვეთის და მისთვის დასჯის გამო, იმ შემთხვევებშიც, როდესაც ჩამოთვლილი მოქმედებანი არ არღვევს იმ ქვეყნის შიდასახელმწიფო ებრივი კანონმდებლობას, სადაც ისინი იქნა ჩადენილი.

### მუხლი 2.

პირველ მუხლში მითითებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევა-

ში ამ კონვენციის დებულებანი გამოყენება სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ან კერძო პირების მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს ან მონაწილეობა მიღეს ამგვარ დანაშაულთა ჩადენაში, ან აქეზებდნენ მათ ჩასადენად, ან მონაწილეობდნენ შეთქმულებაში მათ განსახორციელებლად, მიუხედვად დანაშაულთა დასრულების ხარისხისა, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, რომელთაც დაუშვეს აღნიშნულ დანაშაულობათა ჩადენა.

### მუხლი 3.

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, მიღლონ ყველა შესაბამისი, შეიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ან სხვა სახის ღონისძიება, რომლის მიზანია საერთაშორისო სამართლის შესაბამისად შეიქმნას პირობები ამ კონვენციის მეორე მუხლში მითითებულ პირთა გადასცემად.

### მუხლი 4.

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას თავიანთი კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად მიღლონ ნებისმიერი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა კანონით ან სხვაგვარად დადგენილი ხანდაზმულობის ვადა არ იქნეს გამოყენებული ამ კონვენციის პირველ ან მეორე მუხლებში მითითებული დანაშაულობებისათვის და დამნაშავე პირთა სასამართლოს წესით დევნისა და დასჯის დროს, და იქ, სადაც აღნიშნული დანაშაულობებისათვის გამოყენება ხანდაზმულობის ვადა, მისი გამოყენება გაუქმდეს.

### მუხლი 5.

ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა 1969 წლის 31 დეკემბრამდე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი ნებისმიერი სპეციალიზებული დაწესებულების წევრი ან ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგნენტოს წევრი, ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის საერთაშორისო სტატუსის მონაწილე, ასევე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიწვია ამ კონვენციის მონაწილედ.

### მუხლი 6.

ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები დე-პონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

### მუხლი 7.

ეს კონვენცია შესაერთებლად ღიაა მე-5 მუხლში მითითებული სახელმწი-



ფონებისათვის, დაკუმენტები შეერთების შესახებ დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდგვანთან.

მუხლი 8.

1. ეს კონვენცია ძალაში შედის გენერალურ მდივანთან მეათე საჩატიფიკა-ციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებითან 90-ე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა ამ კონკრეტულის ჩატიფიცირება ან შეუტრდა მას, იგი ძალაში შედის ამ სახელმწიფოს სარატიფიკაციო სიგნისა ან შეერთების შესახებ დოკუმენტის დაპონირებიდან 90-ე დღეს.

გუნდი 9.

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან 10 წლის შემდეგ ნებისმიერმა მონა-  
წილე სახელმწიფომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივ-  
ნის სახელშე წერილობით გაგზავნილი შეტყობინებით შეიძლება ითხოვოს კონ-  
ვენციის გადასინჯვა.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იღებს გადაწყვეტილებას, თუ აუცილებლობის შემთხვევაში რა ზომებია მისაღები ამგვარი თხოვნის დასაქმეყოფილებლად.

მუკლი 10.

1. ეს კონვენცია ინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდგვართან.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გნერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადასცემს მე-5 მუხლში მითითებულ ყველა სხელმწიფოს.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მე-5 მუხლში მითითებულ სახელმწიფოებს აცნობებს:

ა) ამ კონვენციის ხელმოწერის და მე-5, მე-6, მე-7 მუხლების შესაბამისად სარატიფიკაციო სიგვლების ან შეერთების შესახებ დოკუმენტების შესანახად გადაცემის შესახებ;

б) მე-8 მუხლის თანახმად, ამ კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ;

с) №-9 მუხლის შესაბამისად მიღებულ შეტყობინებათა შესახებ.

გუნდი 11.

ეს კონვენცია, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, დათარიღებულია 1968 წლის 26 ნოემბრით,

Հուս դաստիրագույն, Տառանցածող պատմությունը կազմության մեջ էլեմենտ է համարվում:

კონვენცია ძალაში შევიდა 1970 წლის 11 ნოემბერს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**535 „მსოფლიო გავრცია მოთაცებასთან დაკავშირებული სამოქადაცო ასაეპთების ჟასახებ“ პაბის საერთაშორისო კონვენციასთან საქართველოს რესახლიკის ჟავერთების თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღდგინს:

1. შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა პააგის საერთაშორისო კონვენციას „მსოფლიოში ბავშვთა მოტაცებასთან დაკავშირებული სამოქალაქო ასპექტების შესახებ“.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ კონვენციასთან შეერთების თაობაზე აცნობოს ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგოლია**  
 თბილისი, 1995 წლის 24 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**536 ავხაზეთის ავტონომიური რესახლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ჟასახება**

1994 წლის 10 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაითხოვა აფხაზეთის ასრ უმაღლესი საბჭო.

აღნიშნული ნულოვანი გარიბანტი ქმნიდა იმის პირობებსაც, რომ აფხაზეთში ეთნოწმენდის შედეგად გამოძევებული ასიათასობით დევნილის დაბრუნების შემდეგ განისაზღვრებოდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი, მსოფლიოს მიერ ცნობილი, გაეროს რეზოლუციებით არაერთხელ დადასტურებული ქართული სახელმწიფოს ფარგლებში და მომზადდებოდა საფუძველი აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

მიუხედავად ამისა, ყოველგვარ ლეგიტიმურობას მოკლებულმა, ეროვნული უპირატესობის ნიშნით, წინასწარი საპარლამენტო უმრავლესობის გარანტით, მოსახლეობის უმცირესი ნაწილის მიერ 1991 წელს აფხაზეთის ასრ უმაღლეს საბჭოში არჩეულმა გუდაუთის სეპარატისტულმა დაჯვაფებამ კვლავ უკანონოდ გააგრძელა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახელით მოქმედება, უფრო მეტიც გ. წ. კონსტიტუცია, აირჩია პრეზიდენტი, გამოაცხადა აფხაზეთის

რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტია.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატებმა, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს, ჯერ კიდევ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე შეაჩერეს საქმიანობა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გუდაუთის სეპარატისტული დაჯუფების ანტიკონსტიტუციური საქმიანობისადმი პროტესტის ნიშანად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მათ 1995 წლის იანვარში განახლებს მუშაობა და სთხოვეს საქართველოს პარლამენტს კომპეტენციის დადასტურება.

საქართველოს პარლამენტს მიაჩინა, რომ აფხაზეთში არსებული ხელისუფლების ვაკუუმი სეპარატისტთა დაჯუფებას საშუალებას აძლევს გაიხანგრძლივოს დანაშაულებრივი უზურპატორული საქმიანობა, არ დაუშვას დევნილთა დაბრუნება, თავისუფალი არჩევნების ჩატარება და საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივი აღდგენა აფხაზეთის რეგიონში.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ — უმაღლეს საბჭოდ — ცნობილ იქნეს 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული ის დეპუტატები, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და არ მონაწილეობდნენ გუდაუთის სეპარატისტულ დაჯუფებასთან ერთად ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში (სი ერთვის დედანს).

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ თავისი საქმიანობა წარმართოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონტიტუციის და იმ საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კანონმდებლობას; შექმნას აუკილებელი სამართლებრივი ბაზა, რაც უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სტრუქტურის ნორმალურ ფუნქციონირებას და აფხაზეთში დემოკრატიულ არჩევნების ჩასატარაჟებლად სათანადო ნორმატიული ბაზის შექმნას.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მიერთოს უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულება, შეთანხმება და განცხადება.

4. გვეროს წევრ სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს ეთხოვთ თავი შეიკავონ ყოველგვარი ურთიერთობისაგან ეთნიკურ წმენდაში —

გენოციდში დამნაშავე აგრესიულ-სეპარატისტულ რეჟიმთან (გუდაუთის დაჯუფებასთან), გარდა სამშვიდობო პროცესის მონაწილე ოფიციალური პირებისა, შეაძლებისა და დამკირვებლებისა, რომელთაც ყველა პირობა უნდა შეექმნათ სამშვიდობო მოღვაწეობისათვის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

5. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთვალისწილის დადგენილებისთვალის დადგენილებისათვის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუამი**  
თბილისი, 1995 წლის 24 თებერვალი.

1995 წლის მარტი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**537 „საქართველოს რესაუბლივის სისხლის სამართლის სააროვნესო კოდექსი ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს რესაუბლივის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუამი**  
თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**538 საფრანგეთის რესაუბლივასა და საქართველოს რესაუბლივას ურის ურთიერთგანვითარების, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს საფრანგეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ურთიერთგანვითარების, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუამი**  
თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

## ხელშეკრულება

### 539 საფრანგეთის რესაზღიპასა და საძართველოს რესაზღიპას მორის ჰრთიართგაბების, მაგრა- რობისა და თანამშრომლობის უსახება

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა, შემდგომში მხა-  
რებებად წოდებულინი:

იღებენ რა მტკიცე გადაწყვეტილებას განავითარონ თანამშრომლობა და მე-  
გობრული ურთიერთობები;

დარწმუნებული იმის აუცილებლობაში, რომ თავიანთი ურთიერთობები  
დააფუძნონ ნდობის, თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული ღირებულე-  
ბების, დემოკრატიისა და სამართლიანობის პრინციპებზე;

სკრობენ რა საერთაშორისო სამართლის უზენაესობას ქვეყნებს შორის  
ურთიერთობებში;

ეყრდნობიან რა გაეროს წესდების მიზნებსა და პრინციპებს;

ადასტურებენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის  
დასკვნითი აქტის და ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტის ხელმოწერით აღ-  
ბულ ვალდებულებებს;

დარწმუნებული არიან, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობის მომავალი  
მჭიდროდა დაკავშირებული ევროპასა და აზიაში მშვიდობის, უსაფრთხოებისა  
და სტაბილურობის განმტკიცებასთან;

ითვალისწინებენ რა ევროპის კავშირის მშენებლობასა და მის მნიშვნელო-  
ბას მშვიდობიანი და სოლიდურული ევროპის ჩამოყალიბების საქმიში;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ვალდებულებას  
კისრულობენ განავითარონ თანამშრომლობა ურთიერთნდობისა და ორმხრივი  
ინტერესების საფუძველზე.

მხარეები ხელს უწყობენ ფრანგ და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთგა-  
ებისა და მეგობრობის შემდგომ გალრმავებას.

ამ ხელშეკრულების დებულებების განხორციელების მიზნით, საჭიროების  
შემთხვევაში, მხარეები დადებენ ახალ შეთანხმებებს.

#### მუხლი 2.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა თანამშრომლო-  
ბენ როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ურთიერთობების ფარგლებში.



ერთგული არიან რა დემოკრატიისა და თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა, მხარეები თანამშრომლობენ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში ადამიანის უფლებების და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ხელშეწყობის სფეროში.

მხარეები მოქმედებენ, რათა თავიდან აიცილონ კონფლიქტები, უზრუნველყონ საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სამართლის უზენაესობა ამ ჰეყუნებს შორის ურთიერთობაში.

### მუხლი 3.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა აზრთა გაზიარების მიზნით, შესაბამის დონეზე, რეგულარულად ატარებენ კონსულტაციებს როგორც ორმხრივი, ასევე საერთაშორისო პრობლემების, კერძოდ კი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ძირითად საკითხებზე.

ამ სფროში მხარეები იმოქმედებენ ერთობლივად და შეთანხმებულად, რათა საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად დაახლოონ თავიანთი პოზიციები.

ამ მიზნით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მოეწყობა უმაღლესი დონის შეხვედრები. საგარეო საქმეთა მინისტრები, როგორც წესი, ერთმანეთს შეხვდებიან წელიწადში ერთხელ.

საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვერდები მოეწყობა საჭიროების მიხედვით.

ორი ხელშემკრელი მხარის მთავრობათა წარმომადგენლები საჭიროების მიხედვით შეხვდებიან ერთმანეთს ორმხრივი ინტერესების შემცველი საკითხების განსახილველად.

### მუხლი 4.

თუ ერთ-ერთი მხარის აზრით შეიქმნა სიტუაცია, რომ საფრთხე ემუქრება მშვიდობას, ირლვევა იგი ან ეჭვის ქვეშ დგას ქვეყნის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანები ინტერესები, ამ მხარეს შეუძლია მიმართოს მეორე მხარეს ამ საკითხებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ მოეწყოს კონსულტაციები. მხარეები შეეცდებიან შექმნილი სიტუაციის დასაძლევად შეიმუშაონ ერთობლივი მიღობა.

### მუხლი 5.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა კონსულტაციებს მართავენ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, რომელთა წევრებიც არიან, განსაკუთრებით გაერთს ფარგლებში, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დაახლოონ პრიორიტეტი და უზრუნველყონ ამ ორგანიზაციის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების მაქსიმალურად ეფექტური განხორციელება.

მუხლი 6.

საფრანგეთის რესპუბლიკა ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს საქართველოს რესპუბლიკასა და ევროგაერთიანების სტრუქტურებს შორის ურთიერთობების განვითარებას.

ვალდებულებები, ორმლებსაც იღებს საფრანგეთის რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკასთან ორმხრივი შეთანხმების მიხედვით, არ ეწინააღმდეგება ევროგაერთობის სტრუქტურების უფლებამოსილებებს, აგრეთვე მათი ინსტრუქტუების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მუხლი 7.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა მჭიდროდ თანამშრომლობენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობირის ფარგლებში.

მხარეები შეთანხმებულად მოქმედებენ, რათა განამტკიცონ მისი ინსტრუ-  
მები, კერძოდ, იურიდიული თვალსაზრისით, რათა უზრუნველყონ სტაბილუ-  
რობა, უსაფრთხოება და სამართლიანობა ევროპის კონტინენტზე.

მხარეები გნისაკუთრებით შეუწყობენ ხელს ისეთი პრინციპების მიღებას, რომლებიც დადებით როლს შეასრულებენ კონფლიქტების თავიდან აცილების საჭეში.

მხარეები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ევროპაში უშიშროების ხელშეკრულების დაღების მიზნით.

მუხლი 8.

საფრანგეთის რეჟისულობიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის კავშირის შექმნას, რაც ითვალისწინებს საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკის გატარებას, გააძლიერებს ევროპის შორის თანამშრომლობას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში სტაბილურობის განვითარების საქმეში.

საქართველო მთლიანად იზიარებს ამ პოზიციას.

მუხლი 9.

საფრანგეთის ჩესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ხაზებით აღ-  
ნიშნავენ განიარაღების შესახებ შეთანხმებათა მნიშვნელობას ეყრობისა და სა-  
ერთაშორისო უსაფრთხოებისათვის, მხარს უჭირენ ევროპაში უშიშროებისა და  
თანამშრომლობის თაობირის, განსაკუთრებით უშიშროების ფორუმის ფარ-  
გლებში განიარაღების პროცესს, ურთიერთნდობისა და უშიშროების განმტკი-  
ცებას, კონფლიქტების თავიდან აცილებას.

მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აიჰქვებენ ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანია მასობრივი განადგურების იარაღის გაუცრცლებლობა, ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვა და ამ მიზნით შეთანხმებული მოქმედება საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საფრანგეთის რესპუბლიკა კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის გადაწყვეტილებას იყოს ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ქვეყანა.

მუხლი 10.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ავითარებენ და აღმავებენ კონტაქტებს სამხედრო სფეროში. ამ მიზნით მხარეები რეგულარულად უცვლიან ერთმანეთს აზრებს თავიანთი თავდაცვითი კონცეფციების შესახებ.

მხარეები ხელს უწყობენ ურთიერთობის განვითარებას საგარეო და თავ-დაცვის სამინისტროებს შორის, აგრეთვე ორი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბებს შორის.

გუნდი 11.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკისა და სამეცნიერო-კულტურობრივი დარგებში.

புந்தோ 12.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ავითარებენ თანამშრომლობას კონკრეტურ და სოციალურ სფეროში კადრების მომზადების საქმეში. თითოეული მხარე ცდალობს თავის ტერიტორიაზე გაუმჯობესოს მეორე მხარის საწარმოებისათვის სამუშაო პირობები, განსაკუთრებით პირდაპირი ინკვესტიციებისა და კაპიტალურაბანკებათა დაკვირვების მიზნით.

გუნდი 13.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ხელს უწყობენ თავი სახელმწიფოს პარლამენტის მიერ თანამშრომლობას.

მუხლი 14.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ავითარებენ პირ-დაპირ კავშირებს ორი ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებს შორის, კერძოდ, ახდენენ ქალაქებს შორის დამმობილებას ამ ხელშეკრულების დებულებათა გათვალისწინებით.

მხარეები ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის პილიტიკურ, სოციალურ და პროფესიულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობას.

მუხლი 15.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ავითარებენ თანამშრომლობას განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში.

მხარეები ხელს უწყობენ ორივე სახელმწიფოში კულტურული დაწესებულებების დაარსებას. თითოეული მხარე შეეცდება უკეთესად გააცნოს მოსახლეობას მეორე მხარის მეცნიერული, ტექნიკური და კულტურული მიღწევები, ამ მიზნით გაადვილებს მეორე მხარის ლიტერატურის და პრესის მიწოდებასა და გავრცელებას.

თითოეული მხარე ცდილობს ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება მისცეს შეისწავლის მეორე მხარის ენა, კულტურა, ლიტერატურა და ისტორია.

საფრანგეთის რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ხალხების ურთიერგაცნობის მიზნით მხარეები ავითარებენ თანამშრომლობას ინფორმაციის საშუალებათა სფეროში.

მხარეები ხელს უწყობენ ორი სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის კავშირების დამყარებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

მხარეები ავითარებენ აგრეთვე თანამშრომლობას სპორტისა და ტურიზმის სფეროში. მხარეები შეიმუშავებენ ერთობლივ პროგრამებს, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომლებისა და ურთიერთგაცვლის პრიორიტეტულ მიმართულებებს კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში და აღგენენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათი განხორციელებისათვის; ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტებს, უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებებს, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, კულტურის დაწესებულებებსა და სხვა შესაბამის უწყებებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარებას.

მუხლი 16.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა, ითვალისწინებენ რა გარემოს დაცვის მნიშვნელობას, მჭიდროდ თანამშრომლობენ ამ სფეროში და ვალდებულებას კისრულობენ. ხელი შეუწყონ შეთანხმებულ ურთიერთქმედებას ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით.

მუხლი 17.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა მჭიდროდ თანამშრომლობენ საკონსულო სფეროში. მხარეები მნიან შესაბამის პირობებს ამ ორი სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის მიმოსვლისათვის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 18.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ხელს უწყობენ ორი სახელმწიფოს სამართლდამცავ დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, განსაკუთრებით ურთიერთდამარებას სამოქალაქო სამართლის სფეროში.

მხარეები თანამშრომლობენ ინტერპილის სისტემაში საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ დაწესებულებებს შორის; ერთობლივად იბრძვიან ორგანიზებული დამნაშავრების, ნარკოტიკებისა და კონტრაბანდის, მათ შორის ხელოვნების ნიმუშების უკანონოდ გადატანის წინააღმდეგ; აღრმავებენ თანამშრომლობას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

მუხლი 19.

საფრანგეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა თანამშრომლობენ ჰუმანიტარული დამხარების სფეროში და ხელს უწყობენ უფლებამოსილ დაწესებულებებს შორის შესაბამისი კავშირების დამყარებას.

მუხლი 20.

ამ ხელშეკრულების დებულებები არ ეწინააღმდეგება მხარეების მიერ მესამე ჰელის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს და არ არის ჩომელიმე მათგანის საპირისპიროდ მიმართული.

მუხლი 21.

ეს ხელშეკრულება რატიფიკაციას ექვემდებარება და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან ოცდაათი დღის შემდეგ.

ხელშეკრულება იდება ათი წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება ყველი ხუთი წლის შემდეგ. თითოეულ მხარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოახდინოს ხელშეკრულების დენონსაცია მეორე მხარისადმი დიპლომატიური არხებით დენონსაციის შესახებ წერილობითი შეტყობინების მეშვეობით. დენონსაცია ძალაში შევა ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

ხელმოწერილია ქ. პარიზში 1994 წლის 21 იანვარს ორ ეგზემპლარად, თი-

 თოვეული ფრანგულ და ქართულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანამდებობის  
ლა აქვს.

საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით  
პრეზიდენტი შრანცება მიტარანი  
პრემიერ-მინისტრი ედუარდ ბალადერი  
საგარეო საქმეთა მინისტრი ალან შევა  
საქართველოს რესპუბლიკის სახელით  
ედუარდ შევარდნაშვილი

საქართველოს რესპუბლიკის პანონი

## 540 საქართველოს აარღამენტის დროებითი კომისიის მისახად

თავი I. ზოგადი დაზულებანი

მუხლი 1.

საჭიროების შემთხვევაში ცალკეული საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტილების პროცესის (დასკვნის) მოსამართებელად, აგრეთვე პარლამენტის გამგებლობას მიუუთვნებული გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტის დროებითი ორგანოს სახით შეუძლია შექმნას სპეციალური ან საგამოძიებო კომისია.

საქართველოს პარლამენტის დროებითი სპეციალური ან საგამოძიებო კომისიის ფუნქციები პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს პარლამენტის ერთ მუდმივ კომისიას.

მუხლი 2.

საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის (შემდგომში „დროებითი კომისია“) შექმნის საკითხი განიხილება პარლამენტის თავმდგომარის — სახელმწიფოს მეთაურის, საპარლამენტო ფრაქციის, პარლამენტის მუდმივი კომისიის ან პარლამენტის წევრთა სულ ცოტა 10-კაციანი ჯუფის მოწიფირებული წინადადებით პარლამენტის იმავე ან უახლოეს სხდომაზე.

დადგენილებას დროებითი კომისიის შექმნის თაობაზე იღებს პარლამენტი წევრთა სიით შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 3.

დროებით კომისიაზე ვრცელდება „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-11, მე-12, მე-13,

მე-15, მე-16, მე-17 მუხლებით და ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

დროებითი კომისია უფლებამოსილია გენერალური პროკურორის წინაშე დასხვას საკითხი სისხლის სამართლის საქმის აღმინიტრაციული ან დისკიპლინული წარმოების აღძვრის შესახებ.

დროებითი კომისია უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე კანონით დადგნილი წესით დასვას საკითხი პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის წევრის, მინისტრთა კაბინეტის ნდობის შესახებ პარლამენტის წევრთა ხელმოწერის შეგროვების თაობაზე:

დროებით კომისიას შეუძლია პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოითხოვოს თანამდებობის პირის გადაყენება (გარდა ამ მუხლის მესამე ნაწილში გათვალისწინებული პირებისა). აღნიშნულ საკითხზე დადგენილების მიღებას მოჰყვება შესაბამისი პირის თანამდებობიდან გათავისუფლება.

საქართველოს პარლამენტის საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლია დროებით კომისიას მიანიჭოს სხვა უფლებებიც.

#### მუხლი 4.

დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადას განსაზღვრავს პარლამენტი.

ამ კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დროებითი კომისიის უფლებამოსილება დროებით ჩერდება.

თუ დროებითმა კომისიამ დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგინა განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების პროექტი (დასკვნა), მაშინ პარლამენტი მოისმენს კომისიის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს, რომლის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) გაგრძელდეს დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადა;

ბ) გადაირჩეს დროებითი კომისიის შემადგენლობა და გაგრძელდეს მისი უფლებამოსილების ვადა;

გ) შეწყდეს საკითხის შესწავლა და შესაბამისად დროებითი კომისიის უფლებამოსილება.

თუ პარლამენტი არასაკმარისად მიიჩნევს დროებითი კომისიის დასკვნას, იგი იღებს ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე ვერ მოხერხდა განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების პროექტის (დასკვნის) მომზადება, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ მოპოვებული მასალა შესაბამისი ანგარიშით გადაეცემა ახალი მოწვევის პარლამენტს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას საკითხის შემდგომი შესწავლისა და განხილვის შესახებ.



თავი II. დოკუმენტი პოვისის უფლება და უფლება  
და საქართველოს უფლება

მუხლი 5.

დროებითი კომისიის თავმჯდომარის არჩევა და გადარჩევა ხდება იმავე წე-  
სით, როგორიც დადგენილია საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების  
თავმჯდომარებისათვის.

დროებითი კომისიის თავმჯდომარე არჩევა დროებითი კომისიის უფლება-  
მოსილების ვადით.

მუხლი 6.

დროებითი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციებში გაერთია-  
ნებული და იმ პარლამენტის წევრების რაოდენობის პროპორციულად, რომლე-  
ბიც არ შედიან არც ერთ საპარლამენტო ფრაქციაში.

საპარლამენტო ფრაქციას, რომელშიც შედის 15-მდე წევრი, უფლება აქვს  
კომისიის შემადგენლობაში წარადგინოს ერთი კანდიდატი.

საპარლამენტო ფრაქციას, რომლის წევრთა რაოდენობა 15 კაცზე მეტია,  
ყოველ დამატებით 5 წევრზე შეუძლია კომისიის შემადგენლობაში წარადგინოს  
კიდევ ერთი კანდიდატი.

პარლამენტის წევრთა სულ ცოტა 10-კაციან ჯგუფს, რომლებიც არც ერთ  
საპარლამენტო ფრაქციაში არ შედიან, უფლება აქვთ კომისიის შემადგენლობა-  
ში წარადგინონ ერთი კანდიდატი. პარლამენტის წევრს არა აქვს უფლება მონა-  
წილეობა მიღოს ერთზე მეტი კანდიდატის დასახელებაში.

საპარლამენტო ფრაქციებისა და დეპუტატთა ჯგუფებიდან წარმოდგენილ  
კანდიდატთა შესახებ ეცნობება პარლამენტის სპიკერს, რომელიც გააცნობს მათ  
პარლამენტის სხდომას.

პარლამენტის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს მისცეს მოტივირებული აცი-  
ლება საპარლამენტო ფრაქციის ან სადეპუტატო ჯგუფის მიერ წარდგენილ კან-  
დიდატს. აცილების საკითხს კენჭი ეყრდნა დაუყოვნებლივ. აცილება მიღებულად  
ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭრეს პარლამენტის წევრთა სიით შემადგენლო-  
ბის უმრავლესობა. პარლამენტის წევრი, რომლის აცილებას პარლამენტმა არ  
დაუჭირა მხარი, ჩაითვლება დროებითი კომისიის წევრად.

საპარლამენტო ფრაქციას ან დეპუტატთა ჯგუფს, თუ პარლამენტმა უარყო  
მათ მიერ დასახელებული კანდიდატი, უფლება აქვთ პარლამენტის იმავე ან მომ-  
დევნო სხდომაზე წარადგინონ ახალი კანდიდატი.

საპარლამენტო ფრაქციის მიერ წარმოდგენილი დროებითი კომისიის წევრი,  
რომელიც გაირიცხა ან გავიდა ფრაქციის შემადგენლობიდან, წევრს თავის საქ-  
მიანობას კომისიაში. ფრაქციის უფლება აქვს წარადგინოს ახალი კანდიდატი.

### მუხლი 7.

დროებითი კომისიის პირველ საორგანიზაციო სხდომას იწვევს დროებითი კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა განსაზღვრავს კომისიის სტრუქტურას, შეიძლება კომისიის დებულებას და ირჩევს კომისიის ხელმძღვანელ პირებს.

საორგანიზაციო სხდომის ოქმი წარედგინება პარლამენტის კოლეგიას, რომელიც აგრეთვე ამტკიცებს დროებითი კომისიის დებულებას.

### მუხლი 8.

დროებითი კომისიის თავმჯდომარე წარმოადგენს კომისიას პარლამენტში, მის ფარგლებს გარეთ და შესაბამის საპარლამენტო შორისო ურთიერთობაში.

დროებითი კომისიის თავმჯდომარე იწვევს და უძღვება კომისიის სხდომებს, კოორდინაციას უწევს სექციებისა და კომისიის წევრების საქმიანობას, აკნტროლებს შრომის დისკიპლინას, ხელს აწერს კომისიის გადაწყვეტილებებს და სხდომის ოქმებს.

### მუხლი 9.

დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილუ აირჩევა ღია ან ფარული კონჭისყრით სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

თუ არჩევნებში მონაწილეობდა ერთი კანდიდატი და იგი არ აირჩია, ეწყობა ხელახალი არჩევნები ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესით.

თუ არჩევნებში მონაწილეობდა ორი ან მეტი კანდიდატი და გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ეწყობა ხელახალი კონჭისყრა. ამ შემთხვევაში კონჭის უყრიან იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს.

ხელახალი კონჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

ხმების თანაბრად გაყოფისას, ღია კონჭისყრის დროს, გადამწყვეტად ჩაითვლება კომისიის თავმჯდომარის ხმა.

თუ ფარული კონჭისყრით ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, ტარდება ღია კონჭისყრა ამ ორ კანდიდატს შორის.

დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადარჩევას კონჭი ეყრება, თუ ამას მოითხოვს კომისიის წევრთა სულ ცოტა 1/3. დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილუ გადარჩეულად ჩაითვლება, თუ ამას მხარს დაუჭირს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა.

დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილუ ცვლის კომისიის თავმჯდომარეს მისი დავალებით, მისი არყოფნის ან მოვალეობის შესრულებს შეუძლებლობის შემთხვევაში.

მუხლი 10.

დროებითი კომისიის მდივნის არჩევა და მისი გადარჩევა ხდება იმავე წესით, რაც დადგენილია დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილისათვის.

დროებითი კომისიის მდივანი ორგანიზაციას უწევს კომისიის სხდომების გამართვას, განავებს საქმისწარმოებას, თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერს სხდომის ოქმებს.

მუხლი 11.

დროებით კომისიას დამხმარე სტრუქტურის სახით შეუძლია შექმნას სექციები კომისიის სულ ცოტა 3 წევრის შემადგენლობით.

დროებითი კომისიის სექციას ხელმძღვანელობს კოორდინატორი, რომლის არჩევისა და გადარჩევისათვის დადგენილია იგივე წესი, რაც დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოადგილისათვის.

სექციას და მის ხელმძღვანელს არ შეუძლიათ თავიანთი ინიციატივით გაიტანონ საკითხი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. საკითხის განსახილველად გატანა შეუძლიათ მხოლოდ დროებითი კომისიის სხდომაზე.

მუხლი 12.

დროებითი კომისიის წევრთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ საქართველოს რეპუბლიკის კანონის 23-ე მუხლით.

კომისიის წევრი ვალდებულია შეასრულოს კომისიის დავალება.

მუხლი 13.

დროებითი კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია.

დროებითი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3.

გადაწყვეტილება მიღება სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

დროებითი კომისიის სხდომის მიმღინარეობა სრულად და ზუსტად უნდა აისახოს დროებითი კომისიის სხდომის ოქმში, რომლის შედგენაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი.

დროებითი კომისიის სხდომები იმართება ღიად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. კომისიის წევრის წინადადებით შეიძლება გადაწყდეს დახურული სხდომის მოწყობა. კომისიის სხდომის დრო და დღის წესრიგი, როგორც წესი, წინასწარ ეცნობებათ პარლამენტის წევრებს. სხდომას სათათბირო ხმის



უფლებით შეიძლება ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები და მოწვეული პირების მიერმაცია კომისიის სხდომების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

### მუხლი 14.

საჭიროების შემთხვევაში დროებითი კომისია შეიმუშავებს და ამტკიცებს სმუშაო გეგმას.

### მუხლი 15.

დროებითი კომისიის წევრის გამოყვანა კომისიის შემადგენლობიდან შეიძლება სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენის, დროებითი კომისიის დავალების შეუსრულებლობის ან კომისიის დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. ამ გადაწყვეტილებას იღებს დროებითი კომისია კომისიის სხდომაზე დამ-სწრე წევრთა ორი მესამედით, რის შესახებაც ეცნობება პარლამენტს.

## თავი III. საქართველოს პარლამენტის ჯროვანითი საეპიალური კომისია

### მუხლი 16.

საქართველოს პარლამენტს შეუძლია შექმნას დროებითი სპეციალური წევრდომში „სპეციალური კომისია“ კომისია ნებისმიერი ისეთი საკითხის განსახილებად ან ფუნქციის შესასრულებლად, რაც არ შედის პარლამენტის რომელიმე მუდმივი კომისიის კომპეტენციაში.

პარლამენტს შეუძლია შექმნას სპეციალური კომისია ისეთი საკითხის განსახილებად, რომელიც თუმცა შედის პარლამენტის რომელიმე მუდმივი კომისიის კომპეტენციაში, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების შემოთავაზებული პროცესი (დასკვნა) პარლამენტმა ორჯერ მაიც უარყო.

### მუხლი 17.

საქართველოს პარლამენტის დროებითი სამანდატო, ხმის დამთვლელი, სარედაქტო და შემთანხმებელი კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

## თავი IV. საქართველოს პარლამენტის ჯროვანითი საგამოძიებო კომისია

### მუხლი 18.

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის (შემდგომში „საგამოძიებო კომისია“) შექმნის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართვე-



ლობის ორგანოების, საქართველოს პარლამენტის წევრების და იმ თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედობის შესახებ, რომელთა დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების წესი განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის კანონით „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“;

ბ) ინფორმაცია ისეთი ფაქტების თაობაზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს.

თუ სპეციალური კომისიის საქმიანობის პროცესში გამოვლინდება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი, საქართველოს პარლამენტს შეუძლია მიღოს დადგენილება სპეციალური კომისიის საგამოძიებო კომისიად გარდაქმნის შესახებ.

#### მუხლი 19.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე აცნობებს საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს. თუ იმ ფაქტის გამო, რომელიც საფუძვლად დაედო საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ საკითხის დასმას, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, საგამოძიებო კომისია არ შეიქმნება.

განსახილველ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძრის შემთხვევაში საგამოძიებო კომისია აჩერებს თავის მუშაობას საქმის გამო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

#### მუხლი 20.

საგამოძიებო კომისიის სხდომები, როგორც წესი, დახურულია. კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს ღია სხდომა.

საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციის (მასალების), სხდომის ოქმების სრული ან ნაწილობრივი გამოქვეყნება დაიშვება პარლამენტის გადაწყვეტილებით.

საგამოძიებო კომისიის წევრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ კომისიის საქმიანობაში, ვალდებული არიან დაიცვან საპარლამენტო გამოძიების საიდუმლოება.

#### მუხლი 21.

საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, თანამდებობების პირები და მოქალაქეები ვალდებული არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საკირო მასალები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახური, შინაგან საქმეთა ორგანოებით ვალდებული არიან საგამოძიებო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინონ კომისიისათვის საჭირო ინფორმაცია, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც ეხება მათ საიდუმლო თანამშრომლებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებზეც შექმნილია ოპერატორულ-სამძებრიო საქმეები.

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების საგამოძიებო კომისიისათვის წარდგენა დაიშვება მხოლოდ შესაბამისი უწყების ხელმძღვანელ ორგანოსთან შეთანხმებით.

მუხლი 22.

საგამოძიებო კომისიას უფლება აქვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ამა თუ იმ გარემოების გამო მოიწვიოს ნებისმიერი პირი და ახსნა-განმარტება ჩამოართვას.

მუხლი 23.

საგამოძიებო კომისიის დასკვნა, როგორც წესი, განიხილება პარლამენტის დახურულ სხდომაზე. პარლამენტის გადაწყვეტილებით საგამოძიებო კომისია დასკვნასთან ერთად წარადგენს მის ხელთ არსებულ მასალას.

პარლამენტის გადაწყვეტილებით საგამოძიებო კომისიის დასკვნის განსახილველად შეიძლება მოწყოს ღია სხდომა. თუ დასკვნას თან ერთვის სისხლის სამართლის საქმის მასალები, ღია სხდომის მოსაწყობად აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანხმობა, ხოლო სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების პარლამენტის ღია სხდომაზე წარსადგენად აუცილებელია შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი ორგანოს თანხმობა.

დახურული სხდომის დაწყებისას სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს პარლამენტის წევრებს საგამოძიებო კომისიის, მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების, სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურებისათვის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის შესახებ.

თავი 7. სამართველოს პარლამენტის დოკუმენტი კომისიის  
საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

მუხლი 24.

დროებით კომისიას შეუძლია მოწვეულ ექსპერტებთან და სპეციალისტებთან გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით. დროებითი კომისია სარგებლობს პარლამენტის დამშმარე ორგანოების მომსახურებით.



დროებითი კომისია ფინანსდება საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიის  
სათვის დადგენილი წესით.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე**

— **სახელმწიფოს მეთაური**

**ელიარდ შევარდნაძე**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

**ვახტანგ ბობუაძე**

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება**

**541 „საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის  
ების შესახებ“ საქართველოს რესაუბლივის პა-  
ნონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღენს:

I. „საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების შესახებ“ საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის კანონი ამოშედველს გამოვლენებისთანავე.

2. საქართველოს პარლამენტის კოლეგიამ 1995 წლის 2 აპრილის დრუ-  
გინოს პარლამენტს წინადადებები ამ კანონის მიღებამდე შექმნილი დროებითი  
კომისიებისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების შესახებ.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

**ვახტანგ ბობუაძე**

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

**საქართველოს რესაუბლივის პანონი**

**542 საქართველოს რესაუბლივის სისხლის სამარ-  
თლის, სისხლის სამართლის სააროვესო და  
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პოდე-  
სებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის  
თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღენს:

I. 1960 წლის 30 დეკემბრის დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის  
სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები,  
1961 წ, № 1, მუხ. 10) დამტკიცებულ შემდეგი შინაარსის 206<sup>4</sup>, 206<sup>5</sup> და 206<sup>6</sup> მუხ-  
ლები:



„მუხლი 206<sup>4</sup>. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, თუ ეს ქმედობა ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის აღმინისტრაციული სახდელის გამოყენების შემდეგ, —

ისჯება თანამდებობიდან დათხოვნით ან ჯარიმით მინიმალური ხელფასის ას-მაგი ოდენობით, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამოთმევით ან უამისოდ.

მუხლი 206<sup>5</sup>. შეგნებულად ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის შეგნებულად ცრუ ახსნა-განმარტების მიცემა —

ისჯება თანამდებობიდან დათხოვნით ან ჯარიმით მინიმალური ხელფასის ას-მაგი ოდენობით, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ.

მუხლი 206<sup>6</sup>. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემების გახმაურება

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მონაცემების სათანადო ნებართვის გარეშე გახმაურება —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობით, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ“.

II. 1960 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. II) 126-ე მუხლის მე-3 ნაწილს ციფრის „206<sup>3</sup>“ შემდეგ დაემატოს ციფრები „206<sup>4</sup>, 206<sup>5</sup>, 206<sup>6</sup>“.

III. 1964 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის აღმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

I. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 173<sup>3</sup> მუხლი;

„მუხლი 173<sup>3</sup>. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობა

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა — გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდათი მინიმალური ოდენობით“;

2. 208-ე მუხლში ციფრის „173<sup>2</sup>“ შემდეგ დაემატოს ციფრი „173<sup>3</sup>“;

3. 239-ე მუხლს ბოლოდან მე-5 ნაწილად დაემატოს:

„ამ კოდექსის 173<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართლდარღვევის შესახებ ოქმს შეადგენს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე“.



IV. 252-ე მუხლის მე-2 ნაწილში ციფრის „170“-ე შემდეგ დაემატოთ კუთხით „173“.

V. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

— სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბობჩაძე

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

### საქართველოს პარლამენტის კანონი

## 543 საქართველოს სსრ ტყის კოდექსის ცვლილებაზარდა და და დამატებათა შესახებ

საქართველოს პარლამენტი აღენის:

საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ტყის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 254) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსში სიტყვები „საქართველოს სსრ“, „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“, „სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ“, „საქართველოს რესპუბლიკაში“, „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო“, „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები“, „სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმეორებულებელი ორგანოები“, „სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების“ შეიცვლოს შესაბამისად სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“, „საქართველოს რესპუბლიკაში“, „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები“, „მმართველობის ადგილობრივი ორგანოები“.

2. კოდექსიდან ამოღებულ იქნეს პრეამბულა, სიტყვები „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები“, „სამხრეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი“.

3. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი I. საქართველოს რესპუბლიკის ტყის კოდექსის ამოცანები

საქართველოს რესპუბლიკის ტყის კოდექსის ამოცანებისა სატყეო ურთიერ-



თობის რეგულირება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ტყეების რაციონალურობის გამოყენება, მათი მოვლა-დაცვა, კვლავწარმოება და პროდუქტიულობის გადიდება მექანიზასა და ტყის სხვა პროდუქტიზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ტყეების წყალშემნახავი, დაცვითი, ჰავის მარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი და სხვა სარგებლო ბუნებრივი თვისებების გასაძლეორებლად, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, კანონიერების განმტკიცება სატყეო ურთიერთობის დარგში“.

4. მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის ტყის კანონმდებლობა

საქართველოს რესპუბლიკაში სატყეო ურთიერთობას არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის ტყის კოდექსი და მის შესაბამისად გამოცემული ტყის კანონმდებლობის სხვა აქტები.“

5. მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. საადგილმამულო, საწყლო და სამთო ურთიერთობის რეგულირება

საადგილმამულო, საწყლო და სამთო ურთიერთობას საქართველოს რესპუბლიკაში არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობა“.

6. მეოთხე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ტყის საკუთრება

საქართველოს რესპუბლიკაში ტყე სახელმწიფო საკუთრებაა“.

7. მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5. ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდი

ტყე არის იმ მცენარეების, ცხოველების და სხვათა ერთობლობა, რომლებიც განვითარების პროცესში ურთიერთაკავშირებული არიან ბიოლოგიურად და ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე.

საქართველოს რესპუბლიკის ტყეები ქმნიან ერთიან სახელმწიფო ტყის ფონდს.

ერთიან სახელმწიფო ტყის ფონდში შედის სახელმწიფო ტყეები, მიჩენილი ტყეები და ნაკრძალები.

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებად ითვლება სატყეო მიწები, აგრეთვე არა-სატყეო, მაგრამ სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის განკუთვნილი მიწები.

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრები, რომლებიც მათ სხვა კატეგორიის მიწებისაგან მიზნავს, განისაზღვრება დადგენილი წესით“.

8. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან მეშვიდე მუხლი.

9. მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში“

სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას ექვემდებარება:

1. ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა;
  2. ტყებით სარგებლობის, მათი რაციონალური გამოყენების, ტყის კვლავწარმოების, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის ძირითადი დებულებების დაფგვა და ღონისძიებათა დაგეგმვა;
  3. საქართველოს რესპუბლიკის ტყეაფევის ფონდის ოდენობის, მისი განაწილებისა და ზეზური ხის გაცემის წესის დადგენა;
  4. სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასაჩვენებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების ძირითადი მიმართულებების დადგენა;
  5. შესაბამისი ტყის კატეგორიებისათვის ტყეების მიკუთვნებისა და მათი ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაყვანის წესის დადგენა;
  6. საქართველოს რესპუბლიკის ტყეთმოწყობის, ტყეების აღრიცხვის ერთიანი სისტემებისა და სახელმწიფო ტყის კადასტრის წესის დადგენა;
  7. ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, კვლავწარმოებისა და მოვლა-დაცვის სახელმწიფო კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა“.
  10. მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
- „მუხლი 9. სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენცია
- საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გამგებლობას ექვემდებარება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა, სახელმწიფო სატყეო ტყეებში სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასაჩვენებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების ღონისძიებათა ორგანიზაცია და გაძლილა, ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, კვლავწარმოების და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე, სატყეო ურთიერთობის სხვა საკითხების რეგულირება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად“.

- II. მეათე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
- „მუხლი 10. სახელმწიფო მმართველობა ტყეების გამოყენების, კვლავწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარგში
- საქართველოს რესპუბლიკის ტყეების მოვლა-დაცვას და კვლავწარმოებას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი.
- სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების კომპეტენცია საქართველოს რესპუბლიკის ტყეების მოვლა-დაცვის, კვლავწარ-

მოების და გამოყენების დარგში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკურ  
კანონმდებლობის შესაბამისად“.

12. მეცამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტით:
- „მუხლი 13. „ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, კვლავწარმოებისა და  
მოვლა-დაცვის სახელმწიფო კონტროლი

კველა ტყის მდგომარეობას, გამოყენებას, კვლავწარმოებას და მოვლა-დაც-  
ვას სახელმწიფო კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაც-  
ვის სამინისტრო“.

13. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან მეთექვსიმეტე და მეჩვიდმეტე მუხლები.

14. მეცხრამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტით:

„მუხლი 19. სატყეო მეურნეობის გაძლილის ღონისძიებათა დაგეგმვა

სატყეო მეურნეობის გაძლილის ღონისძიებან გათვალისწინებულია ეკო-  
ნომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში ხანგრძლივი  
პერსპექტივით და მათ ახორციელებენ შესაბამის სამინისტროები, უწყებები და  
სატყეო-სამეურნეო საწარმოები“.

15. მეოცე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტით:

„მუხლი 20. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვა-  
ლეობანი მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ტყის მიწების მიზნობრივი  
დანიშნულებით გამოყენებას და უზრუნველყოფენ ამ საწარმოთა სარგებლობა-  
ში ასებული მიწების დაცვას, განსაზღვრავენ ფართობებს, სადაც უნდა გან-  
ხორციელდეს სხვადასხვა სახეობის ტყითსარგებობა და შესრულდეს ტყის  
კვლავწარმოებისა და მოვლის ღონისძიებან, ამ კოდექსის 46-ე მუხლის შესაბა-  
მისად გადასცემენ მიწის ნაკვეთებს ტყითსარგებლობისა და მასთან დაკავშირე-  
ბული საჭიროებებისათვის, გამოყოფენ ნაკვეთებს ტყის სანერგების, პლანტა-  
ციებისა და სხვათა მოსაწყობად, აგრეთვე შეიძლება ჰქონდეთ სხვა უფლება-მო-  
ვალეობანი აღნიშნული მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი  
კრცელებება აგრეთვე სხვა საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე,  
რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვვებიან, და მათ ზემდგომ ორგანოებზე.

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი კონ-  
ტროლს უწევს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გამოყენებას მათი მიზნობ-  
რივი დანიშნულებით და მათ დაცვას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდე-  
ბლობით დადგენილი წესით“.

16. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან VI თავი.

17. VII თავის დასახელება და ოცდამეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი  
რედაქტით:



„თავი VII. ტყეების კატეგორიები  
მუხლი 29. ტყეების კატეგორიები

ტყევები რელიგიურის მიხედვით იყოფა მთისა და ბარის ტყევბად, რომლებიც ფუნქციური დანიშნულების, დაცვისა და სამეურნეო რეჟიმის მიხედვით იყოფა კატეგორიებად:

### **ა. ნაკრძალი ტყეები**

უნიკალური, ხელუხლებელი ან ნაკლებად სახეცვლილი ტყეების, მათში მიმდინარე პროცესების, ბიოლოგიური მრავალფეროვნების, მცენარეთა საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ცოცხალი ორგანიზმების გენოფონდის ხელუხლებელ მდგრამარტინაში შესაბამისობის მიზნებისა და მიზანების დარღვევა.

ნაკრძალ ტყებში დაშვებულია მხოლოდ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ტყის მცენარეთა და ცხოველთა გადასარჩევნად დაშვებულია მხოლოდ მიზნობრივი სალიკვიდაციო და სარეაბილიტაციო საქმიანობა.

ბ. ძვირფასი ტყის მასივები და ბუნების ძეგლები

ქვირეფის ტყის მასივებს და ბუნების ქეგლებს მიეკუთვნება ენდემური, ჩელიქტური, იშვიათ და ქვირეფის მეტერების სახეობათა არეალები და ერთოული ეგზემპლარები. ამ ტყეებში მეურნეობის ძირითადი რეჟიმით მათი შენარჩუნება, აღდგენა და სანიმუშო მდგომარეობაში მოყვანა. ამ ტყეებში აკრძალულია აღდგენითი (მთავარი) სარგებლობის ჭრა.

## გ. მწვანე ზონის ტყეები

მშვანე ზონის ტყების მიეკუთვნება ქალაქების და დასახლებული პუნქტების გარშემო განლაგებული პუნქტები; მეურნეობის წარმოების მიზანია ტყების რეკრეაციული, სანიტარულ-ჰიგიენური და ესთეტიკური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. ამ ტყებში აკრძალულია აღდგენითი ჭრის ჩატარება.

დ. ახლო ზონის საკურორტო ტურიზმი

ასლო ზონის საკურორტო ტურისტებს მიეკუთვნება კურორტების სანიტარიული დაცვის პრინციპი და შეიძლება ზონაში არსებული ტურისტი.

ტყის მუზეუმების წარმოების რეესტრის ტყეების კურორტოლოგიური და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგრადარეობის დაცვა და გაუმჯობესება. ამ ტყეებში აკრძალულია აღდგენითი ჭრა.

ე. შერეული ზონის საკურორტო ტყები

ეს ტუები არის ახლო ზონის საკურორტო ტუების ბუფერული ზონა, სა-დაც დაშვებულია ყველა სახის სატექ-სამეურნეო ონისძიების ჩრდილება.

3. ნიადაგდაკვით-წყალმარებელირეგისტრი წყვეტილი

ამ ტყევებში მეურნეობის წარმოების ძირითადი მიზანია ტყის გარემოს, კორომების მდგომარეობის, ტყის წყალშემნახვი, დაცვითი და სხვა თვისებების გაუმჯობესება და მერქნის დროული და ჩაკორნალური გამოყენება.



ზ. ბარის დაცვით-საექსპლოატაციო ტყეები

ბარის დაცვით-საექსპლოატაციო ტყეებს მიეკუთვნება სწრაფად აღდგენადი ტყის მასივები.

მათში სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებთან ერთად დაშვებულია ტყის პირწმინდა ჭრა“.

18. ოცდამეტათ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 30. ტყეების კატეგორიების მიხედვით მეურნეობის გაძლოლის, ტყეებისა და შესაბამისი მიწების გამოყენების წესს დადგენა

ტყეების კატეგორიების მიხედვით დადგენილია ამ ტყეებში მეურნეობის გაძლოლის, ტყეებისა და შესაბამისი მიწების გამოყენების, აგრეთვე ამ მიწების სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაცემის და ჩამორთმევის წესი“.

19. ოცდამეტერთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 31. ამა თუ იმ კატეგორიისათვის ტყეების მიკუთვნების, ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაყვანის, აკრძალული და დაცვითი ზოლების სიგანის დადგენისა და განსაკუთრებული დაცვითი უბნებისათვის ტყის უბნების მიკუთვნების წესი

ამა თუ იმ კატეგორიისათვის ტყეების მიკუთვნება, ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაყვანა, აკრძალული და დაცვითი ზოლების სიგანის დადგენა, აგრეთვე განსაკუთრებული დაცვითი ტყის უბნების გამოყოფა წარმოებს ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის, ადგილმდებარეობის, შესასრულებელი ფუნქციებისა და ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით. მსხვილი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით ტყეების ერთი კატეგორიიდან მეორე კატეგორიაში გადაყვანა ობიექტების მშენებლობის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს“.

20. ოცდამეტერთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32. შესაბამისი კატეგორიისათვის ტყეების მიკუთვნება და მათი ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაყვანა

შესაბამისი კატეგორიისათვის ტყეების მიკუთვნებას და ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაყვანას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი სატყეო მეურნეობის მართვის შესაბამისი სამსახურის წარდგინებით“.

21. ოცდამეთოთხმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 34. სატყეო ფართობების არასატყეო ფართობებად გადაყვანის წესი მათ გამოსაყენებლად იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძლოლასთან

სატყეო ფართობების გადაყვანა არასატყეო ფართობებად მათ გამოსაყენებლად იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძლოლასთან და ტყით სარგებლობის განხორციელებასთან, წარმოებს სა-

ქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წარდგენით“.

22. ოცდამეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლილასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტების მშენებლობა“

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს უფლება აქვს დადგენილი წესით აშენოს ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის არა-სატყეო მიწებზე სატყეო მეურნეობის გაძლილასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტები და საჭიროების შემთხვევაში გადაიყვანოს სატყეო ფართობები არასატყეო ფართობებად საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად“.

23. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 37-ე და 52-ე მუხლები.

24. მესამრცე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 60. ზეზეურად გაცემული ხის საფასურის ანაზღაურება ტყეებში ზეზეურად ხე გაიცემა დადგენილი ნიხრით გათვალისწინებულ ფასად.“

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, თავისუფლდებიან იმ მერქნის საფასურის გადახდისაგან, რომელსაც ტყის მოვლის და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებისას იღებენ“.

25. სამოცდამეოთხე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 64. არაპირდაპირი ტყეთსარგებლობის საერთო პირობები არაპირდაპირი ტყეთსარგებლობა ფასიანია.

ხის წვენებით, ველური ხილით, კაქლოვნებით, სოკოთი, კენკრით, თესლით, ტყენიკური ნედლულით და სამკურნალო მცენარეებით სარგებლობის წესებს, პირობებს და გადასახადს აღვენს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები არაპირდაპირი ტყეთსარგებლობის გადასახადისაგან თავისუფლდებიან.

არაპირდაპირი ტყეთსარგებლობა უნდა ხორციელდებოდეს ტყისათვის ზიანის მიუყენებლად“.

26. სამოცდამეხუთე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 65. თიბვა და პირუტყვის ძოვება

სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე, ტყეებში, ისეთ უბნებზე, სადაც შეიძლება ზიანი მიაღეს ტყეს, აქადალულია პირუტყვის ძოვება და თიბვა.

ტყეებში, რომლებიც არ გამოიყენება სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის საჭიროებისათვის, სათიბ-საძოვრები ეძლევათ მოქალაქეებს, საწარმო-ორგანიზაციებს, დაწესებულებებს დროებითი სარგებ-



ლობის უფლებით, თუ მათი გადაცემა და სარგებლობა შეესაბამება კანონიშექმნით გათვალისწინებულ მოთხოვნებს“.

27. 66-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა“.

28. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან XIX თავი 67-ე, 68-ე, 77-ე მუხლები, 72-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები.

29. ოთხმოცდამეთოთხმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 94. სასაზღვრო ზონაში ტყეთსარგებლობის წესი

სასაზღვრო ზონაში ტყეთსარგებლობა ხორციელდება რეჟიმის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ტყის კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, რომლებიც ამ საკითხებს არეგულირებს“.

30. ოთხმოცდამეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 96. ტყეთსარგებლობასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის წესი

ტყეთსარგებლობასთან დაკავშირებული დავა წყდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

31. ოთხმოცდამეჩვიდეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 97. სატყეო ურთიერთობასთან დაკავშირებული ქონებრივ დავა

სატყეო ურთიერთობასთან დაკავშირებულ ქონებრივ დავას წყვეტენ საარბიტრაჟო ან სხვა სასამართლოები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

32. ასმესუთ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 105. ტყეების მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელება

ტყეების მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელება ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს, რომელსაც აკისრია სატყეო მეურნეობის გაძლიერების შესაბამისი უფლებამოსილებანი.

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი:

აწყობს ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვას, ახორციელებს ტყის ხანძრის თავიდან აცილების, ხანძრის დროულად გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს;

იცავს ტყეებს უკანონო ჭრისაგან, დაზიანებისაგან, ტყეთსარგებლობისაგან, რომლებიც აზიანებს ტყეს და ზარალს აყენებს სატყეო მეურნეობას, აგრეთვე, იცავს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს;

აწარმოებს სატყეო პათოლოგიათა და მავნე მწერების საწინააღმდეგო ბრძოლას“.

33. ასმესექვე მუხლის პირველი ნაწილი და მეორე ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები, სახელმწიფო მმართველობის აღგილობრივი ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის

შესაბამისად უზრუნველყოფენ ტყეების მოვლა-დაცვას, ტყის ხანძრების წითააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას, ხანძრის ჩაქრობაში აბამენ მოსახლეობას, იყენებენ ხანძარსაჭინააღმდეგო ტექნიკას და სატრანსპორტო საშუალებებს, ხანძრის მომეტებული საშიშროების დროს, საჭიროების შემთხვევაში, კრძალავენ ტყეში მოსახლეობის შესვლას და სატრანსპორტო საშუალებათა შეყვანას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, აფხაზეთისა და აჭარის აკტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ტყის ხანძრის წარმოშობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის მიზნით“:

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მესამე და მეხუთე აბზაცებიდან ამოღებულ იქნეს შესაბამისად სიტყვები „კოლმეურნებისა“ და „ოლქისა“.

34. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 108-ე მუხლი.

35. ასევათე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 110. სატყეო დაცვა საქართველოს რესპუბლიკები

ტყეების მოვლა-დაცვას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი“.

36. ასევე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 117. საანგარიშო ტყეკაფი

საანგარიშო ტყეკაფი ხანძრძლივი პერიოდის მთავარი სარგებლობის ჭრის მიხედვით გამოიანგარიშება სატყეო მეურნეობის ყოველ საწარმო-დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ტყეთმოწყობის დროს, ცალ-ცალკე ტყეების კატეგორიებისა და მეურნეობების (წიწვოვანი, მაგარმერქნიანი და რბილმერქნიანი) მიხედვით და განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის აკტონომიური რესპუბლიკების მიხედვით. საანგარიშო ტყეკაფის დამტკიცების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი“.

37. ასევე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 118. ტყეთმოწყობა

ტყეთმოწყობას რესპუბლიკის ტყეებში აწარმოებს სახელმწიფო ტყეთმოწყობი საწარმო ერთიანი სისტემით, რომელსაც ადგენს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანო. ტყეთმოწყობა სავალდებულოა ყველა ტყის მოვალეობაზე და მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა“.

38. ამოღებულ იქნეს კოდექსიდან 125-ე მუხლი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

— სახელმწიფოს მეთაური

გდშარდ შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ ბოგშავაძე

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### **544 „საქართველოს რესაუბლიკის ტყის კოდექსი ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“ საქარ- თველოს რესაუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღენს:

1. „საქართველოს რესაუბლიკის ტყის კოდექსში ცვლილებათა და დამატება-  
თა შესახებ“ საქართველოს რესაუბლიკის კანონი ამოქმედდეს მიღებისთანავე“.

2. საქართველოს რესაუბლიკის მინისტრთა კაბინეტიმა:

ა) 1995 წლის 10 აპრილამდე ამ კანონს შეუსაბამოს თავის დადგენილებანი  
და წარუდგნოს საქართველოს პარლამენტს წინადადებანი საქართველოს რეს-  
პუბლიკის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე;

ბ) 1995 წლის 10 აპრილამდე მოამზადოს და პარლამენტში განსახილველად  
წარმოადგინოს საქართველოს ტყის კოდექსში ტყით სარგებლობასთან დაკავში-  
რებული ცვლილებები (მუხლები 42-97), „ბუნებრივი რესურსებით სარგებლო-  
ბის სახელმწიფო რეგულირებისა და ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს  
პარლამენტის 1995 წლის 23 თებერვლის დადგენილების შესაბამისად;

გ) 1995 წლის ივნისმდე მოამზადოს დაწვრილებით მოხსენება (ინფორმა-  
ცია, კადასტრი, ტყეომოწყობა) საქართველოს ტყების, ტყის რესურსებისა და  
მათი მდგრადირების შესახებ.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაშვილი**

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### **545 საქართველოს რესაუბლიკის საკოლეგიალება- თამორისო და მუნიციპალური ტევების შესახებ**

ითვალისწინებს რა საქართველოს ტყებში შექნილ უმძიმეს ვითარებას და  
ერთიანი სახელმწიფო სატყეო სამსახურის შექმნის საჭიროებას, საქართველოს  
პარლამენტი აღენს:

1. საქართველოს რესაუბლიკის მინისტრთა კაბინეტში:

ა) ორი თვის ვადაში უზრუნველყოს საკოლეგიალებათაშორისო და მუნი-  
ციპალური ტყების გადაცემა საქართველოს რესაუბლიკის სატყეო მეურნეობის  
დეპარტამენტის გამგებლობაში;

ბ) მოაწყოს ტყეების მოვლა-პატრონბასთან დაკავშირებული ინფრასტუქტურის ობიექტების ინვენტარიზაცია და საქართველოს რესპუბლიკის სატელე მეურნეობის დეპარტამენტისათვის გადაცემა;

გ) რეგულარულად აცნობოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმღინარეობა საქართველოს პარლამენტს.

**საქართველოს პარლამენტის ხპიკერი**

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

**31 ხსოვნა ბობეაძე**

საქართველოს რესპუბლიკის პარლი

## 546 პომუნალური მეშრეობის უსახებ

თავი I. ზოგადი ჯაგულებაზი

კანონი კომუნალური მეურნეობის შესახებ განსაზღვრავს საბინაო ფონდის, წყალსადენის, კანალიზაციის, თბოენერგეტიკის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, სანიტარული დასუფთავების, საქალაქო ელექტროტრანსპორტის, გარე განათების, აგრეთვე ტექნიკური ინვენტარიზაციისა და კომუნალური დანიშნულების სხვა სამსახურების საქმიანობას და ამოცანებს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების საფუძვლზე, იგი აწესრიგებს კომუნალური მეურნეობის ობიექტების ტექნიკური ექსპლუატაციის, დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და კომუნალური დანიშნულების კომუნიკაცია-ნაგებობათა მოვლა-პატრონობის, მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობების და პასუხისმგებლობის საკითხებს.

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა კომუნალური დანიშნულების სამსახურზე, მიუხედავად მათი კუთვნილებისა.

მუხლი 1.

საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის კანონმდებლობა

საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის კანონმდებლობა შედგება ამ კანონისაგან და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

მუხლი 2.

კომუნალური მეურნეობის დარგის სამსახურებისა  
და მომხმარებელთა მოვალეობანი

კომუნალური მეურნეობის დარგის სამსახურები, მომხმარებელი ორგანიზა-

ციები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ფიზიკური პირები ვალ-დებული არიან დაიცვან კომუნალური მეურნეობის ძირითადი ფონდებისა და საინჟინრო კომუნიკაციების ექსპლოატაციის წესები და ნორმები.

### მუხლი 3.

**კომუნალური მეურნეობის სამსახურებისა  
და მომსახურებით მოსარგებლეთა პასუხისმგელობა**

კომუნალური მომსახურებით მოსარგებლე ვადლებულია დაიცვას ეს კანონი და ექსპლუატაციის წესების მოთხოვნები.

ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან კომუნალური მეურნეობის სისტემის ობიექტების დაზიანების შემთხვევაში აანაზღაურონ მიყენებული ზარალი კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და ვადებში. ოდგვენითი სამუშაოები შეიძლება განახორციელონ კომუნალური მეურნეობის სამსახურებმა ხელშეკრულების საფუძველზე. ოდგვენითი სამუშაოების შესრულებისათვის თავის არიდების შემთხვევაში დამზიანებლები იხდიან ჯარიმას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომუნალური მეურნეობის სამსახურების მიერ მომსახურების წესების სისტემატური დარღვევით ან სხვა მიზეზით გამოწვეულ ზარალს მომსახურებით მოსარგებლე იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, დადგენილი წესის შესაბამისად, აუზაზღაურებს მომსახურების გამწევი იურიდიული ან ფიზიკური პირი.

რომელიმე ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან და სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით საერთო სარგებლობის კომუნალური კომუნიკაციების გადატანის საკითხი შეუთანხმდება კომუნალურ სამსახურს.

### მუხლი 4.

**კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციის საფუძვლები**

საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, მოსახლეობისა და სხვა-თა კომუნალური მომსახურება ითვალისწინებს:

1. კომუნალური მეურნეობის სამსახურების სისტემების მშენებლობას, გაფართოება-რეკონსტრუქციას და ინტენსიფიკაციას;

2. წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში სათანადო საექსპლოატაციო პირობების შექმნას;

3. წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული გარემოს სანიტარული დაცვის მოთხოვნათა უზრუნველყოფას კომუნალური დანიშნულების წყალსადენების სათავე ნაგებობოთა, წყალსადენების; გამანაწილებელი ქსელების, საკანალიზაციო-საწმენდ ნაგებობათა და ქსელების, ქალაქის და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარული დასუფთავების სისტემების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;

4. კომუნალური მომსახურების სისტემის და ამ დარგის სამრეწველო საწარმოთა ქსელის მშენებლობას და განვითარებას;

5. ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და კულტურულ პუნქტებში წყალდიდობის საწინააღმდეგო და კომუნალური ობიექტებისათვის წყალდიდობით გამოწვეული ზარალის სალიკვიდცით ღონისძიებათა განხორციელებას;

6. დარგის ჩართვის საბაზრო ურთიერთობებში;

7. ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვა-გამოყენებას.

### თავი II. კომუნალური გეურნეობის სამსახურების სტრუქტურა და ორგანიზაციის ფესტ

#### მუხლი 5.

##### კომუნალური მეურნეობის მართვა

საერთო პოლიტიკას კომუნალური მეურნეობის დარგში ახორციელებს კომუნალური მეურნეობის მართვის სამსახური, რომლის კომპეტენციაშია:

1. მომხმარებლების უფლებათა დაცვა;

2. კომუნალური მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფციისა და პროგრამის შემუშავება, მათი შესრულების კონტროლი, აგრეთვე ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება;

3. ხელის შეწყობა დემონპოლიზაციისათვის კომუნალურ მეურნეობაში;

4. სახელმწიფო კომუნალური მეურნეობის საწარმოთა პრივატიზაცია.

#### მუხლი 6.

##### კომუნალური მეურნეობის სამსახურების საქმიანობის ორგანიზაციის წესი

კომუნალური დანიშნულების ობიექტების სწორ ფუნქციონირებას, საქართველოს სამსახურის და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატივების და წესების მოთხოვნათა შესრულებას, დაქვემდებარებისა და კუთვნილების მიუხედავად, კანონმდებლობის შესაბამისად, კონტროლს უწევენ ადგილობრივი მმართველობის კომუნალურ მეურნეობის სფეროს სამსახური და საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სანიტარიული სამსახურის ორგანები.

### თავი III. კომუნალური გეურნეობის დარგის დაცინასება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

#### მუხლი 7.

##### კომუნალური მეურნეობის დარგის დაცინასება

კომუნალური მეურნეობის დარგის ობიექტების დაპროექტების, მშენებლო-

ბის, რეკონსტრუქციის, რემონტის, ექსპლუატაციის და სამუცნიერო-კვლევითი სამუშაოები ფინანსდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე სხვა წყაროების ხარჯზე. მათი ერთობლიობა ქმნის კომუნალური მეურნეობის ფონდს, რომელიც გამოიყენება დარღის სამსახურების განვითარებისათვის.

### მუხლი 8.

**საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის ქონება  
და მისი გამოყენება**

კომუნალური მეურნეობის ქონების პრივატიზაციის საკითხი წყდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავი IV. კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობა  
და ამ მიზნით მიზის გამოყოფა-გამოყენება**

### მუხლი 9.

**კომუნალური მეურნეობის ობიექტებისა და ქსელების მშენებლობა-გამოყენება**

კომუნალური მეურნეობის დანიშნულების ობიექტების (წყალსადენ-კანალზეცის, თბოენერგეტიკურილ, სანიტარიული დასუფთავების, კეთილმოწყობის, გარე განათების, საქალაქო ელექტროტრანსპორტის და სხვა) მშენებლობა, განლაგება, მათი ქსელების სრულყოფა-განვითარება და ექსპლუატაცია ხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და წესების, სხვა ნორმატიული აქტების საღურველზე, აგრეთვე საქართველოს ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანების დამტკიცებული გენერალური გეგმის, კონომიკურ, გეოგრაფიულ და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით.

მესაკუთრენი კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტებს უთანხმებენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. დასახლებული პუნქტების, საცხოვრებელი მასივების, საწარმოების და სხვა ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კომუნალური დან პნეულების ნაგებობების და ქსელების მშენებლობა.

### მუხლი 10.

**კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა  
და ექსპლუატაციისათვის მიწის გამოყოფის წესი**

კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, აგრეთვე სპეციალური ზონების შესაქმნელად მიწის ნაკვეთის მუდმივ ან დროებით სარგებლობაში გამოყოფა იმ კომუნალური და სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ კომუნალური დანიშნულების ობიექ-



ტექნიკური მუსიკური და გერმანური ცენტრისა, წარმოებს საქართველოს რესპუბლიკური მიწის კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

**თავი V. პასუხისმგებლობისა და ექსპლუატაციის, წარმოების საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის**

მუხლი 11.

პასუხისმგებლობა კომუნალური მეურნეობის ობიექტების არასათანადო გამოყენებისათვის, ექსპლუატაციის წესებისა და კომუნალური მეურნეობის კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვის

პირებს, რომელთაც ბრალი მოუძრება:

კომუნალურ მომსახურებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევაში;

კომუნალური დანიშნულების ობიექტებით სარგებლობის წესების დარღვევაში, თვითნებურ გადაეცემა-ჩართვისა და მოწყობილობის გაფუჭებაში, აგრეთვე კეთილმოწყობისა და გამწვანების ობიექტების დაზიანებაში;

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დარღვევაში;

ეზოების, ქუჩების და მოედნების სათანადო ნებართვის გარეშე გადათხრაში, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვაში, გათხრის ადგილების, აგრეთვე მშენებლობის ან შევეტებითი სამშაოების დამთავრების შემდგე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების ღონისძიებათა უგულებელყოფაში, —

ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავი VI. კომუნალური გეურნეობის დარგებით მომსახურების დროს სადაც საპითება გადაწყვეტა**

მუხლი 12.

**დავის გადაწყვეტის წესი**

კომუნალური მეურნეობის მომსახურების ღრის წარმოშმილი დავა წყდება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

**თავი VII. სამორთაშორისო ხალშემკრულებები**

მუხლი 13.

**საერთაშორისო ხელშეკრულებები**

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგე-



ნილია საქართველოს რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის კანონმდებლების ბისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე  
— სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

საქართველოს კარლაშვილის დადგენილება

**547** „კომუნალური მეცნიერების შესახებ“ საქართველოს რესაზებლივის პანორამის თაღებაზე

საქართველოს პარლამენტი ადგინს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „კომუნალური მეურნეობის შესახებ“ ამიღვებდეს გამოვლენებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგეაძე

თბილისი, 1995 წლის 7 მარტი.

საქართველოს კარლაგენტის დალგინილება

**549** „სისხლისა და მისი პოვარებულების დონორობის  
გესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პანის  
თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღვინს:

„სისტემისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგეაძე

თბილისი, 1995 წლის 8 მარტი.



**550 „ვსიქიათრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგჟაძე  
თბილისი, 1995 წლის 8 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**551 „ადამიანის იმუნდეფიციტის ვირუსით ინფექციის/შიდის პროცესიაქტიკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„ადამიანის იმუნდეფიციტის ვირუსით ინფექციის/შიდის პროცესიაქტიკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგჟაძე  
თბილისი, 1995 წლის 8 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**552 საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდრღვევათა კოდექსი ცვლილებათა და დამატებათა შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. 223-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოების სახელით აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და აღმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის ხელმძღვანელს და მის მოადგილებს — შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე;

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების თბილისის, სოხუმის, ბათუმის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილებს — შრომის ანაზღაურების 1,5 მინიმალურ ოდენობამდე;

ქალაქების, რაიონების სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურების, აგრეთვე სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილებს — შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე”.

ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის პირველ პუნქტში სიტყვის „ბაზრებში“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „და ბაზრობებზე“.

ამავე ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვის „რკინიგზის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „საზღვაო“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთვის და 1995 წლის 8 მარტი.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე**

— **სახელმწიფოს მეთაური** ედუარდ გევარდნაძე

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი** ვახტანგ ბობუაძე

თბილისი, 1995 წლის 8 მარტი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**553** „**საქართველოს რესაუბლივის სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“ საქართველოს რესაუბლივის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის

სამართლის, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და აღმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

თბილისი, 1995 წლის 8 მარტი.

**ვახტანგ ბოგაძე**

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**554 პარლამენტის წევრის თანხის პიტოვანის დაათიშვის თიმრების საკითხის შემსრულებლი დროებითი კომისია შემადგენლობით:**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეიქმნას პარლამენტის წევრის თენგიზ კიტოვანის დაპატიმრების საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

დემურ ბახტაძე

ვასილ ბუზალაძე

თენგიზ ლიხამინჯია

დავით კუპრეიშვილი

გრიგოლ ლორთქიფანიძე

ლევან მესხი

გელა ნიკოლაიშვილი

გიზო როგავა

ავთანდილ ტყებუჩავა

ლუიზა შავიაშვილი

დიმიტრი ჩიტლოვი

ანზორ წოწონავა

ომარ ხუციშვილი.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**

თბილისი, 1995 წლის 8 მარტი.

**ვახტანგ ბოგაძე**

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### 555 „მომხმარეადთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბობუაძე  
თბილისი, 1995 წლის 9 მარტი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### 556 „ძიმითი იარაღის შესახებ“ აარიზის საერთაშორისო კონვენციის რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. რატიფიცირებულ იქნეს „ქიმიური იარაღის შესახებ“ პარიზის 1993 წლის საერთაშორისო კონვენცია.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობოს ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბობუაძე  
თბილისი, 1995 წლის 9 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 557 ადამიანის იმუნიტეტის ვირასით ინვადიდის/ზოდის კოორდინაციის უსახელის თაობაზე

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში აი ინფექციასთან/შიდსთან ბრძოლის ძირითად პრინციპებს, მოქალაქეთა აი ინფექციაზე/შიდსზე გამოკვლევის, აი ინფეციირებულთა/შიდსით დაავადებულთა მკურნალობისა და პროფილაქტიკური მეთვალყურეობის საკითხებს და სამართლებრივ რეჟიმს, აგრძელება-მოვალეობებს, მათი სოციალური დაცვის საკითხებს.

## თავი I. ზოგადი დებულებები

## მუხლი 1.

შეძენილი იმუნიდეფიციტის სინდრომი /შიდსი. ადამიანის იმუნიდეფიციტის ვირუსით (აივ) ინფექცია. ცნება. გავრცელება. პრობლემის მნიშვნელობა

შეძენილი იმუნიდეფიციტის სინდრომი /შიდსი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ადამიანის იმუნიდეფიციტის ვირუსი (აივ). თანამედროვე კლასიფიკაციით დაავადებას ეწოდება ადამიანის იმუნიდეფიციტის ვირუსით ინფექცია (აივ ინფექცია), ხოლო საკუთრივ ტერმინით „შიდსი“ აღინიშნება აյ ინფექციის განვითარების ბოლო სტადია, რადესაც ავადმყოფს უვითარდება დაავადების კლინიკური ნიშნები.

აივ ინფექცია /შიდსი თავისი გავრცელების ხასიათით, მიმდინაობით და შედეგებით განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა რიცხვს განეჭუთვნება. აივ ინფექციის /შიდსის პანდემია უდიდესი საფრთხე შეუქმნა მთელ კაცობრიობას და რთული პრობლემების წინაშე დააყენა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო სისტემა. აივ ინფექციასთან /შიდსთან წარმატებით ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობათა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაობა ერთობლივი ძალისხმევით.

საქართველოს რესპუბლიკას ესმის აივ ინფექციის /შიდსის პრობლემის მნიშვნელობა და სახელმწიფო ბრძოლის პასუხისმგებლობას კისრულობს აივ ინფექციასთან /შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის განხორციელებისათვის.

## თავი II. აივ ინფექციის /შიდსის საწინააღმდებო სამსახური

## მუხლი 2.

შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია.

შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის ეროვნული პროგრამა.

აივ ინფექციის /შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზებული სამსახური

საქართველოში აივ ინფექციის /შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ხელმძღვანელობს შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია. მას ქმნის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე. კომისიას ევალება რესპუბლიკური აივ ინფექციასთან /შიდსთან ბრძოლის საკითხებში სხვადასხვა სამინისტროს, უწყებისა და სამსახურის საქმიანობის კოორდინირება და უფლებამოსილია გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი თავისი კომპეტენციის ფარგლებში. შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია მოქმედებს დებულების შესაბაზო სად, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.



აი ინფექციის/შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი განმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის გლობალური პროგრამის ჩრეომენდაციების საფუძველზე და საქართველოს გეოპოლიტიკურ და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება და ამტკიცებს შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის ეროვნულ სახელმწიფო პროგრამას. პროგრამის შესრულებაში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის განმრთელობის დაცვის სამინისტრო, სხვა დაინტერესებული სამინისტროები, უწყებები, ფირმა, ასოციაცია, საქველმოქმედო ორგანიზაცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების, კომერციული სტრუქტურებისა და ცალკეული პირების მიერ შემოწირული თანხმობის ხარჯზე.

აი ინფექციის/შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო სამედიცინო ხასიათის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს განმრთელობის დაცვის სამინისტროს აი ინფექციის/შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზებული სამსახური, რომლის სტრუქტურასა და ფუნქციებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის განმრთელობის დაცვის სამინისტრო.

### თავი III. მოქალაქეთა გამოკვლევა აი მოქალაქეთა გამოკვლევა/შიდსზე

#### მუხლი 3.

საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრებ ან მყოფ მოქალაქეთა გამოკვლევა აი ინფექციაზე/შიდსზე

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრებ ან მყოფ ყველა პირს, მათ შორის უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს უზრუნველყოფილი აქვთ აი ინფექციაზე/შიდსზე სამედიცინო გამოკვლევის უფლება, მათ შორის — ანონიმურად.

აი ინფექციაზე/შიდსზე მოქალაქეებს იკვლევს საქართველოს რესპუბლიკის განმრთელობის დაცვის სამინისტროს აი ინფექციის/შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზებული სამსახური.

აი ინფექციაზე/შიდსზე მოქალაქეთა გამოკვლევა ნებაყოფლობითია.

აი ინფექციაზე/შიდსზე სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა სისხლის, ორგანოების და სპერმის ღონისძიებითია.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აი ინფექციაზე/შიდსზე მოქალაქეთა გამოკვლევის საჭიროება განისაზღვრება აი ინფექციაზე/შიდსზე სამედიცინო შემოწმების წესით, რომელთაც შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია ამტკი-



ცებს საქართველოს რეპუბლიკის ჯანმართელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

აი ინფოცირების/შიდასის გამოსავლენად სამედიცინო შემოწმების წესების დაცვა სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები ან მყოფი ყველა მოქალაქის, მათ შორის უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქობის არმქონე პირებისთვის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამინსტროს, უწყების, ორგანიზაციისა და დაწესებულებისთვის, აგრეთვე სახელმწიფო და კერძო ფინანსების, ასოციაციების, საქველმოქმედო ორგანიზაციების, უცხოური და ერთობლივი საწარმოებისთვის, განურჩევლად დაქვემდებარებისა და უთლიერივი მდგრადიარობისა.

აი ინფექციაზე/შილსზე სამედიცინო შემოწმების წესების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პუნქტი 4.

აივ ინფექციაზე/შიდსზე საზღვარგარეთის ქვეუნებიდან ჩამოსულ უცხოელ  
მოქალაქეთა გამოკვლევა

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელი მოქალაქები, რომელ-  
შიც საქართველოში ერთ თვეზე მეტი წნით ჩამოდიან (გარდა უცხოეთის დიპ-  
ლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა დაპლომა-  
ტი თანამშრომლებისა და სხვა პირთა, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის  
ტერიტორიაზე დიპლომატის პრივილეგიებითა და იმუნიტეტით (სარგებლობენ),  
ვალდებული არიან თან იქნიონ აი ინფექციაზე/შიდაშე გამოკვლევის დამ-  
დასტურებელი სერტიფიკატი, ხოლო სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში გა-  
არონ სამედიცინო შემოწმება აი ინფექციაზე/შიდაშე დაგენირო წესით.

სხვადასხვა სურათაშორისო სამთავრობათშორისო, არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების თანამშრომლების, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების და ორგანიზაციების ხაზით აკრედიტებული უცხოელი წარმომადგენლების ავი ინფექციაზე/შიდსზე სამდიციხო შემოწმების შესაძლებლობის საკითხით წყდება ამ სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაცილეობით საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეწყობის გარეშე.



ჩულებების და კონვენციების, ორმხრივი შეთანხმების და პრაქტიკის საფუძვლების გადამდებარების გარეშე.

მუხლი 5.

მოქალაქეთა აივ ინფექციაზე/შიდსზე სამედიცინო გამოკვლევის ხარჯები

საზღვარგარეთიდან ჩამოსული უხოცელი მოქალაქეებისთვის, აგრეთვე საზღვარგარეთ წამსვლელი და საზღვარგარეთ მივლინებიდან ან მოგზაურობიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონებისთვის ავ ინფუქციაზე/შიდსზე გამოვლევა ფასინია. გადამხდელი შეიძლება იყოს როგორც გამოსაკვლევი პირი, ასევე ცალკეული უწყება, ორგანიზაცია, დაწესებულება, ფირმა და ა. შ.

საქართველოს ჩრენაში მოქალაქეების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები ან მყოფი ყველა მოქალაქეის, მათ შორის უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონებისთვის (საზღვროგარეთ წამსვლელთა და საზღვაოგარეთ მივლინებიდან ან მოვზაურობიდან ჩამოსულთა გარდა) აი ინფექციაზე/შიდსზე გამოკვლევის საჩვენების დაფარვა ხდება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კულტურული მოქალაქეებს სურვილისამებრ შეუძლია ჩაიტაროს აივ ინფექციაზე/ შიგურულ დასიანი სამეცნიერო გამზღვლება.

ତାବି IV. ୧୦୩ ରେଣ୍ଡାପିଲିଏଶ୍ୟଲା/ପିଲିଏଶ୍ୟଲା କ୍ଷାମାରୀଏଶ୍ୟଲା ଗାନ୍ଧାରାରେ,  
ହେଉଛନ୍ତିଲେଖାରୁ ଯା କର୍ମଚାରୀଙ୍କରୁ ପାଇଁ ପାଇଁ

მუნიციპალიტეტი 6.

პირებს, რომლებმაც ამ კანონით დადგენილი წესით გაიარეს შემოწმება აივ ინფექციაზე/შიდაზე, მათი აივ დაავადების შესახებ მონაცემების მიღებისას, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი წერილობითი ფორმით ტყობინებებს, რომ საჭიროა დაიცვან ამ დაავადების გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებანი. აივ დაავადებული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნა აღნიშნულ წესებს. თუ აივ ინფიცირებულს/შიდსით დაავადებულს მცირებულოვნობის, ფსიქური მდგომარეობის ან სხვა განსაკუთრებული მიზეზის გამო პირადად ვერ მოეთხოვება აივ ინფექციის/შიდისის გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებათა განუხრელი დაცვა, მაშინ წერილობითი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მის მეურვეს ან პირს, რომელიც კისრულობს პასუხისმგებლობას აივ ინფიცირებულის/შიდსით დაავადებულის მოქმედებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები ან მყოფი ყველა მოქალაქე, მათ შორის უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, მათი აივ დაავადების გამოვლენისას, ასევე მათთან კონტაქტში მყოფი პირები ექვემდებარებიან პროფილატეკურ მეთვალყურეობას.

### მუხლი 7.

**აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა გამოკვლევა, მკურნალობა და დისპანსერული მეთვალყურეობა**

აივ ინფიცირებულთ/შიდსით დაავადებულთ კლინიკურად და ლაბორატორიულად იკვლევს, მკურნალობს და დისპანსერულ მეთვალყურეობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აივ/შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზებული სამსახური.

აღნიშნულ პირთა გამოკვლევის, მკურნალობისა და პროფილატეტიკური მეთვალყურეობის წესებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ამ კანონის შესაბამისად.

აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევის, მკურნალობისა და დისპანსერული მეთვალყურეობის ხარჯების დაფარვა ხდება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავი ۷. აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა უფლებები, სოციალური დაცვა, მოვალეობანი და ჰასშიცხმებლობა**

### მუხლი 8.

**აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა სამედიცინო დახმარების და სოციალური დაცვის უფლება**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრებ ან მყოფ ყველა მოქალაქეს, მათ შორის უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს აივ დაავადების შემთხვევაში აქვთ სამედიცინო და სოციალური დახმარების უფლება.

აივ დაავადებული პირები უზრუნველყოფილი არიან უფასო მგზავრობით მკურნალობის ადგილამდე და უკან, აგრეთვე ამბულატორიულ პირობებში სამკურნალოდ საჭირო წარმლების უფასოდ მიღებით, მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს უფლება აქვთ იმყოფებოდნენ სტაციონარებში მცირეშოთვან შვილებთან (14 წლამდე ასაკისა) ერთად. ისინი თავისუფლდებიან სამუშაოდან სტაციონარში ყოფნის პერიოდში და მიეცემათ დროებითი შრომისუნარობის შემწეობა.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომელთაც ვირუსი შეეყარა-  
სამედიცინო მანიპულაციების შესრულების შედეგად, პენსია ენიშნებათ საქარ-  
თველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

აი ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ პირებს აქვთ შრომითი მოწყობის  
უფლება გარდა იმ სპეციალობებისა, სადაც არსებობს თვით მისი ან მასთან  
კონტაქტში მყოფი პირების კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარ-  
ღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის აი დაავადების საფრთხე. სპეციალობა-  
თა ნუსხას ამტკიცებს შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია სათანადო  
უწყებათა მონაწილეობით.

აი ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ პირებს აქვთ სპორტულ გარჯოშსა  
და შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება გარდა კონტაქტური და სათამაშო სა-  
ხეობებისა, სადაც არსებობს კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარ-  
ღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის აი დაავადების საფრთხე. სპორტული  
გარჯოშებისა და შეჯიბრებათა ნუსხას ამტკიცებს შიდსის ეროვნული სამთავრო-  
ბო კომისია სათანადო უწყებათა მონაწილეობით.

დაუშვებელია აი დაავადებულ პირთა სამუშაოდან დათხოვნა ან სამუშაოდ  
მიღებაზე უარის თქმა (გარდა იმ სპეციალობებისა, სადაც არსებობს თვით მისი  
ან მასთან კონტაქტში მყოფი პირის კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის  
დარღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის აი დაავადების საფრთხე).

დაუშვებელია აი დაავადებული პირებისთვის სამკურნალო, საწაგრლო და  
სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში მიღებაზე უარის თქმა.

დაუშვებელია აი დაავადებულ პირთა ნებისმიერი სხვა უფლებების შელახვა  
და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი ვი-  
რუსმატარებლები ან შიდსით დაავადებული არიან. ასევე დაუშვებელია აი ინ-  
ფიცირებული/შიდსით დაავადებული პირის ახლომელ-ნათესავების საბინაო და  
სხვა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა.

### მუხლი 9.

აი ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა მოვალეობანი და  
პასუხისმგებლობა აი ინფექციის/შიდსის გავრცელებისათვის

აი დაავადებული პირი ვალდებულია დაიცვას ამ ინფექციის გავრცელების  
თავიდან აცილების ღონისძიებანი.

აი დაავადებული ყველა პირი სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვის  
შემთხვევაში ვალდებულია გააფრთხილოს სამედიცინო დაწესებულება ან ცალ-  
კეული მედიცინის მუშაკი, რომ იგი ინფიცირებულია ადამიანის იმუნოდეფიცი-  
ტის ვირუსით.

აი დაავადებული ყველა პირი ისეთი საყოფაცხოვრებო მომსახურების და-



წესებულებების მომსახურებით სარგებლობისას, სადაც რეალურად არსებონ კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის აივ დაავადების საფრთხე, გალდებულია გააფრთხოლოს მომსახურე პერსონალი, რომ იგი ინფიცირებულია აღამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსთ.

მეორე პირისთვის აღამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შეყრის საფრთხის განზრას შექმნა ან მეორე პირისთვის ამ ვირუსის შეყრა იმ პირის მიერ, რომელმაც იცის, რომ მას ეს სენი სჭირს, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 10.

**აივ ინფიცირებული / შიდსით დაავადებული უცხოელი მოქალაქეებისთვის  
საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება**

უცხო ქვეყნის აივ ინფიცირებული / შიდსით დაავადებული მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი წყდება რესპულიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავი VI. მაღილინის მუშაკთა უფლებები, სოციალური დაცვა,  
მოვალეობანი, აასებისგანმდებრობა**

### მუხლი 11.

**მედიცინის მუშაკთა უფლებები, მათი სოციალური დაცვა**

სახელმწიფო უზრუნველყოფს აივ ინფექციის / შიდსის საკითხებზე დასაქმებულ მედიცინის მუშაკთა სოციალურ დაცვას.

აივ ინფექციაზე / შიდსიზე დასაქმებულ მედიცინის მუშაკებზე ვრცელდება ის შეღავათი და წახალისების ფორმა (ხელფასის დანამატი და სხვა), რომლებიც გათვალისწინებულია სამედიცინო პერსონალისთვის საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი შესაბამისი ნორმატიული აქტით.

აივ ინფექციაზე / შიდსიზე დასაქმებული მედიცინის მუშაკები ეჭვემდებარებიან სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აივ დაავადების, აგრეთვე ამ მიზნებით მათი ინვალიდობის ან სიკვდილის შემთხვევისათვის.

აივ ინფექციაზე / შიდსიზე დასაქმებული მედიცინის მუშაკთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აივ დაავადება განკუთვნება პროფესიულ დაავადებას. მათ უდინდებათ შეღავათიანი პირობებით საპენსიო უზრუნველყოფა და სხვა შეღავათები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12.

### მედიცინის მუშაკთა მოვალეობაზი და პასუხისმგებლობა

ჭანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებები, მედიცინის ყველა მუშაკი ვალდებულია აივ დაავადებულებს გაუწიონ სამედიცინო დახმარება.

ჭანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებები, მედიცინის მუშაკი ვალდებული არიან აივ ინფექციაზე/შიდსზე მოქალაქეთა გამოკვლევისას, აგრეთვე სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციების დროს ზუსტად დაიცვან აივ ინფექციის/შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო ეპიდრეზეიმის მოთხოვნები და უზრუნველყონ როგორც პაციენტთა, ასევე სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოება.

მედიცინის მუშაკები და სხვა პირი, რომლებმაც დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას შეიტყვეს მოქალაქეთა აივ ინფიცირებაზე/შიდსზე სამედიცინო შემოწმების მონაცემები და მათი შედეგები, ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ ეს მონაცემები.

მედიცინის მუშაკები და სხვა პირი, რომლებიც ჯეროვნად არ შეასრულებენ აივ დაავადებულთა მიმართ პროფესიულ მოვალეობას, პასუხს აეგენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამედიცინო ან სხვა სახის მანიპულაციების ჩატარებისას აივ ინფექციის/შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აივ ინფექციაზე/შიდსზე გამოკვლევის დამადასტურებელი ცნობებისა და სერტიფიკატების გაცემის უფლება აქვთ მხოლოდ აივ/შიდსის საწინააღმდეგო სეციალიზებული სამსახურის დაწესებულებებს. ყალბი ცნობებისა და სერტიფიკატების გაცემა ან გამოყენება იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**საქართველოს პარლამენტის თაგმჯდომარე**

**— სახელმწიფოს მეთაური აღმართ შევარდნაძე**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე**

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**558 „ადამიანის იმუნიდეფიციტის პირუსით ინცეპციის/შიდსის პროცესისა და შესახებ“ საქართველოს რესაზღვრის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ადამიანის იმუნიდეფიციტის ვირუსით ინფექციის/შიდსის პროცესისა და შესახებ“ ამოქმედდეს 1995 წლის I მაისიდან.

II. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

1. „ადამიანის იმუნიდეფიციტის ვირუსით ინფექციის/შიდსის პროცესისა და შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სამი თვეს ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; განსაზღვროს აივ ინფექციის/შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო ყველა იმ კონკრეტულ ღონისძიებათა ნუსხა, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია ამ კანონის შესასრულებლად;

2. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული შიდსიან ბრძოლის და პროცესისა და საქართველოს ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით შეიმუშაოს და დაამტკიცოს შიდსიან ბრძოლის ეროვნული სახელმწიფო პროგრამა. ამასთან გაითვალისწინოს პროგრამის შესასრულებლად საჭირო ინფრასტრუქტურისა და მექანიზმების შექმნა, დაფინანსების (მათ შორის კონკრეტური ვალუტით) და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები;

3. უზრუნველყოს შიდსიან ბრძოლის ეროვნული პროგრამის შესრულება-ში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შინაგან საქმეთა, განათლების, ვაჭრობისა და მომარაგების. სამინისტროების აგრეთვე სხვა სამინისტროების, უწყებების და სამსახურების ქმედითი მონაწილეობა;

4. დაგემოს შიდსის და იმუნიდეფიციტის რესპუბლიკური ცენტრისათვის სპეციალური კომპლექსის მშენებლობა, ხოლო მანამდე გამოქებნოს შენობა ამ ცენტრის დროებით განსათავსებლად;

5. მიიღოს საჭირო ზომები აივ ინფექციის/შიდსის პროცესისა და შესახებში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

**საქართველოს პარლამენტის სპეციალური ცენტრის დაგენერი**

თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

**ვახტანგ ბოგუაძე**

## 559 ფსიქიატრიული დახმარების შესახებ

მუხლი I.

### ზოგადი დებულებები

1. ეს კანონი უზრუნველყოფს ფსიქიკურად დაავადებულ პირთა სამედიცინო და სოციალურ დახმარებას, იცავს მათ უფლებებსა და ინტერესებსა და საზოგადოებას ფსიქიკურად დაავადებულ პირთა საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებისაგან.

2. კანონი განსაზღვრავს ფსიქიატრიული სამსახურის მუშაქთა და იმ პირთა უფლებებს და მოვალეობებს, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ფსიქიკურად დაავადებულ პირებთან.

მუხლი 2.

### ცნებების განსაზღვრა

1. „პაციენტი“ — პირი, რომელსაც დადგენილი აქვს ფსიქიკური დაავადების დაგნოზი და უწევენ ფსიქიატრიულ დახმარებას.

2. „ფსიქიატრიული დაწესებულება“ — სამკურნალო-პროფესიულებრივი დაწესებულება, რომლის უპირველესი დანიშნულება სამედიცინო, სოციალური და სხვა სახის სპეციალიზებული დახმარების გაწევა ფსიქიკურად დაავადებული პირებისათვის.

3. „ფსიქიატრიის დარგში მომუშავე სპეციალისტი“ — ექიმი, ფსიქოლოგი, ექთანი, მომღელეონი, სოციალური სფეროს მუშაქი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც სპეციალური მომზადებისა და მიღებული კვალიფიკაციის საფუძველზე უფლება აქვს სპეციალიზებული დახმარება გაუწიოს ფსიქიკურად დაავადებულ პირებს.

4. „გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი“ — პირის შესაძლებლობა გაცნობიეროს თავისი მდგომარეობა, მკურნალობის ძირითადი არსი, სწორად შეაფასოს მკურნალობის მოსალოდნელი სასარგებლო შედეგები.

5. „გადაუდებელი მდგომარეობა“ — როდესაც პირი ფსიქიკური გადახრის, დაავადების ან დაავადების გამო საფრთხეს უქმნის საკუთარ ან ირგვლივ მყოფთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებას, და რომლის თავიდან აკილება შეუძლებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარების გარეშე. გადაუდებელი მდგომარეობის დროს პირს დაკარგული აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი.

## პაციენტის ძირითადი უფლებები და დაცვის გარანტიები

1. პაციენტი სარგებლობს ყველა იმ კონსტიტუციური უფლებით, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის სხვა მოქალაქეები, თუ ცნობილი არ არის არაქმედუნარიანად. ფსიქიკური დაავადების გამო კონსტიტუციური უფლებების ნაწილობრივი შეზღუდვა განსაზღვრულია ამ კანონის მე-4 და მე-13 მუხლებით.

## 2. პაციენტს გარანტირებული აქვს:

ჰემიანური დამოკიდებულება, რომელიც გამორიცხავს პიროვნების ღირსების შეურაცხმულფელ ყოველგვარ მოქმედებას;

მკურნალობა მინიმალურად შეზღუდულ პირობებში და იმ მეთოდებით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ;

მკურნალობა ოუცილებელი სამედიცინო ჩენების მიხედვით, შექლებისდაგვარად ავადმყოფის ან მისი ახლობლების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს;

ინფორმაციის მიღება თავისი დაავადებისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ; მკურნალობაზე უარის თქმის უფლება, თუ აქვს უნარი მიიღოს გაცნობიერებულ გადაწყვეტილება. თუ პაციენტის ასაკი არ აღვმატება 16 წელს, ან არა აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, მაშინ ასეთი ინფორმაციისა და გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ მის შშობლებს ან მეურვეს;

ადვოკატის დახმარების მიღების უფლება. ფსიქონევროლოგიური დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია პაციენტის ადვოკატს წარუდიგინოს პაციენტზე არსებული ყველა სახის დოკუმენტაცია; უზრუნველყოს ადვოკატის შეხვედრა მასთან პერსონალის ან სხვა მოწმეების გარეშე. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობა არ იძლევა ამის შესაძლებლობას.

საჩივრისა და განცხადების შეტანა სასამართლო, სახელმწიფო ორგანოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ფსიქიატრის მიწვევა სამართლებრივი საკითხების განხილვისას;

არჩევებებში მონაწილეობის უფლება და უფლება დამოუკიდებლად ეწეოდეს სამეცნიერო საქმიანობას, თვითონ განაცხებდეს თავისი ქონებას, თუ იგი სასამართლოს მიერ აღიარებული არ არის არაქმედუნარიანად;

არაფსიქიატრიულ დაწესებულებებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების მიღების უფლება;

უფლება ისარგებლოს ყველა სახის სოციალური დაცვით;

უფლება ისარგებლოს სანატორიული და საკურორტო მომსახურებით.

3. ინვალიდობაგანსაზღვრულ პაციენტებს, აგრეთვე ინვალიდ პაციენტთა

მომსახურე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, სასწავლო-სამ-  
რეწველო საწარმოებს და გაერთიანებებს ენიჭებათ სახელმწიფო საგადასახადო  
შეღავათები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 4.

#### პაციენტის უფლებათა ნაწილობრივი შეზღუდვა

1. პაციენტის შეურაცხადად ან არაქმედუნარიანად ცნობა შეუძლია მხო-  
ლოდ სასამართლოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.
2. პაციენტის პროფესიულ ვარგისიანობას განსაზღვრავს ექიმთა შრომითი-  
საქადას, კომისარების კომისია.
3. დაუშვებელია პაციენტის შეზღუდვა დასმული დიაგნოზის საფუძველზე.  
ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს არა დაავადების ზოგად გან-  
საზღვრას, არამედ კონკრეტულად პირის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალის-  
წინებას.

### მუხლი 5.

#### ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზაცია

1. ფსიქიატრიული დახმარება მოიცავს:  
ამბულატორიულ დახმარებას;  
სტაციონარულ მკურნალობას;  
იძულებათ სტაციონარულ მკურნალობას.
2. ფსიქიკური დაავადების დიაგნოზი დეგინდება საერთაშორისო სტანდარ-  
ტების მოთხოვნათა შესაბამისად. პირისათვის ფსიქიკური დაავადების დიაგნო-  
ზის დადგნის უფლება აქვს ექიმ-ფსიქიატრს, ხოლო დაავადების საბოლოო დი-  
აგნოზს ადგნენ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია.
3. სამსახურებრივი ან ოჯახური კონფლიქტი, შეუთავსებლობა საზოგადოე-  
ბაში გაბატონებულ მორალურ, რელიგიურ, კულტურულ ან პოლიტიკურ შეხე-  
დულებებთან არ არის ფსიქიკური დაავადების დიაგნოზის დასმის საფუძველი.
4. ცნობა იმის შესახებ, რომ პირი წარსულში მკურნალობდა ამბულატორი-  
ული ან სტაციონარული ტიპის ფსიქონევროლოგიურ დაწესებულებებში, არ  
ჩაითვლება გადამწყვეტ ფაქტორად, რათა იგი მიჩნეულ იქნეს ფსიქიკურად და-  
ვადებულად.
5. ფსიქიკურად დაავადებულ პირს ფსიქიატრიულ დახმარებას უწევენ მისი  
მოთხოვნის საფუძველზე.
6. იმ პირს, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი ან სასამართლოს მიერ  
ცნობილია არაქმედუნარიანად, ფსიქიატრიული დახმარება გაეწევა მისი მშობ-  
ლების ან მეურვის თანხმობით.
7. ექიმი-ფსიქიატრი აფადმყოფის გამოკვლევისას ვალდებულია გაეცნოს მას



და გააცნოს გამოკვლევის მიზანი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ამ მოქმედებას შეუძლია გაამწვაოს ავადმყოფის მდგომარეობა.

8. ნებისმიერი ტაბის მკურნალობა დაუყოვნებლივ ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში იმის მითითებით მკურნალობა ნებაყოფლობითია (დასტურდება პაციენტის ხელმოწერით) თუ ტარდება პაციენტის თანხმობის გარეშე.

9. აქტიური ბიოლოგიური მეთოდებით მკურნალობა (მკური, კრუნჩვითი), კლინიკური ცდა ან მკურნალობის ექსპერიმენტული მეთოდი პაციენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მისი (მისი მეურვის, მშობლების) თანხმობით. თუ თავისი მდგომარეობის გამო პაციენტს არ შეუძლია მიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება, ობიექტური მიზეზების გამო არ ხერხდება ახლობელთა თანხმობის დროული მიღება და აღნიშნული მეთოდი მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი სავარაუდო საშუალებაა, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალურად ან მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი ნეიტრალური ორგანოს ნებართვით და ზედამხედველობით.

10. როდესაც ფსიქიკური დაავადება ქრონიკულია, პაციენტის არაქმედუნარიანობისა და მეურვეობის საკითხი წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 6.

#### პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევა

1. პირველად ფსიქიატრიულ გამოკვლევად ითვლება ექმ-ფსიქიატრთან იმ პირის კონსულტაცია, რომელიც არ არის დისპანსერულ აღრიცხვაზე, ან მოხსნილია დისპანსერული აღრიცხვიდან გამოყანრთელების ან მყარი რემისის გამო.

2. პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევა ტარდება იმ მიზნით, რომ დაგინდეს:

დაავადებულია თუ არა პირი ფსიქიკურად;

საჭიროებს თუ არა ფსიქიატრიულ დახმარებას.

3. პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევის საფუძველი შეიძლება იყოს არსებული მონაცემები, რომ პირი სჩადის ისეთ ქმედობას, რომელიც ფსიქიკური გადახრის ეჭვს ბადებს.

4. პირველად ფსიქიატრიული გამოკვლევა ტარდება:

გამოსაკვლევი პირის მოთხოვნით;

გამოსაკვლევი პირის ჯანმრთელობის შესახებ ცნობის გაცემის საჭიროების შემთხვევაში;

გამოსაკვლევი პირის ნათესავების წერილობითი განცხადების საფუძველზე;



სამსახურებრივად დაკავშირებულ ან ოფიციალურ პირთა წერილობისთვის განცხადების საფუძველზე.

5. პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევა პირს უტარდება მისი თანხმობით, ხოლო თუ არ შესრულებია 16 წელი, — მშობლების ან მეურვის თანხმობით.

6. გადაუდებელი მდგომარეობის კრიტერიუმების არსებობისას პირის ფსიქიატრიული გამოკვლევა ხდება მისი თანხმობის გარეშე.

### მუხლი 7.

#### სტაციონარული დახმარება

1. პაციენტი ფსიქიატრიულ სტაციონარში თავსდება იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა ან გამოკვლევა ამბულატორიულ პირობებში.

2. სტაციონარში მოთავსებულ პაციენტს უფლება აქვს:

მიიღოს და გაგზავნოს გზავნილები და წერილები;

მიიღოს მნახველები საამისოდ გამოყოფილ სპეციალურ დროს და სპეციალურ ადგილას;

შეხვდეს ადვოკატს ან თავის მეურვეს უმოწმებოდ.

3. ექიმს უფლება აქვს უსაფრთხოების მიზნით გამონაკლის შემთხვევაში აუქრძალოს პაციენტს ჩაიცვას საკუთარი ტანსაცმელი ან იქონიოს პირადი მოხმარების საგნები, რაც ფიქსირდება ავადმყოფობის ისტორიაში.

4. დაუშვებელია პაციენტის სტაციონარში დაყოვნება იმაზე მეტი ხნით, რაც საჭიროა დიაგნოსტიკის ან მკურნალობისათვის.

### მუხლი 8.

#### ნებაყოფლობითი მკურნალობა

1. ნებაყოფლობითი მკურნალობა ტარდება ჩეველებრივი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან სხვა ტიპის ლია დაწესებულებაში.

2. ნებაყოფლობითი მკურნალობისათვის სტაციონარში პაციენტი თავსდება მისი თხოვნით ან თანხმობით (სამედიცინო ჩევენგის შემთხვევაში), 16 წლის ასაკმდე — მშობლების ან მეურვის თანხმობით.

3. თანხმობა სტაციონარში მოთავსებასა და მკურნალობაზე დამოწმებული უნდა იყოს პაციენტის (16 წლის ასაკმდე — მშობლების, მეურვის) ხელმოწერით ავადმყოფობის ისტორიაში.

4. სტაციონარში ნებაყოფლობით მოთავსებული პაციენტი უახლოეს 48 საათში (გარდა უქმე დღეებისა) უნდა შეისწავლოს საექიმო კომისიის, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტს სტაციონარული მკურნალობის მიზანშეწონილობას.



5. ნებაყოფლობითი მკურნალობისათვის მოთავსებული პაციენტის გადაწყვეტილების თანახმად ხდება:

სტაციონირებული პაციენტის მოთხოვნით;

თუ სტაციონირებულ პაციენტს არ შესრულებია 16 წელი, — მისი მშობლების ან მეურვისის მოთხოვნით.

6. თუ ნებაყოფლობით სტაციონირებული პაციენტი უარს აცხადებს მკურნალობის გაგრძელებაზე, მაგრამ მისი ფსიქიკური დაავადება გამწვავდა იმდენად, რომ შესაბამება გადაუდებელი მკურნალობის კრიტიკულებს, პაციენტის მკურნალობა შეიძლება გაგრძელდეს მისი სურვილის გარეშე, სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად.

### მუხლი 9.

#### გადაუდებელი სტაციონარული დახმარება

1. გადაუდებელი სტაციონარული დახმარება ტარდება გადაუდებელი მდგომარეობის კრიტიკულების არსებობისას:

როდესაც პაციენტი საფრთხეს უჭინის ორგვლივ მყოფთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

როდესაც პაციენტმა თავისი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიაყენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი;

როდესაც ფსიქიკური დაავადების გამო პაციენტის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ექვნება.

2. გადაუდებელი სტაციონირების დროს არ არის აუცილებელი პაციენტის, მისი მშობლების ან მეურვის თანხმობა.

3. გადაუდებელი სტაციონირების გადაწყვეტილებას ღებულობენ სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ექიმები ან ფსიქიატრიული სტაციონარის მორიგე ექიმი.

4. აღმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან გაუწიონ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს პაციენტის გადაუდებელი სტაციონირებისათვის საჭირო დახმარება.

5. სტაციონირებიდან უახლოეს 48 საათში (უქმედების გარდა) საექიმო კომისიამ უნდა შეისწავლოს სტაციონირებული პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობა და საბოლოოდ გადაწყვიტოს სტაციონირების მიზანშეწონილობის საკითხი.

6. თუ საექიმო კომისია მივა დასკვნამდე, რომ გადაუდებელი სტაციონირება არ არის მიზანშეწონილი ან აუცილებელი, სტაციონირებული პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაიწეროს სტაციონარიდან.

7. იმ შემთხვევაში, თუ საექიმო კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს პაციენტის სტაციონარში დატოვებას მისი სურვილის გარეშე, ამის შესახებ დაუყოვ-



ნებლივ (48 საათში, უქმე დღეების გარდა) უნდა ეცნობოს რაიონის პროექტორი და მის მეურვეს.

8. გადაუდებელი პოსპიტალიზაციის წესით სტაციონირებული პაციენტი მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ შეიძლება გაეწეროს სტაციონარიდან საექიმო კომისიის გადაწყვეტილებით. თუ პაციენტის მდგომარეობა მოითხოვს ხანგრძლივ მკურნალობას, სტაციონირების გაგრძელების საკითხს წყვეტს საექიმო კომისია ყოველ თვეში ერთხელ დღიდან პაციენტის მოთავსებისა. თუ პაციენტის თანხმობის გარეშე მკურნალობა გრძელდება ექვს თვეზე მეტ ხანს, ეს უნდა ეცნობოს პროექტორს და პაციენტის მეურვეს. სტაციონარიდან გაწერის შემდეგ პაციენტის სამედიცინო გადამოწმება სულ ცოტა ექვს თვეში ერთხელ უცილებელია ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მიერ. საექიმო კომისიის გადაწყვეტილება პაციენტის სტაციონარში დაყოვნების შესახებ უნდა ეცნობოს პროექტორს და პაციენტის მეურვეს.

### მუხლი 10.

#### იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ სტაციონარში

1. პაციენტისათვის იძულებითი მკურნალობის დანიშვნის გადაწყვეტილებას ღებულობს სასამართლო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის კომისიის დასკვნის საფუძველზე.

2. პაციენტისათვის იძულებითი მკურნალობის მოხსნის ან რეჟიმის შეცვლის გადაწყვეტილებას ღებულობს სასამართლო შესაბამისი საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

3. იძულებითი მკურნალობა იმ პირების მიმართ, რომლებმაც შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიღინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედება, ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საავადმყოფოებში, საქართველოს სისტემის სამართლის კოდექსის 58-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად.

4. იძულებითი მკურნალობაზე მყოფი პაციენტი სარგებლობს იგივე უფლებებითა და დაცვის გარანტიებით, როგორც საკუთარი სურვილის გარეშე სტაციონირებული სხვა პაციენტი.

5. პაციენტის გადამოწმება საექიმო კომისიის მიერ ხდება მისი სტაციონარში მოთავსებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა. საექიმო კომისიის გადაწყვეტილება იძულებითი მკურნალობის მოხსნის ან რეჟიმის შეცვლის თაობაზე განიხილება სასამართლოს მიერ.

### მუხლი 11.

#### სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტის მოთავსებისა და გაწერის წესი

1. თუ პაციენტს არა ჰქონება ნათესავები და ფსიქიკური მდგომარეობის გამო



არ ესაჭიროება აქტიური მქურნალობა, აგრეთვე არ არის საზოგადოფრენისადაც საშიში და მხოლოდ განმამტკიცებელ-გამაჯანსაღებელ თერაპიასა და ზოვლა-პატრონობას საჭიროებს, საექიმო კომისიის გადაწყვეტილებით იგი შეიძლება მოთავსდეს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სპეციალიზებულ ფსი-ქიატრიულ დაწესებულებაში.

2. აღნიშნულ დაწესებულებაში პაციენტი შეიძლება მოთავსდეს:

საკუთარი განცხადების საფუძველზე;

მშობლების ან მეურვის მოთხოვნით;

სასამართლოს გადაწყვეტილებით.

3. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან პაციენტი გაიწერება:

საკუთარი განცხადების საფუძველზე, თუ საექიმო კომისიის დასკნით მას აქვს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი;

მშობლების ან მეურვის მოთხოვნით, საექიმო კომისიის დასკვნის საფუძვლზე;

სასამართლოს გადაწყვეტილებით.

### მუხლი 12.

#### სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა

1. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისად ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებს.

2. დაუშვებელია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა აღმინისტრაციული ორგანოების დაქვემდებარებაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებების მიერ.

3. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის უზრუნველყოფა და დაფინანსება (ბადრავი, დაცვა, სამედიცინო დამხმარე პერსონალი, საექსპერტო კომისია) ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამედიცინო დაწესებულებებში ევალებათ შესაბამის აღმინისტრაციულ ორგანოებს და სასამართლოს.

### მუხლი 13.

#### პაციენტის ფიზიკური შეზღუდვა

1. ექიმ-ფსიქიატრს გარკვეულ შემთხვევაში განსაზღვრული ვადით აქვს უფლება გამოიყენოს სტაციონარში მყოფი პაციენტის ფიზიკურად შეზღუდვის მეთოდი, თუ დაასკვნის, რომ შეუძლებელია სხვაგვარად პაციენტისათვის დახმარების გაწევა ან საზოგადოების დაცვა მისი საშიში ქმედებისაგან.

2. დაუშვებელია ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების ან მედიკამენტების გამოყენება პაციენტის დასჭივის ან დაშინების მიზნით.

3. პაციენტის ფიზიკური შეზღუდვა ხდება მკურანალი ექიმის ან სტაციონარის მოწიფე ექიმის გადაწყვეტილების საფუძველზე, რისი დასაბუთებაც ფიქ-სირდება ავადმყოფობის ისტორიაში.

4. პაციენტს, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო ფიზიკური შეზღუდვის მეთოდი, აგრეთვე მის მშობლებს, მეურვეებს, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი სასამარ-თლოში ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის გამოყენების საფუძვლიანობის შესა-ხებ.

### მუხლი 14.

#### სამედიცინო საიდუმლოების დაცვა

1. პირი, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში შეიტყო, რომ მოქალაქე დაავადებულია ფსიქიკურად, და დაუდევრობით ან გან-ზრაა გამოიყენებს ამ ინფორმაციას მისი ან სხვა პირის საზიანოდ, ისჯება მოქმე-დი კანონმდებლობით.

2. მოქალაქეს ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმა-ციის მიღება შეუძლიათ მხოლოდ სამედიცინო და აღმინისტრაციულ დაწესებუ-ლებებს ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე.

### მუხლი 15.

#### ფსიქიატრიის დარგში მომუშავე სპეციალისტის პასუხისმგებლობა

1. პირი, რომელიც წინასწარი განზრახვით ათავსებს ან გარკვეული დროით აყვებს პიროვნებას ფსიქიატრიულ სტაციონარში, უნიშნავს სამკურნალო საშუალებებს ან სჩადის სხვა ქმედებებს, რითაც ხელყოფს პიროვნების ძირითად უფლებებს, ისჯება მოქმედი კანონმდებლობით.

2. ფსიქიატრიულ სტაციონარში მომუშავე სპეციალისტი, თუ ის მოქმედებს ამ კანონის შესაბამისად, პასუხს არ ავებს პაციენტის ნებისმიერი ქცევისათვის, რომელიც გაწერილია სტაციონარიდან აღნიშნული კანონის მოთხოვნების გათ-ვალისწინებით.

### მუხლი 16.

#### ფსიქიატრიის დარგში მომუშავე პირზე საჩივრის შეტანის წესი

1. ფსიქიატრიის დარგში მომუშავე ნებისმიერ პირზე საჩივრის შეტანა შეიძ-ლება სასამართლოში.



2. საჩივრის შეტანა შეუძლია როგორც პაციენტს, ისე მშობლებიც თნ-შეკრულების.

### მუხლი 17.

ფსიქიატრიის დარგში მომუშავე პირის შრომის დაცვა და შეღავათები

1. ფსიქიატრიის დარგში მუშაობა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, ითვლება მავნე პირობებში სამუშაოდ. ფსიქიატრიის დარგში მომუშავე პირთათვის დაწებულია შემდეგი შეღავათები:

შემცირებული სამუშაო კვირა — 30 საათი;

გაზრდილი შებულება — 42 სამუშაო დღე;

ხელფასი შესაბამისი პერსონალის ხელფასთან შედარებით 30 პროცენტით მეტი და სასამართლო ფსიქიატრიაში მომუშავეთათვის — 50 პროცენტით მეტი;

ქალისათვის საპენიო ასაკად ითვლება 50 წელი, თუ მუშაობის (სადაზღვეო) სტაჟი სულ ცოტა 20 წელია, რომელთაგან 10 წელი მოდის აღნიშნულ სამუშაოზე; მამაკაცისათვის — 55 წელი, თუ მუშაობის სტაჟი (სადაზღვევო) სულ ცოტა 25 წელია, რომელთაგან 12,5 წელი მოდის აღნიშნულ სამუშაოზე;

პროფესიულ დავადებად ითვლება ნევროზი.

ფსიქიატრიის დარგში მომუშავე პირები იხდიან კომუნალური მომსახურების საფასურის 50 პროცენტს.

2. თუ ეჭიმ-ფსიქიატრიის პირად უსაფრთხოებას აგრძესის საფრთხე ეჭმნება პაციენტის მხრიდან, მისი ფსიქიკური მდგომარებიდან გამომდინარე, ეჭიმს უფლება აქვს უარი თქვას პაციენტის მკურნალობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეჭიმი ერთადერთი სპეციალისტია.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

— სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაშვილი

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუშვილი

თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**560 „ვსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

I. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ ამოქმედდეს 1995 წლის I მაისიდან.



II. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

1. უზრუნველყოს აღნიშნული კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულება;

2. შეუსაბამის მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკის კანონს „ფინანსურული დახმარების შესახებ“;

3. წარმოადგინოს წინადადებანი ფინანსურის დარგში მომუშავე პირთა შრომის დაცვისა და შეღავათების შესახებ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**ხაქართველოს პალამენტის სპიკერი ვახტანგ გოგიაძე**  
თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 561 სისხლისა და მისი კომარნენტების დონორობის მესახებ

კანონის მიზანია სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი, სამედიცინო ღონისძიებების მეშვეობით საქართველოს რესპუბლიკაში სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების უზრუნველყოფა და დონორის უფლებების დაცვა.

### თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

#### დონორობის პრინციპები

საქართველოს რესპუბლიკაში დონორობის ძირითადი პრინციპია ნებაყოფლობა. დონორობა შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქმედუნარი-ან მოქალაქეს 18-დან 60 წლამდე, რომელიც გაივლის სამედიცინო შემოწმებას და არ აღმოჩნდება დონორობის საწინააღმდეგო ჩვენებანი.

მოქალაქეს სისხლის ჩაბარება შეუძლია როგორც ქველმოქმედების წესით (უგასამრჩევლოდ), ასევე ნათესავებისათვის, ფულადი ანაზღაურებით (კადრის დონორი), დაზღვევის, საკუთარი სისხლის შენახვის მიზნით.

მუხლი 2.

სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების სახელმწიფო  
პროგრამა

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან იქმნება საკონკრი-



ნაციონალური, ოომელიც უხელმძღვანელებს სისხლისა და მისი კომისიუნიტების დონორობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას.

2. საკოორდინაციო სამსახურის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

### მუხლი 3.

სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების ორგანიზაციისა და პროპაგანდის ღონისძიებათა დაფინანსება

სახელმწიფო უზრუნველყოფს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების ორგანიზაციის, დონორობის პროპაგანდის ღონისძიებების, კადრის დონორთა საკომპენსაციო თანხების, სისხლის გაღების დღეს დონორის კვების ღირებულების, სისხლითა და მისი პრეპარატებით სამკურნალო დაწესებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსებას. ასტრიმულირებს არასახელმწიფო ორგანიზაციი სტრუქტურების მიერ სისხლისა და მისი პრეპარატების დამზადებას კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით. დაფინანსება ხორციელდება აგრეთვე საქართველოსა და საზღვარგარეთის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საქველმოქმედო შენატანების ხარჯზე.

### მუხლი 4.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ვალდებულებები დონორობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებელი არიან თავიანთ ტერიტორიაზე დონორობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის.

### მუხლი 5.

სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციაში სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის

სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (საკუთრების ფორმის მიუხედავად);

აქტიურად მონაწილეობენ დონორობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში;

უფლება აქვთ გამოყონ ასიგნებანი დონორობის განვითარებისათვის.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები

(მოუხდავად საკუთრების ფორმისა), საჯარისო ნაწილების უფროსები ვალდებული არიან, წინასწარი შეთანხმებით, შეუფერხებლად გაუშვან მუშა-მოსამსახურები, სტუდენტები, მოსწავლეები, სოფლის მეურნეობის მუშაქები, სამხედრო მოსამსახურები სისხლის გადასხმისა დაწესებულებებში გამკვლევისათვის და სისხლის ჩაბარების დღეს შეუნარჩუნონ სამუშაო აღგილებზე საშუალო ხელფასი, პრემია და სხვა მატერიალური წახალისება სოციალური დაზღვევის ფონდიდან, ხოლო სისხლის ჩაბარების მეორე დღეს დონორს მისცენ დასვენების დღე, რომელიც მისი სურვილის მიხედვით შეიძლება დაემატორს მორიგ შევებულებას ან გამოიყენოს სხვა დროს სისხლის გაღების დღიდან ერთი წლის განმავლობაში; დამატებითი დასვენების დღე დონორს აუნაზღაურონ საშუალო ხელფასით ძირითად სამუშაო აღგილზე;

თუ დონორმა სისხლი გაიღო შევებულების პერიოდში ან არასამუშაო დღეს, მას მისცენ დასვენების სხვა დღე. თუ დასვენების დღეს ვერ მისცემენ, სისხლის გაღების დღე აუნაზღაურონ სულ ცოტა ორმაგი ხელფასით;

უფასოდ დაუთმოონ სისხლის დამამზადებელ გამსვლელ ბრიგადებს ოთახები სისხლის ასაღებად;

დონორობის საკითხებში მოსწავლეთა და სტუდენტების სწორი ორიენტაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო ვალდებულია საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენისას შეიტანოს მათში ინფორმაცია დონორობის მნიშვნელობასა და სისხლის გაღების უვნებლობაზე.

### მუხლი 6.

#### წითელი ჯვრის საზოგადოების როლი დონორობის განვითარებაში

საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების განყოფილებები და ორგანიზაციები საკუთარი და შესაბამისი საერთაშორისო წესდებებისა და დებულებების თანახმად ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ უგასამრჩელო დონორობის განვითარებაში.

### მუხლი 7.

#### დონორთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მონაწილეობა დონორობის ორგანიზაციაში

დონორთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომელთა წესდებაში გათვალისწინებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა, მონაწილეობენ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის ორგანიზაციაში და მის დაფინანსებაში, პროპაგანდას უწევენ მოსახლეობაში უგასამრჩელო დონორობას.

თავი II. დონორის უფლებები, მოვალეობაბი და ზეღაპათები

მუხლი 8.

### დონორის უფლებები

სახელმწიფო უზრუნველყოფს დონორობის უფლებრივ გარანტიებს და მისი ჯანმრთელობის დაცვას, აგრეთვე აწესებს შეღავათებს.

დონორი აუცილებლად უნდა იყოს დაზღვეული დონორის ფუნქციის შესრულების შედეგად ინფექციური სნეულებით დაავადების ან მისი ჯანმრთელობის შეღავათის შემთხვევებისაგან. დაზღვევა უნდა მოხდეს სისხლის სამსახურის ბიუჯეტის ხარჯზე. დაზღვევის სახსრები უნდა შედიოდეს სისხლის თვითლირებულებაში.

დონორის ხელშეუვალი უფლებაა დონორობის აქტის ნებაყოფლობა.

დონორს უფლება აქვს თავისი სამსახურის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ნებისმიერ დღეს წავიდეს სისხლის გადასხმის დაწესებულებაში გამოსაკვლევად და სისხლის ჩაბარებლად.

დონორს უფლება აქვს სისხლის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამატებითი დასკვნების დღე და გამოიყენოს იგი სისხლის გაღების მეორე დღეს. მას შეუძლია ეს დღე დაუმატოს მორიგ შევტულებას ან ისარგებლოს ამ დღით სხვა დროს სისხლის გაღებიდან ერთი წლის განმავლობაში.

სამხედრო მოსამსახურე დონორი სისხლისა და მისი კომპონენტების გაღების დღეს თავისუფლდება განწესის, გუშაგობის და სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისაგან.

მუხლი 9.

### დონორის მოვალეობანი

დონორი მოვალეა სამედიცინო შემოწმების დროს შეატყობინოს მედიცინის მუშაკებს მისთვის ცნობილი კველა გადატანილი დაავადება, აგრეთვე მის მიერ ნარკოტიკული და სხვა ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენების ფაქტები.

მოქალაქე, რომელიც თავის დავალებების შესახებ ცნობებს განზრაბდა დამალავს ან დაამახინჯებს, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10.

### დონორობისათვის გათვალისწინებული შეღავათები და დონორობის სტიმულირების ღონისძიებები

ჩაბარებული სისხლის ან სისხლის პლაზმის საერთო მოცულობის მიხედვით დონორების სტიმულირების მიზნით მათი დაყოფა ხდება შემდეგ ჯგუფებად:

შესამე კატეგორიის დონორები, რომლებსაც სამჯერ ან მეტჯერ აქვთ ჩაბარებული სისხლი ან პლაზმა და განაგრძობენ დონორობის ფუნქციას სისხლის ჩაბარებით წელიწადში ერთხელ მაინც;

შეორე კატეგორიის დონორები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ 10-დან 20 ლიტრამდე სისხლი ან 15-დან 30 ლიტრამდე პლაზმა;

პირველი კატეგორიის დონორები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ 20-დან 30 ლიტრამდე სისხლი ან 30-დან 45 ლიტრამდე პლაზმა;

დამსახურებული დონორები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ 30 ლიტრზე მეტი სისხლი ან 45 ლიტრზე მეტი პლაზმა.

თითოეული ჯუფის დონორს სახელმწიფო უზრუნველყოფს სოციალური გარანტიებითა და შეღავათებით, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული დებულებით „რესპუბლიკაში დონორობის სტიმულირების ღონისძიებების შესახებ“.

იმუნიზებული დონორები ან დონორები, რომლებიც ჰელმოზედების წესით უანგაროდ ჩაბარებენ სისხლს ან პლაზმას იმ მოცულობით, რომ წარმოადგენენ ამ კანონის სუბიექტს, მიეკუთვნებიან ერთი საფეხურით უფრო მაღალ კატეგორიას.

შესამე კატეგორიის დონორის მოწმობებს გასცემენ სისხლის გადასხმის დაწესებულებები.

შეორე და პირველი კატეგორიის დონორის წოდებას ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სისხლის გადასხმის დაწესებულებათა წარდგინების საფუძველზე.

დამსახურებული დონორის წოდებას ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარდგინებით.

აღნიშნული შეღავათები ვრცელდება იმ დონორებზეც, რომელთაც სისხლი ან პლაზმა ჩაბარებული აქვთ ამ კანონის მიღებამდე.

### თავი III. სახსლისა და მისი კოვანენტების ღონისძიების ორგანიზაცია

#### მუხლი 11.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების როლი დონორობის განვითარებაში

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ტრანსფუზიოლოგიური სამსახურის სწორი ორგანიზაციის, განსაზღვრონ მედიცინის მოთხოვნილება სისხლის კომპონენტებსა და პრეპარატებზე, ყველაფერი იღონონ დონორთა რიგების, მათ შრრის ნათესავ დონორთა რიგების გასაზრდელად; აქტიურად წარმართონ დონორობის პროცეგნდა.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები უზრუნველყოფენ დონორების ჯანმრთელობის დაცვას. ამ მიზნით ახორციელებენ ღონისძიებათა კომპლექსს (დო-

ნორთა შეტჩევა, სისხლის აღების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, ქალაქებში დონორობის ერთანი ცენტრების ორგანიზაცია, სამედიცინო ჰერსონალის სათანადო მომზადება, რომელთა მიზანია დონორობის უვნებლობა, დონორობის ფუნქციის შესრულების დროს გართულებებისა და ინფექციური სენიორ დაავადების შესაძლებლობათა თავიდან აცილება.

დამატებითი დასვენების დღის და სისხლის გადასხმის დაწესებულებაში გატარებული დღის ფულადი ანაზღაურების მისაღებად სისხლის გადასხმის დაწესებულებებს ევალებათ დონორებს მისცენ სათანადო ცნობები სამსახურში წარსადგენად.

### მუხლის 12.

#### დონორის სამედიცინო შემოწმების წესი.

დონორის სამედიცინო შემოწმების, დონორისგან სისხლისა და მისი კომპონენტების აღების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმართელობის დაცვის სამინისტრო.

უცხოეთის მოქალაქენი, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს გაიღონ სისხლი ან მისი კომპონენტები საქართველოს რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში, გაივლიან სამედიცინო შემოწმებას დადგენილი წესით და სარგებლობენ ამ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით და გარანტიებით.

### მუხლი 13.

#### დონორის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხის კონტროლი

სისხლის სამსახურის დაწესებულებების მიერ დამზადებული სისხლი, მისი კომპონენტები და პრეპარატები, საქონსერვაციო სნარები ეჭვემდებარება ფარმაცოლოგიური ზედამხედველობის ორგანოების აუცილებელ კონტროლს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

### მუხლი 14.

#### ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაკებისა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაკები და თანამდებობის პირები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებენ სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების დამზადების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის.

თავი IV. დასაცნოთი დეპულებები



მუხლი 15.

დონორის სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების გაცვლის,  
საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მათი გატანის წესი

საზღვარგარეთის სამედიცინო ორგანიზაციებთან დონორის სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების გაცვლის, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მათი გატანის წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული დონორობის საკორრდინაციო სამსახურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთობლივი წარდგინებით.

მუხლი 16.

სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის ორგანიზაცია ექსტრემალური  
სიტუაციის დროს

სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის, ეპიდემიისა და სხვა  
განსაკუთრებული მდგომარეობის შემთხვევაში საქართველოს მთელ ტერიტო-  
რიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში სისხლისა და მისი კომპონენტების დონო-  
რობის ორგანიზაცია ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის  
დაცვის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობით.

ამ შემთხვევაში სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის ორგანიზა-  
ციას ყველა დაფინანსება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მინის-  
ტრთა კაბინეტის სარეზერვო ფონდიდან, აგრეთვე შმართველობის ადგილობრი-  
ვი ორგანოების სარეზერვო ფონდებიდან.

მუხლი 17.

საერთაშორისო ხელშეკრულებების მოქმედება

დონორობის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო და საწარმოო ინამ-  
შრომლობა მიჩნეულია პრიორიტეტულ მიმართულებად.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგე-  
ნილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორი-  
სო ხელშეკრულების წესები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

— სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე

თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს კარლამენტის დაფგენილება

**562** „სისხლისა და მისი პოგარენტების დოკორაციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პანონის თაობაზე

## საქართველოს პარლამენტი აღგანს:

I. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ ამოქმედდოს 1995 წლის 1 მაისიდან.

II. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შესაბამის შეწყობებთან ერთად ერთი თვეს ვადაში:

1. შეიძლოს და დამტკიცოს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა;

2. წარმოადგინოს წინადადებები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში სათანადო დამატებების შეტანის შესახებ იმ მოქალაქეთა პასუხისმგებლობის თაობაზე, რომლებიც დონის რობაზე სამედიცინო შემოწმებისას განზრას დამალევენ ან დამატინებები ცნობებს თავისი დავადებების და ნარკოტიკული ან სხვა ფსიქოთროპული საშუალებების გამოყენების შესახებ; აგრძელებ დონის რების სოციალური უზრუნველყოფისა და მათი მატერიალური სტიმულირების თაობაზე;

3. დაამტკიცოს წესები უცხოეთის სამედიცინო ორგანიზაციებთან დონორის სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების გაცვლისა და საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებს გარეთ მათი გატანის შესახებ.

III. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ დონორობის საკითხებში მოსწავლეთა და სტუდენტთა სწორი ორიენტირების მიზნით საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, შესაბამისი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედეგნისას შეიტანოს მათში ინფორმაცია დონორობის მნიშვნელობასა და სისტემის გაღრიბის უკრიბლობაზე.

საქართველოს პარლამენტის ხპიკერი ვახტანგ ბობშვალი  
თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს კარლამანტის დაფეხულება

**563** „სამედიცინო გადასახადის უესახებ“ საქართველოს რესაუბლივის კანონის თაობაზე  
საქართველოს პარლამენტი ადგენს:



„სამეცნიო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მშენებელის  
ღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე  
თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

564 სამეცნიერო გადასახადის ეცსახებ

მუხლი 1.

## ზოგადი დებულებები

1. ეს კანონი შემუშავებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაციის კონცეფციის საფუძველზე და „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში საქართველოს რესპუბლიკის ოურიდიულ პირთა და დასაქმებულ მოქალაქეთა მატერიალური მონაწილეობის წესს.

2. სამეცნიერო გადასახადი არის რესუბლიკური მიზნობრივი გადასახადი, რომელიც უშესალოდ ირიცხება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში და გამიზნულია ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუქლი 2.

## სამედიცინო გადასახადის გადამხდელები

## 1. სამედიცინო გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე ჩეგისტრირებული ყველა იურიდიკული პირი განურჩევლად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე მათი ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელსაც აქვს ცალკე ბალანსი და ანგარიში საბანკო დაწესებულებაში, მათ შორის ის ორგანიზაციები, რომელთაც ბანკში მხოლოდ ხელფასისათვის აქვთ განსილი ანგარიში და ამავე დროს თვალი აკავებენ ხელფასიდან სახელმწიფო გადასახადებს. თუ ხელფასიდან ანგარიშს სწორება რაობონულ და სასოფლო ორგანიზაციაში, რომელიც სხვადასხვა ბიუჯეტზეა, გამგეობის მეშვეობით ხდება, სამედიცინო გადასახადის გადამხდელად ითვლება აღნიშნული გამგეობა;

ბ) ყველა კატეგორიის დასაქმებული მოქალაქე, მათ შორის შტატგარეფები; მცხოვრილი ზონურ-დროებითი, შეთავსებით სამუშაოზე, აგრეთვე სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით და ერთჯერად, მოკლუვადიან სამუშაოზე დასაქმებული პირები.

### მუხლი 3.

#### დაბეგვრის ობიექტი

1. დაბეგვრის ობიექტად იურიდიული პირებისათვის ითვლება მათი ყველა სახის შემოსავალი, რომლის მიღებისთვის აუცილებელია შრომითი დანახარჯები, რომლებიც ანაზღაურდება დადგენილი წესით.
2. ყველა კატეგორიის დასაქმებული მოქალაქის შემოსავალი, გარდა შემდეგი შემოსავლებისა:

- გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია;
- სამუშაოდან გათავისუფლების დროს გამოსასვლელი დახმარება;
- საკომპენსაციო გაცემა (მიღლინების დღიური ანაზღაურებანი, სამუშაოსთან დაკავშირებული დასახიჩრების და ჯანმრთელობის დაზიანების გამო ზარალის ანაზღაურება);
- სამკურნალო-პროფილაქტიკური მკურნალობის, გაცემული სპეციანსაცმლის, სპეციესაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების, რძის და სხვა ღირებულება;
- მოქალაქთა ცალკეული კატეგორიებისთვის უფასოდ გათვალისწინებული ბინების, კომუნალური მომსახურების, საწვავის, მგზავრობის ღირებულების და სხვა სახის ანაზღაურება;
- უფასო კოლექტიური კვების ღირებულება;
- ორგანიზაციების სოციალური განვითარების სახსრებიდან მიღებული სადილების დოტაციის და სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის და დასავენებელი სახლების საგზურების ღირებულება;
- სხვა სამუშაოზე ან სხვა ადგილებზე მგზავრობის, ტვირთის გადაზიდვის და ბინის ხარჯების ანაზღაურება;
- ფულადი დანამატი და ხელფასის წანამატი, რომელიც გაიცემა დღიური ანაზღაურების ნაცვლად იმ შემთხვევაში, როცა მუდმივი სამუშაოები ხორციელდება გზაში ან აქვს მგზავრობის ხასიათი ან მომსახურების უბნის ფარგლებში სამსახურებრივი მგზავრობის გამო;
- ხელფასები, რომლებიც მომუშავებს არ აუნაზღაურდებათ და გადაირიცება სათანადო ბიუჭეტში ან საქვემდებრებით ფონდებში;
- მაკონტროლებელ ორგანოთა მატერიალური სტიმულირების ფონდიდან გაცემული ანაზღაურებები, რომლებიც იქმნება საფინანსო სანქციებისა და ჯარიმების სახით ბიუჭეტში და არასაბიუჭეტო ფონდებში ჩარიცხული სახსრებიდან;

— საიუბილეო თარიღებთან, დაბადების დღესთან დაკავშირებით ფულადი წახალისება ან წახალისება, რომელიც გაიცემა ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომითი საქმიანობისათვის და სხვა ანალოგიურ შემთხვევაში;

— შეჯიბრებებზე, დათვალიერებებზე, კონკურსებზე საპრიზო ადგილებისათვის ფულადი ჯილდოები;

— წარმოებისაგან მოწყვეტით და მის მიერ სასწავლებლად გაგზავნილი მოსწავლების (ასპრონტების) სტიპენდიები;

— სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული სტიპენდიები;

— დაზღვევის სახსრებიდან გაცემული დახმარებები და პენსიები.

#### მუხლი 4.

#### დასაბეგრი თანხა და გადასახადის განაკვეთები

ა) იურიდიული პირებისთვის გადასახადი წესდება მათი შემოსავლებიდან საკლდებულო დანარიცხის წესით. გადასახადი დაერჩიცხება ყველა სახის შრომით გასამრჯელოს, მათ შორის ხელფასზე დანამატებს, შრომის ანაზღაურების ხარჯზე გაცემული პროდუქციის ღირებულების ჩათვლით, სავტორო პონორარს, ბეტვრიალური წახალისების და სხვა ფონდებიდან გაცემული დამატებითი ანაზღაურების თანხებსა და პრემიების.

სამედიცინო გადასახადი დაერჩიცხება მთლიანად ხელფასსა და დანამეტებს სახელმწიფო გადასახადების (საშემოსავლო და სხვა) დაუქვითავად. იმასთან მიმშვნელობა არა აქვს აღნიშნული გაცემების წყაროებს, მუხლებს, გადასახადების საბუთების ფორმებს (საანგარიშო-გადასახდელი უწყისი, პირადი აღრიცვის ბარათი და სხვა), რომლის მიხედვითაც მოხდა ხელფასისა და სხვა გადასხდელების ანგარიშწორება.

შრომის ანაზღაურების ხარჯზე გაცემული პროდუქციის ღირებულება შეფასდება სახელმწიფო ან იმ დროისათვის დადგენილი შესყიდვის ფასებით, რაც აღნიცხება შრომის ანაზღაურების შესაბამის უწყისში.

სამედიცინო გადასახადის ოდენობა დადგენილია აღნიშნული ანაზღაურების ფაქტობრივი ოდენობის 3 პროცენტის ოდენობით.

დარიცხვა არ განხორციელდება ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ შემოსავლებზე.

ბ) სამედიცინო გადასახადს იხდის ყველა კატეგორიის მომუშავე მოქალაქე ყოველგვარი ფიქსირებული შემოსავლიდან, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევებისა. გადასახადი დადგენილია ერთი პროცენტის ოდენობით.

#### მუხლი 5.

#### გადასახადის გადახდის წესი

1. სამედიცინო გადასახადი მოქალაქეებს ეჭვითებათ სავალდებულო წესით

დასაბეგრი შემოსავლის მიღებისთანავე და ცენტრალიზებულად გადაირიცხება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში დარიცხულ სავალდებულო გადასახლთან ერთად.

არამართად სამუშაო ადგილას, შეთავსებით ან დროებით მომუშავების სამედიცინო გადასახლი დაცვავებათ ხელფასის (შემოსავლის) გაცემის ადგილას.

მოქალაქეთა მიერ სამედიცინო გადასახლის გადახდისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს, რომელიც გასცემს დასაბეგრ ხელფასის (შემოსავალის). გადაუხდელობის შემთხვევაში საურავის გადახდისათვის პასუხისმგებელია ხელფასის (შემოსავლის) გამცემი.

2. იურიდიული პირები სამედიცინო გადასახადს იხდიან თვეში ერთხელ ხელფასიდან გადასახადების გადახდის ვადებში. გადამხდელები სამედიცინო გადასახადებს იხდიან უნაღდო ანგარიშსწორებით ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე კუთვნილი საგადასახადო თანხის ჩარიცხვით.

3. ბანქში საგადასახადო დავალიანება გადასახლის გადარიცხვის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს მთლიანად კუთვნილ თანხაზე, ანგარიშზე სახსრების არსებობის მიუხედავად.

გადასახდების გადარიცხვის შესახებ საგადასახადო დავალებებს ბანკი ასრულებს საანგარიშო დოკუმენტების მიღების თარიღის თანამიმდევრობით (ხელფასის მიღების დადგენილი ვადების მიხედვით).

თუ მიმდინარე ან ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული სახსრების მიხედვით შეუძლებელი ხდება საბანკო დაწესებულებების მიერ ერთდროულად ხელფასის, გადასახადებისა და შენატანების გადარიცხვის დაკმაყოფილება, პირველ რიგში გაიცემა ხელფასის თანხა და ხელფასიდან დაკავებული გადასახადები, ხოლო დანარჩენი თანხა გადაირიცხება ჯანმრთელობის დაცვის ფონდში სამედიცინო გადასახადის სახით.

საგადასახადო დავალებები, ნაწილობრივ ან შესრულებული მთლიანად, საბანკო დაწესებულებებაში რჩება და სრულდება გადამხდელის ანგარიშზე სახსრების შემოსვლისთანავე.

4. გადამხდელი ორგანიზაცია ლიკვიდაციის შემთხვევაში ვალდებულია აცნობოს ეს საგადასახადო ინსპექციის იმ რაონულ (საქალაქო) განყოფილებას, სადაც იგი რეგისტრირებულია, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა. აღნიშნულ ორგანიზაციაში სალიკვიდაციო კომისიები პასუხს აევენ სამედიცინო გადასახადის სრული დაფარვისათვის.

### მუხლი 6.

#### საურავის დარიცხვა

1. წარდგენილი საგადასახადო დავალებების მიუხედავად, დადგენილ ვადაში

გადაუხდელი თანხა დავალიანებად ითვლება და საურავის დარიცხვით გადაიხდება.

გადამხდელის მიერ საურავი უვადო წესით დაერიცხება დავალიანების თანხას მისი 0,2 პროცენტის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის.

2. საურავი დაერიცხება გადასახადის გადახდის დადგენილი ვადის მომდევნო დღიდან.

საურავზე საურავი არ დაერიცხება.

საურავი დაერიცხება:

— საბანკო დაწესებულებებიდან ხელფასის ფაქტობრივად მიღების დღიდან;

— ნაღდი ფულის გადახდის დროს — ბანკის შესაბამის განყოფილებაში ფულის შეტანის დღიდან;

— ფულის ფოსტით გადაგზავნის დროს ან საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით — ფოსტაში ან საბანკო დაწესებულებაში ფულის შეტანის დღიდან.

თუ გადახდის თარიღი უქმე დღეს ემთხვევა, საურავი ირიცხება უქმე დღის მომდევნო დღიდან.

3. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაარიცხოს საურავი დავალიანების მთლიან თანხას და პერიოდისათვის, რომელიც აღირიცხება ანგარიშსწორების უწყისში. თუ საურავს გადამხდელი არ დაარიცხავს ანგარიშსწორების უწყისის შემოწმების დროს, საურავს დაარიცხავს საგადასახადო ინსპექცია.

4. ვადაგადაცილებული დავალიანების თანხის ამოღება დარიცხული საურავისა და ჯარიმის სახით ხდება გადასახადისათვის დადგენილი უდავო წესით.

5. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდის შემოსვალში უდავო წესით ამოღება დავალიანების ის თანხები, რომლებიც ირიცხება გადამხდელის მიმღინარე ანგარიშზე ან ანგარიშსწორების ანგარიშზე საბანკო დაწესებულებაში.

გადამხდელის ანგარიშზე არსებული თანხის ჩამოწერას დავალიანების, ჯარიმისა და საურავის დასაფარავად საბანკო დაწესებულების საინკასო დავალებების საფუძველზე, ახდენს საგადასახადო ინსპექციის ჩაიონული (საქალაქო) განყოფილება საგადასახადო მოთხოვნის ბლოკზე. ამისათვის გამოიყენება უაქცენტო საინკასო დავალების ფორმები, რომლებიც შემუშავებულია რესპუბლიკაში მოქმედი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

6. სამედიცინო გადასახადის დავალიანება ამოღება ხანდაზმულობის მიუხედავად.

მუხლი 7.

გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა და მისი კონტროლი.

1. სამედიცინო გადასახადის გამოანგარიშების სისწორისთვის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში დროულად ჩატარებული და საგადასახადო ორგანოებში გაანგარიშების დადგენილ ვადებში წარდგენისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ გადამხდელ ორგანიზაციებს და მათს თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საგადასახადო ორგანოებს და საბანკო დაწესებულებებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ გადამხდელთა მიერ სამედიცინო გადასახადების მოქმედი კანონმდებლობის სათანადო დაცვისა და მისი გამოყენებისადმი კონტროლისათვის „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად.

მუხლი 8.

**დასკვნითი დებულება**

ამ კანონით გათვალისწინებული სამედიცინო გადასახადის ოდენობის, აგრძელებული საგადასახადო შეღავათების შეცვლა შეუძლია საქართველოს პარლამენტს.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე**

— სახელმწიფოს მეთაური ედებარდ გევარდენაძე

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგიაშვილი**

თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**565 „სამედიცინო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესახლიპის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამედიცინო გადასახადის შესახებ“ ამოქმედდეს 1995 წლის 1 აპრილიდან.

2. 1995 წლის პირველი იანვრიდან 1995 წლის 1 აპრილამდე ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994

წლის 23 დეკემბრის № 400 ბრძანებულების შესაბამისად ამოსაღები სახსრების გადარიცხვა გაგრძელდეს არსებული წესით.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციას უზ-რუნველყოს სმეღლიცინო გადასახადის დროული და სრული ამოღება.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგვაძე**

თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**566 „ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის გამომვაბასა და რეალიზაციაზე გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის გამოშვებასა და რეალიზაციაზე გადასახადის შესახებ“ მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგვაძე**

თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**567 „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგვაძე**

თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**568 „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ“ საქართველოს რესაუდიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

„ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე  
თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**569 „ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს რესაუდიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

„ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე  
თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**570 „დამატებული ღირებულების შესახებ“ საქართველოს რესაუდიკის კანონი ცვლილების შეთანხმის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „დამატებული ღირებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე  
თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**571** „საქართველოს საკატრიარქოს სახელმწიფო პი-  
ჯეთში ბადასახადებისაგან ბანობავისუფლების  
შესახებ“ საქართველოს რესაზბლიკის პანონია  
ცვლილებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს პარლამენტი ადგინ:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს საპატირიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგიაძე  
თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

საქართველოს კარლამანის დადგენილება

**572** საქართველოს ტალეციზმისა და რაჭიომაურყაბ-  
ლობის სახელმწიფო კორაორაციის საინირა-  
ცოო საშეაღებაგით ოცნებიალური 06ცორმაციის  
გადაცემის შესახებ

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციის საინფორმაციო საშუალებებით ოფიციალური ინფორმაციის გადაცემის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციის საინფორმაციო საშუალებებით ოფიციალური ინფორმაციის გადაცემისას დაწესდეს შემდეგი რიგითობა:

  - 1) საქართველოს პარლამენტის ინფორმაცია;
  - 2) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ინფორმაცია;
  - 3) საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ინფორმაცია;
  - 4) საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაცია;
  - 5) სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმაცია.

2. პირველ პუნქტში ჩამოთვლილი სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმაციები საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციის წარედგინოს მხოლოდ მათი პრესცენტრების მეშვეობით.

3. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაზრულობის სახელმწიფო კორპორაციის უზრუნველყოს პარლამენტის პრესცენტრის მიერ მომზადებული „პარლამენტის საათის“ კვირაში ერთხელ ერთსა და იმავე დროს ეთერში გაშვება.

4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის  
სპიკერის მოადგილე

რესუდან ბერიძე

ତଥିଲୋପି, 1995 ଫେବୃଆରୀ 22 ମାର୍ଗରୀ.

საქართველოს კარლამენტის დაფენილება

**573** საქართველოს კარლამანის, ადგილობრივის  
თვითმმართველობის ორგანოების მოწიბ არჩევ-  
ნებსა და მიზანისარე საკონსტიტუციო პროცეს-  
იან დაკავშირებაში საკითხების მოსამზადებ-  
ლი კარლამანის დროებითი კომისიის შექმნის  
შესახებ

საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების დროულად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით და 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მომზადების ვადების დარღვევის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს პარლამენტისა და აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოწიგ არჩევნებთან მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესთან დაკავშირებული საკითხების პარლამენტის დროებითი კომისია.

2. დაევალოს აღნიშნულ კომისიას ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადაღები საქართველოს პარლამენტისა და აღდილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი აჩევნების დროულად ჩატარების უზრუნველსაყოფად და კონსტიტუციის ახალი რედაქციის მომზადების გაჭიანურების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭირელად.

## საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილი

რესუდან ბერიძე

თბილისი, 1995 წლის 22 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**574 „სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქა-  
ლაქო სამართლის საპროცესო პრივატისაბმი  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაო-  
ბაზე“ საქართველოს რესაუბლივის კანონის შე-  
სახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო  
კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს  
რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

**საქართველოს პარლამენტის**

**სპიკერის მოადგილე**

**რუსედან ბერიძე**

თბილისი, 1995 წლის 22 მარტი.